საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №191 (2564) შაბათი, 9 აგვისტო, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

შინ დავბრუნდებით!

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზი ძალზე პატარა გამოდგა იმისათვის, რომ დაეტია 8 აგვისტოს აქ გახსნილი ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა სრულიად საქართველოს ყრილობაზე დასწრების ყველა მსურველი. ძნელი, ძალზე ძნელი იყო იმის გააზრება, რომ აქ შეკრებილ ადამიანთა დიდი უმრავლესობა ლტოლვილია საკუთარ ქვეყანაში. იმის გაფიქრებაც კი დიდ ტკივილს გვგვრიდა, რომ აქ მოსულ ძაძებში შემოსილ ქალთა და ხანდაზმულ მამაკაცთა, ახალგაზრდათა დიდმა ნაწილმა დაკარგა ახლობლები – შვილები და მშობლები, დები და ძმები, მეგობრები, საყვარელი ადამიანები... არა აქვთ უფლება დაუბრუნდნენ მშობლიურ კერებს, და აქ მოვიდნენ იმისთვის, რომ იმსჯელონ თავიანთ ტრაგიკულ მდგომარეობაზე, დასახონ შელახულ უფლებათა აღდგენის გზები, მიაღწიონ იმას, რომ იზეიმოს სამართლიანობამ. სავსებით ბუნებრივია, რომ ეს ადამიანები სრულიად განსხვავებულად ხედავენ შინ, აფხაზეთში დაბრუნების პერსპექტივებს, რომლის იმედითაც ისინი სულდგმულობენ. სავსებით გასაგებია, რომ ყრილობის ორატორთა გამოსვლებშიც, რომელიც გახსნა სოხუმის მენეჯერთა ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა გივი კილასონიამ, არასტერეოტიპული მოსაზრებები გაისმოდა.

ყრილობა დაიწყო წუთიერი დუმილით, რომლითაც მისმა მონაწილეებმა პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ თანამემამულეებს. დამსწრენი აკურთხა ცხუმ-აფხაზეთის არქიეპისკოპოსმა მეუფე დანიელმა.

პრინციპულობით და სიმწვავით, როგორც რადიკალური, ისე გააზრებული მოსაზრებებით იყო აღსავსე საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის“ თავმჯდომარის გერმანე ფაცაციას პოლიტიკური მოხსენება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის, „ცხუმ-აფხაზეთის“ პატრიოტული მოძრაობის ლიდერის დავით ცანავას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვახტანგ ყოლბაიასა და სხვა ორატორთა გამოსვლები. აღინიშნა, რომ ყრილობამ უკვე შეასრულა მასზე დაკისრებული ერთ-ერთი ფუნქცია, შეკრიბა ერთად ლეგიტიმური ხელისუფლების და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ცალკეული პირები და ამას უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან სწორედ ერთობა არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნების გარანტი. ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ყრილობამ ჩაუყაროს საფუძველი მთელი ძალების კონსოლიდაციას. აღინიშნა, რომ აფხაზეთის ტრაგედია ინსპირირებულია საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ გარეშე ძალების მიერ, განხორციელებულია სამხედრო-პოლიტიკური პროვოკაციის გზით.

იხ. მე – 2 გვ.

ექსპერტიზა

აფხაზეთი: შუქი გვირაბის ბოლოს?

რუსეთის კიდევ ერთი და უკანასკნელი შანსი

აფხაზეთის თემაზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ადრინდელ პუბლიკაციაში ვწერდი, რომ რუსეთი იოლად არ შეეგუება კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის ფართო ინტერნაციონალიზაციის იდეას. ასეთი „აღმოჩენა“ პატენტს ნამდვილად არ იმსახურებს და არც მაქვს ამის პრეტენზია. სხვა რამეა გაცილებით მნიშვნელოვანი: დღევანდელი სიტუაცია რომ 2-3 წლის წინათ შექმნილიყო და ჩვენს პარლამენტს, ვთქვათ, 1994-ში, ან 1995-ში მიეღო ცნობილი დადგენილება რუსი მშვიდობისმყოფელების გასვლაზე, როგორი იქნებოდა მოსკოვის საპასუხო ნაბიჯი? ალბათ ყველაფერს გააკეთებდა (არაფერს მოერიდებოდა), რათა ენანებინა საქართველოს ხელისუფლებისათვის „უმადური თავხედობა“, სამი წლის წინათ, ალბათ, შესძლებდა კიდეც ამას.

იხ. მე – 2 გვ.

კომენტარი

ქართული სახელმწიფოს სამსახურში

მარტივი სტატისტიკა: 1994 წელს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამმართველო, დამტკიცდა მისი დებულება და სტრუქტურა. შემდეგში მან კვლავ განიცადა ტრანსფორმაცია — სახელმწიფო დეპარტამენტის „ხარისხში ამაღლდა“. ამ დღეებში მთავრობის სხდომამ მისი დებულებაც დაამტკიცა.

ბუნებრივია, სამინისტროებისა და მათთან გათანაბრებულ უწყებათა ბუმის პირობებში ადამიანს უეჭველად დაებადება კითხვა: რამ განაპირობა ამისი აუცილებლობა?

კომენტარი ვთხოვეთ დეპარტამენტის თავმჯდომარეს გივი კეკელიძეს.

იხ. მე – 3 გვ.

შევეწიოთ

აშენებს სრულიად საქართველო



წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ქვეყნის, ისე მართლმადიდებლური ეკლესიის მთლიანობისათვის.

მშენებლობის ფონდი მადლობას უხდის მათ, ვინც ამ საშვილიშვილო საქმისათვის თუნდაც ერთი თეთრი გაიღო. ხოლო მათ, ვისაც სურვილი და საშუალება გაქვთ მონაწილეობა მიიღოთ მასში, გაცნობებთ საბანკო რეკვიზიტებს.

საქართველოს ბანკი ეროვნული ვალუტის ანგარიში № 521017.
საერთაშორისო ვალუტის ანგარიში № 501070635. მფო № 521017.
დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში.

მშენებლობას შეეწივნენ:

საქართველოს კონტროლის პალატა	– 164 ლარი და 16 თეთრი
„საქართველოს ბანკის“ თერჯოლის ფილიალი	– 20 ლარი
ნინო იოსელიანი	– 20 ლარი
ანა იოსელიანი	– 20 ლარი
გრიგოლ კინტერაია	– 22 ლარი.

პრეზიდენტის სამუშაო დღე

მთავარი ამოცანა არა დარგის გადარჩენა, არამედ მოსახლეობაზე ზრუნვაა

მინიმუმ 6 მილიონი დოლარის ინვესტიციაა საჭირო იმისათვის, რომ მანგანუმის მოპოვება კვლავ სარფიან და მომგებიან საქმედ იქცეს და ჭიათურაში წარმოებულმა პროდუქციამაც დაიბრუნოს თავისი ადგილი ტრადიციულ ბაზარზე, იმის გათვალისწინებით, რომ ჭიათურმანგანუმის საინვესტიციო მიმზიდველობა საკმაოდ დაბალია, სიტუაცია საკმაოდ რთულია. შიდა რესურსი მრეწველობის სამინისტროს მიერ დარგის განვითარების მიზნით შემუშავებული პროგრამის განსახორციელებლად პრაქტიკულად არ არსებობს. ამასთან, აუცილებელია დარგის სტრუქტურული რეორგანიზაცია – ახალ ეკონომიკურ ვითარებაში კლასიკური საბჭოთა სტრუქტურა სერიოზული ბარიერია მისი შემდგომი განვითარების გზაზე.

როგორია ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან? ამ საკითხზე იმსჯელეს 8 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან გამართულ თათბირზე, რომელიც სააქციო საზოგადოებების „ჭიათურმანგანუმისა“ და „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“ პრობლემების განხილვას მიეძღვნა. აღინიშნა, რომ „ჭიათურმანგანუმის“ მდგომარეობას ამძიმებს მისი ვალებიც, რომელთა საერთო ჯამი 7,5 მილიონ ლარამდეა. სააქციო საზოგადოებას თითქმის ცხრა თვეა არ გაუცია მუშათა ხელფასები. იქიდან გამომდინარე, რომ დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით დარგი არცთუ პერსპექტიულად გამოიყურება, მის გადარჩენაზე ზრუნვა, უწინარეს ყოვლისა, ჭიათურის მოსახლეობასა და მისი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვად უნდა განვიხილოთ. ეს პროცესი კი, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, საკმაოდ დაგვიანებულია, ისევე, როგორც ტენდერის გამოცხადება და ბევრი სხვა ღონისძიება. თუმცა, სახელმწიფოს მეთაურის აზრით ტენდერის გამოცხადებაც არ არის გამოსავალი, რადგან, შესაძლოა, მან არანაირი შედეგი არ მოიტანოს. „ჩვენ ამისათვის მზად უნდა ვიყოთ და უნდა ვიცოდეთ, რის გაკეთება შეგვიძლია საკუთარი შესაძლებლობებით“, – მიაჩნია ედუარდ შევარდნაძეს. მისი აზრით, უმთავრესი ამ ეტაპზე სტრუქტურული რეფორმაა. უნდა გადაილახოს უწყებრივი მიჯაჭვულობა და არც სააქციო საზოგადოების იჯარით გაცემა უნდა იქცეს ტრაგედიად. რაც შეეხება ვალს, მისი გადავადებაც შეიძლება, თუკი იქნება რეალური წინაპირობა იმისა, რომ საწარმო ამუშავდება. რაც მთავარია, მიუხედავად დიდი სირთულეებისა, საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ხაზინაში უნდა მოიძებნოს იმის თუნდაც მინიმალური შესაძლებლობა, რომ მუშებმა თავიანთი კუთვნილი ხელფასები მიიღონ.

ამერიკული ბიზნესის ინტერესი რეალური ხდება

8 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ცნობილი ამერიკული კომპანია „ბობ უოლშ ენტერფრაიზის“ პრეზიდენტი ბობ უოლში.

შეხვედრაზე, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ აშშ ფედერალური ბანკის წარმომადგენლები, განიხილეს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და კონკრეტული ბიზნეს-გეგმების რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები, კერძოდ, „ბობ უოლშ ენტერფრაიზის“ მიერ სასტუმრო „თბილისის“, მთაწმინდის პლატოს კომპლექსის, დედაქალაქის სხვა დასასვენებელი ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქციის ზოგადი საკითხები. ამ პროექტების განხორციელების დაჩქარების მიზნით უახლოეს მომავალში საქართველოს ესტუმრებიან ამერიკის სასტუმრო-სამშენებლო კომპანიების ექსპერტები.

ბობ უოლშმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ამერიკის შეერთებულ შტატებში ამასწინანდელმა ვიზიტმა მეტი იმპულსი მისცა ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლების დაინტერესებას საქართველოსთან პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავების თვალსაზრისით. ამის კიდევ ერთი დასტურია შეერთებული შტატების ფედერალური ბანკის ახლო აღმოსავლეთის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, „ვიზა ინტერნეიშენელის“ დირექტორთა საბჭოს წევრის ფერიდ სააბის სტუმრობა თბილისში. ფერიდ სააბიმ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე დაადასტურა ბანკის გაზრდილი ინტერესი საქართველოს შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის განვითარებით.

პრეზიდენტის
პრესსამსახური-საქინფორმი.

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადება

ბოლო დროს პრესის საშუალებით გახშირდა ბერების ღია წერილები, შეკითხვები და მიმართვები მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმიდა სინოდის მიმართ.

საერთოდ, ურთიერთობის ასეთი ფორმა ეკლესიისათვის მიუღებელია. თუ სასულიერო პირთ მართლაც აინტერესებთ პასუხები გარკვეულ საკითხებზე, უნდა მიმართონ უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქს და წმიდა სინოდს და არა პრესას და საქმეში ჩაუხედავ, გაუცნობიერებელ მკითხველებს, რომელთაც ეს ადამიანები სათანადო რელიგიური გაუნათლებლობის გამო აბრკოლებენ და ცოდვაში აგდებენ.

სადავო და სხვადასხვა საღვთისმეტყველო საკითხების შესწავლისა და განხილვის მიზნით, საქართველოს საპატრიარქოში გამოიყო სპეციალური ჯგუფი, რომლის მიზანი ისიც არის, რომ გაარკვიოს ურთიერთობა განდგომილ ბერებთან, შეისწავლოს მათ მიერ წამოყენებული პრეტენზიები, აწარმოოს მოლაპარაკება, და შემდეგ სათანადო წინადადებები წარუდგინოს კათოლიკოს-პატრიარქსა და წმიდა სინოდს. ჯგუფის ხელმძღვანელია პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი.

თუ განდგომილ ბერებს მართლაც აინტერესებთ ჩვენი ეკლესიის დამოკიდებულება მათთვის საინტერესო საკითხებზე, ვიწვევთ მათ ამ ჯგუფთან შეხვედრაზე საპატრიარქოში ა. წ. 8 აგვისტოს, პარასკევს, 14 საათზე ან შაბათს, 9 აგვისტოს, 12 საათზე.

თანამემამულე

გენერალი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი აკადემიის საპატიო წევრი

აშშ შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარეს, გენერალ ჯონ-მალხაზ შალიკაშვილს თბილისში ვიზიტის დროს შეხვდა საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი დემურ ბაშელეიშვილი. აკადემიის პრეზიდენტი მიესალმა საპატიო სტუმარს და საჩუქრად უძღვნა საქართველოს სახალხო მხატვრის დავით გაბიტაშვილის მიერ შესრულებული ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის ფერწერული პორტრეტი, აგრეთვე გადასცა დიპლომი, რომელიც ადასტურებს რომ ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი არჩეულია საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად, საქართველოსთვის ჰუმანური დახმარებისა და თანადგომისათვის. ძალზე ემოციური იყო სტუმრის საპასუხო სიტყვა: „დღევანდელი დღე ერთ-ერთი უბედნიერესია ჩემს ცხოვრებაში, ასეთი მაღალი ჯილდო ჯერ არ მიმიღია. ალბათ ახლა მამაჩემის სული ზეციდან დამცქერის და ჩემზე მეტად ბედნიერია, ქართულ მიწაზე მის შვილს წილად რომ ხვდა ასეთი ბედნიერება. მე კვლავაც ქართველი ხალხის გვერდით ვიქნები“.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვარდიკო ნადიბაიძემ. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში თედო ჯაფარიძე, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ამერიკელი და ქართველი გენერლები.

ლეილა კოშკაძე,

სურათზე: შეხვედრა ჯონ-მალხაზ შალიკაშვილთან.

ინფორმაცია

მხოლოდ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე

„ამ ბოლო დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით რუსეთის ოფიციალურ პირთა მიერ გავრცელებული განცხადებები მდინარე ფსოუზე სასაზღვრო რეჟიმის შეცვლის, საქართველოსა და რუსეთს შორის სასაზღვრო ზოლის გახსნის თაობაზე ჩვენი მხრიდან ასეთ რეაქციას არ გამოიწვევდა, სახელმწიფო ოფიციალური უწყებებიდან რომ არ მომდინარეობდეს“, – ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც თავს მოვალედ თვლის, ამგვარ განცხადებათა ავტორებს შეახსენოს, რომ საზღვრის ფუნქციონირების რეჟიმი ორ სახელმწიფოს შორის ორმხრივი ხელშეკრულებებით რეგულირდება და ცალმხრივი გადაწყვეტილებით საზღვრის გახსნა დაუშვებელია.

ასევე უნდა ითქვას, რომ სოხუმის ნავსადგური, პორტპუნქტები, ზღვის აკვატორია და სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი საქართველოსა და რუსეთს შორის საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის განკარგულებით დაკეტილი იყო ყველა სახის საერთაშორისო გადაზიდვებისათვის, ჰუმანიტარული ტვირთების გარდა, რაზეც რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ ხელისუფლებას თავის დროზე ეცნობა.

აქედან გამომდინარე, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ამ მონაკვეთზე სასაზღვრო რეჟიმის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ორმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ცალმხრივი ქმედება, მხოლოდ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის იგნორირებად აღიქმება, – ნათქვამია განცხადებაში.

გურიის რეგიონში

გურიას სამდღიანი ვიზიტით მოქალაქეთა კავშირის დელეგაცია ესტუმრა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი მიხეილ მაჭავარიანი, გუშინვე გაიმართა მოქალაქეთა კავშირის გურიის სამხარეო კონფერენცია. „მოქალაქეები“ გუშინ ლანჩხუთს ეწვივნენ, დღეს კი ჩოხატაურში ჩავლენ.

სახელმწიფო ვალებს ფარავს

„მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტი სამცხე-ჯავახეთიდან იტყობინება, რომ მხარის პენსიონერებს მთლიანად დაურიგდათ მაისის თვის პენსია, მიმდინარეობს ივნისის თვის პენსიების გაცემა.

სექტემბრისათვის ნავარაუდევია დავალიანების მთლიანად დაფარვა. მომდევნო თვეებში კი პენსიები სტაბილურად გაიცემა.

ოზურგეთი მჭიდიდან ამოვარდა

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თემურ მურღულიას განცხადებით, სამინისტროს მიერ განხორციელებულმა საკადრო ცვლილებებმა ყველგან დადებითი შედეგები გამოიღო ოზურგეთის გარდა. „პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ, ოზურგეთის პოლიციაში კვლავ რადიკალური საკადრო ცვლილებები გავატაროთ“. – აღნიშნა მურღულიამ მოქალაქეთა კავშირის სამხარეო კონფერენციაზე გამოსვლისას.

ასლან აბაშიძე ჯანმრთელად არის

აჭარის ტელევიზიის თავმჯდომარის მოადგილის სოსო აბაშიძის თქმით, გავრცელებული ჭორი ასლან აბაშიძის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ, სინამდვილეს არ შეესაბამება. მისივე თქმით, ასლან აბაშიძე სრულიად ჯანმრთელია. დღეს იგი აჭარის უზენაეს საბჭოში გამართულ სამ თათბირს დაესწრო, რომელიც საკურორტო სეზონს, ბიუჯეტის შესრულებასა და ერთობლივი საწარმოების შექმნას ეხებოდა. სხდომები ხუთ საათს გრძელდებოდა. „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში სოსო აბაშიძემ ისიც აღნიშნა, რომ ასლან აბაშიძე რამდენიმე დღით ბობოყვათში ისვენებდა, რამაც, შესაძლოა, გამოიწვია ამგვარი ჭორის გავრცელების საფუძველი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა, საქინფორმმა, „იბერიამ“, „მოამბე-ექსპრესმა“.

ასე ფიქრობენ

რუსეთი კვლავაც ცდილობს შეიერთოს ახალი ტერიტორიები

რუსეთის ფედერაციის ახალი სუბიექტების წარმოქმნის სამართლებრივ საფუძველს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ქმნიან

კონსტანტინე კატანიანი **პერსპექტივა**


ЭСТОНИЯ
ЛАТВИЯ
РФ
ЛИТВА
РОССИЙСКАЯ ФЕДЕРАЦИЯ
БЕЛОРУССИЯ
УКРАИНА
МОЛДАВИЯ
ПРИДНЕСТРОВЬЕ
АБХАЗИЯ
ГРУЗИЯ
АРМЕНИЯ
Темным выделены территории, где слышны голоса за присоединение к России. Но у Приднестровья нет шансов, а Армения может присоединиться только вслед за Грузией.

სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერმა მიხეილ იურიევმა შეიმუშავა რუსეთის ფედერაციაში მიღებისა და მის შემადგენლობაში რუსეთის ფედერაციის ახალი სუბიექტის წარმოქმნის წესის შესახებ ფედერალური საკონსტიტუციო კანონის პროექტი. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 65 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მომზადებული კანონპროექტის შედგენის დროს, ავტორმა, რომელსაც პალატის სხვა ფრაქციათა წარმომადგენლების მხარდაჭერის იმედი აქვს, გაითვალისწინა რუსეთის მოქმედი კანონმდებლობის დებულებები და ამგვარ საკითხთა მოწესრიგების საზღვარგარეთული გამოცდილება. კანონპროექტის შემმუშავებლის აზრით, რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტად შეიძლება მიღებული იყოს მხოლოდ მოსაზღვრე უცხოური სახელმწიფო, ან რუსეთის მომიჯნავე მისი ტერიტორიის ნაწილი. ასეთნაირად ცდილობენ მომავალში თავიდან აიცილონ იმ თემების ანალოგიური ახალი პრობლემები, რომლებსაც აწყდება რუსეთის ფედერაციის დანარჩენი ტერიტორიისაგან იზოლირებული კალინინგრადის ოლქი.

რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტის მიღების ერთ-ერთ პირობად დგინდება ახლად შესაქმნელი რეგიონის მოსახლეობის რიცხვის მინიმალური ზღვარი. მოსახლეობის აღწერის მონაცემების გათვალისწინებით, ასეთ კრიტერიუმად დასახელებულია ციფრები, რომლებიც საშუალო სიდიდეს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის ყოველი სახეობის სუბიექტისათვის. გარდა ამისა, კანონპროექტის პირველ თავში მოხსენიებულია შემთხვევები, რომლებზეც ეს დოკუმენტი არ ვრცელდება, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სუბიექტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის შეცვლა ერთი სახეობიდან მეორე სახეობად მის გარდაქმნასთან დაკავშირებით, რადგან ეს საკითხი უნდა გვარდებოდეს დამოუკიდებელი კონსტიტუციური კანონით.

მეორე თავი ადგენს რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტის მიღების პროცედურას. აქ უმთავრესია ჩვენი ქვეყნისა და იმ მოსაზღვრე სახელმწიფოს ურთიერთთანხმობის პრინციპი, რომელსაც სურს მთლიანად შევიდეს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ან მას გადასცეს თავისი ტერიტორიის ნაწილი. თუ ურთიერთთანხმობას მიაღწევენ, მხარეები დებენ საერთაშორისო ხელშეკრულებას (რუსეთის ფედერაციის სახელით მას ხელს აწერს სახელმწიფოს მეთაური), შემდეგ რუსეთში იმართება რეფერენდუმი, და, თუ მოქალაქეთა უმრავლესობა არ არის რუსეთის ფედერაციის ახალი სუბიექტის წარმოქმნის წინააღმდეგი, იღებენ ფედერალურ კონსტიტუციურ კანონს რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტის მიღების შესახებ.

იხ. მე – 2 გვ.

ნავსი გატყდა

თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამმართველომ მიიღო გზების შეკეთების პროგრამა, რომლის მიხედვით უნდა გარემონტებულიყო ყველაზე დანგრეული გზები. ასეთად მიიჩნიეს ჩუღურეთის რაიონში დადიანის ქუჩა, სადაც უგზოობის გამო, ფაქტობრივად, მოძრაობა შეჩერებული იყო. მართალია, მცირე მონაკვეთზე, მაგრამ გამართული საავტომობილო გზა მაინც გაკეთდა. ეს კეთილმოწყობის სამუშაო შეასრულა საგზაო კომპანია „თბილისმა“.

ეს გზა ტაძარში თუ არა, ევროპაში მაინც მიგვიყვანს, ეუბნება საგზაო კომპანია „თბილისის“ სამუშაოთა მწარმოებელი გიორგი ბეკოშვილი გზის გამყვან მუშებს.

ნანა სულავა.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

უკანასკნელ საათს

თელ-ავივი. ისლამისტური ორგანიზაციის „ჰესბოლახის“ ბოევიკებმა გუშინ სამხრეთ ლიბანის ტერიტორიიდან რეაქტიული ჭურვები დაუშინეს ჩრდილოეთ ისრაელში მდებარე ქალაქ კირიატ-შმონს. ერთ-ერთი ჭურვი სინაგოგის შენობას მოხვდა და ქალი დაჭრა. როგორც აღნიშნავენ, ეს ისრაელის ტერიტორიისათვის ბოლო 16 წლის მანძილზე პირველი ცეცხლის დაშენაა მას შემდეგ, რაც მშვიდობიანი შეთანხმების დადებით დამთავრდა ისრაელის არმიის ოპერაცია სამხრეთ ლიბანში კოდური სახელწოდებით „მრისხანების მტევნები“, რომლის დროსაც 170 ლიბანელი დაიღუპა. ოპერაცია მას შემდეგ განხორციელდა, როცა „ჰესბოლახის“ ბოევიკებმა ცეცხლი დაუშინეს ისრაელთა დასახლებებს ქვეყნის ჩრდილოეთში.

კაირო. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა და პალესტინის ავტონომიის მეთაურმა ერთმანეთს დააბრალეს ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის ჩაშლა და დაძაბულობის გაძლიერება. როგორც ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, იასირ არაფატს „შეუძლია გაანადგუროს ჰამასი, მაგრამ არ სურს ეს, რათა განაგრძოს ისრაელზე ზემოქმედება“. თავის მხრივ, პალესტინელთა ლიდერმა ისრაელის გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, – „ნეთანიაჰუმ ომი გამოგვიცხადა და ჩვენ უნდა ვემზადოთ მომავლისათვის“.

მოსკოვი. ვარშავის გზატკეცილზე მშენებელთა დანაშაულებრივი დაუდევრობის შედეგად ჩამოინგრა სახლი. არის მსხვერპლი.

პეტერბურგი. ძლიერი ნისლის გამო, გუშინ პეტერბურგის მახლობლად გამავალ გზატკეცილზე ერთმანეთს შეასკდა 13 ავტომობილი. ალმოდებულ მანქანებში 7 კაცი დაიღუპა, არიან დაშავებულნი.

მოსკოვი. გუშინ რუსეთის სახელმწიფო მეთაური ბორის ელცინი შეხვდა ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის პრეზიდენტებს ალსარბეგ გალაზოვსა და რუსლან აუშევს, რომლებსაც მოსთხოვა ხელი მოაწერონ შეთანხმებას, გამოაცხადონ მორატორიუმი 20 წლით ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიებზე.

კოდორის ხეობა მშვიდობაა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გააკეთა განცხადება, რომ ზოგჯერ მასმედიით ვრცელდება არაზუსტი, შეუმოწმებელი, ტენდენციური ინფორმაცია, რაც მცდარ აზრს უქმნის საქართველოს მოსახლეობას. განცხადებაში დეტალურად ჩამოთვლილია, რა გაკეთდა ხეობის მოსახლეობისათვის, კერძოდ, სამედიცინო და განათლების ობიექტებზე აღდგენითი სამუშაოების შესრულება დაეკისრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს, ხეობის მოსახლეობის სასურსათო და არასასურსათო საქონლით მომარაგება დაევალა აფხაზკოოპკავშირის — „აბსოიუზის“ გამგეობას, ხოლო გულრიფშის რაიონისა და კოდორის ხეობის რეგიონულ გამგეობებს დაეკისრათ აფხაზკოოპკავშირთან ერთად უზრუნველეყოთ ოქტომბრის ბოლომდე ხეობაში საქონლის შეტანა და მოსახლეობისათვის დადგენილი ნორმების განუხრელი დაცვით განაწილება, განაწილებისა და მიღების უწყისების შედგენითა და სამთავრობო კომისიაში წარდგენით. ჭუბერ-საკენის გზაზე აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფისა და კოდორის ხეობაში არსებული გზების ექსპლოატაციის მიზნით აღდგა გულრიფშის რაიონის საგზაო-საწარმოო სამმართველოს ფუნქციონირება ხეობაში ჩარჩენილი ტექნიკის გამოყენებითა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებით. გზა ფუნქციონირებს, მუშაობა გრძელდება.

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ დანიშნული იყო ვერტმფრენის სამგზავრო რეისი კოდორის ხეობაში ბილეთის ფასით თვითღირებულების ფარგლებში. ივლისში ფრენა კოდორის ხეობის მიმართულებით შეწყვეტილია ავიაკომპანია „აისის“ მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ გამოჰყო რადიოსადგური. ამჟამად დამყარებულია შეუფერხებელი კავშირი ხეობასთან.

ხეობის სკოლის მოსწავლეებს დაურიგდათ 8 ათასი ლარის ღირებულების 3100 სახელმძღვანელო.

საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა ჰუმანიტარული დახმარების სახით ხეობაში ჩაიტანეს 8 თვის სამყოფი 67 დასახელების მედიკამენტი, ელექტროგენერატორი, რენტგენოფირები, რენტგენკაბინეტი და 5 თვის მარაგი — ბავშვთა საკვები.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით კოდორის ხეობის სკოლების (აჟარის, ჩხალთის, გენწვიშის) და ამბულატორიის აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად საქართველოს მთავრობის მიერ გათვალისწინებული სახსრები ათვისებულია სრულად, გადახურულია 4000 კვადრატული მეტრის ოდენობით სახურავი, განხორციელდა კარ-ფანჯრების რემონტი და შემინვა, სხვა სამუშაოები, აგრეთვე დასრულებულია საკენის, ომარიშარის, ხუტიასა და მარჯვენა გენწვიშის ოთხწლიანი სკოლების შენობების მთავარი სარემონტო სამუშაოები, რომლებსაც აწარმოებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტი.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ფინანსთა სამინისტროებისა და „ცეკავშირის“ დახმარებით 1996 წელს კოდორის ხეობაში შეტანილია და მოსახლეობას გაუნაწილდა 251 ტონა პურის ფქვილი, 3500 ლიტრი მცენარეული ზეთი, 22 ტონა შაქარი, 30 ტონა მარილი, 4000 კოლოფი სარეცხი საშუალება, 3040 წყვილი რეზინის ჩექმა, 100 ყუთი ასანთი, 2000 კვადრატული მეტრი მინა, 2500 კვადრატული მეტრი თუნუქის სახურავი.

განცხადებაში ჩამოთვლილია ბევრი სხვა ღონისძიება.

მინისტრთა საბჭო თხოვნით მიმართავს ყველას — პოლიტიკოსებს, მეცნიერებს, ჟურნალისტებს თუ რიგით მოქალაქეებს, ვინც კოდორის ხეობას აირჩევს თავისი სტატიის, მიმოხილვის, რეპორტაჟის, თუნდაც, უბრალოდ, საუბრის თემად, არ გამოიყენონ შეუმოწმებელი ფაქტები, რათა არ გააღიზიანონ ომგამოვლილი და ყოველდღიურად წინა ხაზზე მყოფი მოსახლეობა, რასაც შეიძლება მოჰყვეს გაუთვალისწინებელი მოვლენები და რაზეც პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებათ.

აქვე ხაზგასმულია, რომ მინისტრთა საბჭოს მიერ შექმნილია კომისია და მზადდება გადაწყვეტილებები ხეობისა და გულრიფშის რაიონის ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურის საკითხებზე, მამაპაპური ტრადიციებისა და ადათ-წესების მხარდასაჭერად.

ჩვენ ვერასოდეს შევურიგდებით კოდორის ხეობის პრობლემატიკით პოლიტიკურ სპეკულაციას. არ დავუშვებთ ცალკეულ პირთა ამბიციის დაკმაყოფილებას ისეთ საკითხებზე, როგორიც გახლავთ კოდორის ხეობის გამოყოფა გულრიფშის რაიონიდან, მისი შეერთება რომელიმე რეგიონთან, საგუბერნატორო მმართველობა, რეფერენდუმი და თვითმარქვია არჩევნების გამართვა, ექსპერიმენტები თუ სხვა გადაწყვეტილებანი, რომლებიც ამ ეტაპზე საზიანოა ქვეყნისათვის. დარწმუნებული ვართ, მომავალ პარლამენტში ხეობის მოსახლეობა აირჩევს ღირსეულ ადგილობრივ მკვიდრთ და ხმას მისცემს მხოლოდ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ხუთი წლის განმავლობაში დღენიადაგ იზრუნებენ ხეობაზე და არა სარეიტინგო ექსკურსიით თბილისიდან მავანთა დასანახად ჩასულ პიროვნებებს.

საქართველოს უშიშროების საბჭოს, პროკურატურის, უშიშროების, თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესვეურთა მხარდაჭერით მომავალშიც გააქტიურდება მუშაობა ხეობაში სახელმწიფოს იურისდიქციის განმტკიცებისათვის, ნეგატიური მოვლენებისა და სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად.

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ეწვია ხეობას და დაბრუნებისთანავე ობიექტურად შეაფასა გაწეული საქმიანობაც და გასცა საჭირო დავალებები, რომელთა შესრულება ჩვენს მკაცრ კონტროლზეა აყვანილი.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მინისტრთა
საბჭო.
ქ. თბილისი, 1997 წლის 7 აგვისტო.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

შინ დავბრუნდებით!

აფხაზეთის ქალაქებს ჰაერიდან და ზღვიდან ბომბავდნენ რუსეთის ავიაცია და ხომალდები, სამხედრო ოპერაციებს კი გეგმავდნენ და ამტკიცებდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში გენერალ მიხეილ კოლესნიკოვის ხელმძღვანელობით. ყრილობაზე დაასახელეს ის სხვა რუსი გენერლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ კონფლიქტის გაღვივებაში. სერიოზული პრეტენზიები გამოითქვა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების მიმართ. მათ მხოლოდ დააფიქსირეს საზღვარი მდინარე ენგურის გასწვრივ და ამტკიცებენ, რომ დაამორიმორეს მეომარი მხარეები. სინამდვილეში კი, საომარი მოქმედება იქ შეწყდა სამშვიდობო ძალების შეყვანამდე კარგა ხნით ადრე. რა სიკეთე მოგვიტანა მათმა იქ ყოფნამ? ყრილობაზე ასეთი ფაქტიც ითქვა: რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის პერიოდში აფხაზმა სეპარატისტებმა დახვრიტეს ქართველი ეროვნების 1200 მშვიდობიანი მცხოვრები. ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ სასოწარკვეთამდე მიყვანილმა ადამიანებმა აიღეს იარაღი და გავიდნენ პარტიზანებად, რათა როგორღაც მაინც დაიცვან თავიანთი თავი და ახლობლები?

აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების პროცესზე საუბრისას, ყრილობაზე გამოსულები აღნიშნავდნენ, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის შესახებ, ეს პროცესი საგრძნობლად გააქტიურდა. ორ თვეზე ოდნავ მეტი ხნის განმავლობაში გაკეთდა მეტი, ვიდრე განვლილი ოთხი წლის მანძილზე. უფრო საფუძვლიანად ეკიდებიან პრობლემას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფი, განსაკუთრებით, — საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შემდეგ. ამავე დროს, როგორც ორატორებს მიაჩნიათ, დაულალავი ძალისხმევის მიუხედავად, ქვეყნის ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ შეძლო რეალობად ექცია არსებული შესაძლებლობები. თითქმის ყველა გამომსვლელმა მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს ხელმძღვანელობა იმისათვის, რომ მას არ გადაუდგამს რადიკალური ნაბიჯები და დაჟინებით არ მოუთხოვია რუსეთის სამშვიდობო ძალების გამოყვანა აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან. უფრო მეტიც, გაისმა მოწოდებები, რომ გაიყვანონ რუსეთის მთელი ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან. როგორც ორატორებმა აღნიშნეს, შედეგი არ მოჰყოლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ 17 რეზოლუციასაც. სეპარატისტები არაფრად არ მიიჩნევენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამიტების გადაწყვეტილებებსაც, რაც, ყრილობის მონაწილეთა აზრით, ეჭვქვეშ აყენებს ამ თანამეგობრობაში საქართველოს შემდგომ ყოფნას. ცხადია, რომ პრობლემათა გადაჭრას სჭირდება დრო, მაგრამ ამასთან, არც იმ 300 ათასი სასოწარკვეთილი ადამიანის მდგომარეობა უნდა დავივიწყოთ, რომლებმაც დაკარგეს სახლ-კარი და ახლობლები. თუ უახლოეს მომავალში არ დაისახება პროგრესი მშობლიურ კერებში ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების საქმეში, ამას, შესაძლოა, უფრო ტრაგიკული შედეგები მოჰყვეს.

9 აგვისტოს ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ედუარდ ედიბერიძე,
თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის კორ.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე

8 აგვისტოს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გაიმართა მორიგი საჯარო ვაჭრობა, რომელშიც 8 ბანკი მონაწილეობდა. გაყიდვათა მოცულობამ 583 ათასი ამერიკული დოლარი შეადგინა. ერთი დოლარის ოფიციალურმა კურსმა 0,001 ერთეულით იკლო და 1,287 ლარის დონეზე დაფიქსირდა. საჯარო ვაჭრობის შედეგების და მსოფლიო სავალუტო ბირჟების კროს-კურსების შესაბამისად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 9 აგვისტოდან დაადგინა უცხოურ ვალუტათა ოფიციალური კურსი ლარის მიმართ. მაგალითად, ერთი გერმანული მარკის კურსი 0,6905 ლარს შეადგენს, 1.000 რუბლისა კი — 0,2215 ლარს.

თანამშრომლობა უკეთესად შეიძლება

8 აგვისტოს თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვარდიკო ნადიბაიძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის სამხედრო ატაშე საქართველოში, პოლკოვნიკი სტანისლავ ივანოვი. შეხვედრაზე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ვითარებასა და პერსპექტივებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ სამხედრო უწყებებს შორის საქმიანი და სასარგებლო კონტაქტების მიუხედავად, სამხედრო სფეროში თანამშრომლობა უკეთესის სურვილს ბადებს. ერთადერთი მიმართულება, რომლითაც ურთიერთობის შედეგიანობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ, არის კადრების მომზადება. სხვა მხრივ კი საქართველოს უკეთესი ბალანსი აქვს უკრაინასთან, უზბეკეთთან, პოლონეთთან, ჩეხეთთან, გერმანიასთან და დასავლეთის სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობაში, რომელიც დღითიდღე ვითარდება და ფართოვდება.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ორმხრივი კონტაქტების გაფართოება, რამაც ნატოს „მშვიდობისათვის პარტნიორობის“ პროგრამის მოდელი საუკეთესო საფუძველი იქნება.

საუბარში საქართველოს თავდაცვის მინისტრი კიდევ ერთხელ შეეხო საქართველოსთვის რუსეთის ჯარების დაჯგუფების გამოუყენებელი ობიექტების გადმოცემის საკითხს და დასძინა, რომ ამ პრობლემის მოგვარება იქნებოდა წინგადადგმული ნაბიჯი ორი მეგობარი სახელმწიფოს ურთიერთობაში.

განიხილეს კანონპროექტი

„არქიტექტურულ და სამშენებლო საქმიანობაში სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონპროექტის თაობაზე იმსჯელეს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ შესაბამისი სამინისტროსა და სტრუქტურათა ხელმძღვანელი პირები.

განიხილეს, აგრეთვე, პარლამენტის საშემოდგომო სესიის გეგმის პროექტი.

მოადგილე არსად არ მოსწონთ

დღეს საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარი — საქართველოს რეგიონების“ სხდომაზე განიხილეს დაწყებით პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები. როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტმა ამ საკითხის შესწავლის თაობაზე დავალება მისცა განათლების, ეკონომიკის, ფინანსთა, შრომის, სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების მინისტრებს, ის ფაქტი, რომ დღევანდელ სხდომას აღნიშნული მინისტრების ნაცვლად მათი მოადგილეები ესწრებოდნენ, რჩეულიშვილმა აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან პროფესიული განათლებისადმი გაუმართლებელ უყურადღებობად მიიჩნია. მანვე კრიტიკულად მიმოიხილა საქართველოს ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა.

სხდომაზე განსახილველი საკითხის მიმართ თავისი აზრი გამოხატეს ზემოთ ჩამოთვლილი სამინისტროების წარმომადგენლებმა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და „იბერიამ“.

ასე ფიქრობენ

რუსეთი კვლავაც ცდილობს შეიერთოს ახალი ტერიტორიები

თუ წარმოიქმნება სამართლებრივი კოლიზიები, მაგალითად, რუსეთის პარლამენტის ერთ-ერთი პალატა არ დაამტკიცებს საერთაშორისო ხელშეკრულებას, ყველა სადავო საკითხი გადაწყდება კანონპროექტის ამავე თავში გათვალისწინებული წესით. თუკი ფედერალური საკრებულოს პალატის შეკითხვის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური სასამართლო საერთაშორისო ხელშეკრულებას კონსტიტუციის შეუსაბამოდ მიიჩნევს, რუსეთის პრეზიდენტი იძულებული გახდება გაიწვიოს როგორც თავად ხელშეკრულება, ისე რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტის მიღების შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტიც.

კანონპროექტის მესამე თავში რეგლამენტირებულია რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ახალი სუბიექტის წარმოქმნის წესი ჩვენი ქვეყნის რეგიონებს შორის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შედეგად. ინიციატივა ყველა შემთხვევაში ეკუთვნის იმ სუბიექტებს, რომელთა ტერიტორიული საზღვრები უნდა შეიცვალოს, ასე რომ, ცენტრის დიქტატი აქ გამორიცხულია. ახალი სუბიექტის წარმოქმნის საბოლოო გადაწყვეტილებას კი იღებს რეფერენდუმზე ამით დაინტერესებული რეგიონის მოსახლეობა.

და, ბოლოს, მოსაზღვრე უცხოური სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის რუსეთთან მიერთების შედეგად რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ახალი სუბიექტის წარმოქმნის წესის მთელი რიგი თავისებურებები გამოყოფილია ცალკე მეოთხე თავში, რომელშიც, კერძოდ, გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის ახალ სუბიექტში მისი მოსაზღვრე რუსეთის რაიონების შეყვანის შესაძლებლობა, ოღონდ იმ რეგიონის მოსახლეობის თანხმობით, რომელიც ამის შედეგად იძულებული იქნება დათმოს თავისი ტერიტორიის ნაწილი.

ერთი სიტყვით, კანონპროექტში აღწერილი და რეგლამენტირებულია პრაქტიკულად ყველა შემთხვევა, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ფედერაციის ახალი სუბიექტების შექმნის დროს. თუმცა, ჯერჯერობით არც ერთ უცხოურ სახელმწიფოს არ გამოუთქვამს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის სურვილი. ამგვარი თხოვნა ოდესღაც გაისმოდა აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის ხელისუფალთაგან, მაგრამ არც საქართველო, არც მოლდოვა სერიოზულად არ აღიქვამენ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ამ დემარშებს, წარმონაქმნებისა, რომლებიც არ უცნია საერთაშორისო გაერთიანებას. ამავე დროს, ამ კანონპროექტის თანახმად, დნესტრისპირეთმა, რომელსაც რუსეთთან საერთო საზღვარი არა აქვს, საერთოდ არ უნდა იქონიოს რუსეთის ფედერაციასთან შეერთების იმედი. მაგრამ ბევრი დეპუტატი სამართლიანად ვარაუდობს, რომ, თუ მოსაზღვრე სახელმწიფოთაგან, მაგალითად, ბელარუსისაგან, მაინც მოვა თხოვნა რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ, ჩვენმა ქვეყანამ ნაჩქარევად არ უნდა მიიღოს ასეთი პროცესის მარეგლამენტირებელი ნორმები. ამასთან, კონკრეტული სიტუაციის მისადაგებით შექმნილი კანონი გარდაუვალად იქნება ზარალიანი და ვერც იმოქმედებს სხვა შემთხვევებში.

სხვათა შორის, ბელარუსს, ამ კანონპროექტის თანახმად, შეუძლია ჰქონდეს იმის პრეტენზია, რომ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შექმნას არა ერთი, არამედ რამდენიმე სუბიექტი. მაგრამ ჯერჯერობით დებულება, რომელიც უშვებს რუსეთის ფედერაციის სუბიექტის სტატუსის მინიჭებას არა მთლიანად უცხოური სახელმწიფოსათვის, არამედ მის შემადგენლობაში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნებისათვის, შემოთავაზებულია როგორც კანონის მესამე მუხლის ვარიანტი. თუ ამ დებულებასა და მასთან დაკავშირებულ ნორმებს მიიღებენ, დროთა განმავლობაში რუსეთ-ბელარუსის ფედერაციის წარმოქმნის შესაძლებლობა გაიზრდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს შეესაბამება ორი სლავური სახელმწიფოს ლიდერთა ინტერესებს.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

„ნეზავისიმაია გაზეტა“.
1997 წლის 7 აგვისტო.

რეფორმა

მცირე ბიზნესის განვითარებისათვის

8 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში გაიმართა მცირე ბიზნესის განვითარების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა ეკონომიკის მინისტრი ვლადიმერ პაპავა.

მოისმინეს ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ფონდის მიერ გაწეული მუშაობისა და 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად წარმართვისათვის და პირობების განსაზღვრის შესახებ.

განიხილეს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების განვითარების წესი, აგრეთვე, მოსახლეობაში იოდირებული მარილის შემოტანისა და რეალიზაციისათვის ტენდერის გამართვის პირობები.

ექსპერტიზა

აფხაზეთი: შუქი გვირაბის ბოლოს?

დიდ პოლიტიკაში შემთხვევითი დამთხვევები, ან იმპულსურ-ემოციური რეაგირება პრაქტიკულად გამორიცხულია. მაშინაც კი, როდესაც ესა თუ ის ლიდერი საჯაროდ აცხადებს, რომ „ოპერატიულად“, წინასწარი ანალიზისა და გათვლების გარეშე მიიღო ესა თუ ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ეს ჟურნალისტებსა და გულუბრყვილო აუდიტორიისთვის განკუთვნილი ეფექტური ჟესტია და მეტი არაფერი. არც რუსეთის პრეზიდენტს მიუღია ვოლგისპირა სანატორიუმში ნაუცბადევად გადაწყვეტილება, ბოლოს და ბოლოს თავისი სიტყვა ეთქვა აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით და რეალური ნაბიჯიც გადაედგა ამ მიმართულებით.

მაინც რამ განაპირობა რუსეთის ხელისუფლების ასეთი დიპლომატიური გააქტიურება? უკანასკნელ წლებში ხომ მოსკოვის დაინტერესება ამოიწურებოდა მშვიდობისმყოფელთა მანდატის პერმანენტული გაგრძელებით, დსთ ჩარჩოებში ამორფული გადაწყვეტილებების მიღებით და „სანტა ბარბარასავით“ გაჭიანურებული და უინტერესო „კონსულტაციებით“?

მოვლენათა „ლოგიკური“ განვითარებით ბევრი რამ არც ამჯერად უნდა შეცვლილიყო. როგორც გულახდილი ცინიზმით წერდა კარგად ინფორმირებული რუსული პრესა, კონსულტაციებისა და „კომპრომისთა ძებნის“ ფონზე უმტკივნეულოდ გაგრძელდებოდა მანდატის ვადა, ხოლო პრობლემის რეალურ ინტერნაციონალიზაციასა და გაეროს ქმედით ჩარევას მოსკოვში არავინ ვარაუდობდა.

სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა (შეიძლება შეიარაღებული თვალისათვის ნაკლებად შესამჩნევად), საქართველოს პარლამენტის 30 მაისის დადგენილების მიღებისა და, განსაკუთრებით, აშშ-ში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ.

თუ შეიძლება ანალიტიკურ გათვლაში დაშვებულ შეცდომაზე ლაპარაკი (ალბათ შეიძლება), მოსკოველმა ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს „პიროვნული ფაქტორი“ — ჩვენი პრეზიდენტის მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი. საბოლოო ჯამში, რუსეთის ხელისუფალთ სრული საშუალება მიეცათ კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყვნენ აშშ და გაეროს სახით ფართო საერთაშორისო წრეების მზარდ პოზიტიურ დაინტერესებაში საქართველოთი და მთლიანად კავკასიით.

რუსეთი ორი გლობალური მნიშვნელობის მქონე ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, რომლის იგნორირება უკვე აღემატება მის დღევანდელ ძალებს. პირველი გახლავთ საერთაშორისო ასპარეზზე აშშ გავლენისა და როლის უპრეცედენტო ზრდა (თავის ერთ-ერთ ბოლო წიგნში — „დიპლომატია“ ჰ. კისინჯერი საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ დადგა ამერიკის საუკუნე). სხვა საკითხია, თუ რამდენად მოსწონთ ეს მოსკოვში, მაგრამ იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ რეალობას — ვაშინგტონის გარეშე, ან მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ არაფერი მნიშვნელოვანი არ მოხდება საერთაშორისო ცხოვრებაში. მეორე, უკვე ჩვენთვის განსაკუთრებული ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, ქართულმა დიპლომატიამ შესძლო შედარებით მოკლე პერიოდში არა მხოლოდ გამოეყვანა ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციიდან, არამედ ცივილიზებული მსოფლიოს სტაბილური და მზარდი ავტორიტეტიც უზრუნველეყო. დღეს თუ საქართველოს რეალობას (რეფორმათა ტემპებს, საბაზრო ეკონომიკის პერსპექტივას), მაღალ შეფასებას აძლევს ისეთი „ცივსისხლიანი“ ფინანსური გიგანტები, როგორიც საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკია, ეს უკვე პლანეტარული მნიშვნელობის ატესტატი და „დახასიათება-რეკომენდაცია“ გახლავთ.

აღარ შევუდგები ელცინის ცნობილი განცხადების დეტალურ ანალიზს. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა გასული ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში აღნიშნა, მასში „ფაქტობრივად, ჩამოყალიბებულია კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგების კონცეფცია“. ამჯერად ჩვენთვის გაცილებით საყურადღებო საკუთრივ რადიოინტერვიუა.

ედუარდ შევარდნაძემ არც ამჯერად უღალატა თავის ფრთხილსა და მოზომილ სტილს და შემთხვევით არ ახსენა „კონცეფცია“; უკანასკნელი ხომ ამა თუ იმ საკითხზე, ან პრობლემაზე შეხედულებათა არსია და არა დროში დაკონკრეტებული და მკაცრად განსაზღვრული მოქმედების გეგმა.

სამწუხაროდ, ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმ ფაქტს (შეგუებით კი ვერც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ამას ვერ შეეგუება), რომ ხელისუფლების „შეურიგებელი“ ოპოზიცია სისტემატურად ცდილობს შიდაპოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოიყენოს ქვეყნის წინაშე მდგომი ნებისმიერი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა. ბევრმა არც ამჯერად უღალატა რჯულზე უმტკიცეს ჩვეულებას და ხელისუფლება ახალ „სასიკვდილო ცოდვაში“ — პოლიტიკურ გულუბრყვილობაში დაადანაშაულა; რუსეთმა ბევრჯერ დაგვტოვა პირში ჩალაგამოვლებული და ახლაც იგივე გველისო. რუსეთის შუამავლობას და რუსეთის ინიციატივით ხელმოწერილ დოკუმენტებს რომ დიდი არაფერი სიკეთე არ მოუტანია ჩვენთვის, სხვაზე უკეთ თვითონ პრეზიდენტმა იცის, მაგრამ სხვისგან განსხვავებით მან ისიც იცის, რომ პოლიტიკაში, თუნდაც რეალური ფაქტების აბსოლუტიზირება დილეტანტიზმია.

1992 წლის შემდეგ მოსკოვი არასოდეს მდგარა ასეთი უკომპრომისო ალტერნატივის პირისპირ: ან ერთხელ და სამუდამოდ უნდა თქვას უარი თავის კავკასიურ ინტერესებსა და ამბიციებზე (აფხაზეთში წარუმატებლობა „დომანოს ეფექტს“ დასაწყისი იქნება მისთვის მთელ კავკასიაში), ან მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი უნდა აამოქმედოს სეპარატისტთა „მოსათვინიერებლად“. არ მსურს მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ პრიმაკოვის მოსალოდნელი ვიზიტიც იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთი, ჭრაჭუნით, უხალისოდ, მაგრამ მაინც იხრება მეორე ვარიანტისაკენ, უბრალოდ, სხვა გზა აღარა აქვს.

კი, ყველა ოპონენტს ერთად დავეთანხმები, რომ ჯერ კიდევ ბევრია ურთიერთგამომრიცხავი ქმედებანი და განცხადებები რუსეთის მხრიდან; განა თვითონ საქართველოს პრეზიდენტმა არ მიუთითა ზემოხსენებულ რადიოინტერვიუში იგივე საგარეო საქმეთა სამინისტროს არალოიალურ (საქართველოსთან მიმართებაში) პრაქტიკაზე? თუ უწყების ხელმძღვანელის (პრიმაკოვის) თბილისში და სოხუმში ვიზიტის მთავარი მიზანია კონფლიქტის მოგვარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის კონტექსტში, რაც ჯერჯერობით რთულდება სოხუმის ხელისუფალთა დღევანდელი უკომპრომისო პოზიციის გამო, განა ეკონომიკური სანქციების უპირობო მოხსნა მათთვის პოზიტიურ სტიმულად იქცევა? გარდა ამისა, მართლაც ვინ მისცა რუსეთის რიგით უწყებას (ფინანსთა სამინისტროსგან განსხვავებით მისი ხელმძღვანელი ვიცეპრემიერი ხომ არ არის?), თანამეგობრობის ლიდერთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის, ან რევიზიის უფლება? და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, ნურც იმაზე დავხუჭავთ თვალს, რომ ბერეზოვსკისთან შედარებით, ახალი ვიზიტიორი გაცილებით მაღალი რანგისაა, თანაც რუსეთის ამ ყალიბის მოხელეთათვის სანუკვარი შვებულება-დასვენებაც არ აცალეს და არცთუ იოლი და მისთვის სასიამოვნო მისია „აჰკიდეს“. პირადად პრიმაკოვზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ის, ალბათ, შეურიგებელ მოწინააღმდეგესთან, მაგრამ დასავლეთელ ინტელიგენტთან — სოლანასთან ათჯერ პაექრობას ამჯობინებდა ფანატიკოს-სეპარატისტ არძინბასთან ერთხელ „კონსულტაციას“. ღმერთმა ნუ ქნას, რომ გავთვალო რუსეთის ნომერი პირველი დიპლომატის მისია სოხუმში, მის წარმატებაზე სხვაზე ნაკლებ ჩვენც არ უნდა ვიყოთ დაინტერესებული. არც ის არის გამორიცხული, რომ როგორც ედუარდ შევარდნაძე ვარაუდობს, მოსკოვმა პრინციპში უკვე შეათანხმა სოხუმთან მომავალი დოკუმენტის ძირითადი მომენტი — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ლტოლვილთა დაბრუნება. მართალია, „მუნჯის ენა დედამ იცის“, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ სხვადასხვა ენაზე ელაპარაკებიან მოსკოვში აფხაზ სეპარატისტებს. უკანასკნელთ კი აზრადაც არ მოსდით, რომ იგივე ბაბურინების, ჟირინოვსკების, თუ ზიუგანოვებისათვის, ისევე უცხოა აფხაზი ხალხის ტრაგედია, როგორც ახალი ზელანდიელი ბუშმენების ადათ-ჩვევები. ნუთუ არძინბას გარემოცვაში ერთი მეტ-ნაკლებად კვალიფიციური პოლიტოლოგიც არ მოიძებნება, რომელიც გასაგები ენით აუხსნიდა სეპარატისტებს, რომ პროაფხაზური და ანტიქართული ტირადები რუსეთის საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში (და მათი გამოძახილი პრესასა და ტელევიზიაში) მხოლოდ კონიუნქტურული ინტრიგებია. კომუნისტი ზიუგანოვიც რომ ყოფილიყო დღეს რუსეთის პრეზიდენტი, ისიც ასევე საჯაროდ აღიარებდა საქართველოს (და ნებისმიერი სხვა ხახელმწიფოს) ტერიტორიულ მთლიანობას.

ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში ასწავლიან, რომ ცუდი მაგალითი გადამდებია. ყველამ აითვისა რუსეთში ჩეჩნეთის გაკვეთილები. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ზოგი ხმამაღლა ლაპარაკობს ამას, ზოგი კი — სდუმს. არც საქართველოა დღეს ტყეში გზააბნეული წითელქუდა. მართალია ჩვენი არმია რეალურ ძალას არ წარმოადგენს რუსეთის გენერალიტეტის თვალში, მაგრამ, მადლობა ღმერთს, კარს 21-ე საუკუნე გვიკაკუნებს და არა მე-17, — ანექსიებისა და ოკუპაციების დრო ისტორიკოსთა საკუთრებად იქცა. ან კიდევ, ნუთუ ისე გააბეცა სეპარატიზმის ვირუსმა აფხაზეთის დღევანდელი ლიდერები, რომ სერიოზულად სჯერათ რუსეთის კმაყოფაზე დიდხანს ყოფნის რეალურობა? საკუთარი გაზეთისა და ტელევიზიის გარდა, არაფერს კითხულობენ და უსმენენ? ჩეჩნეთი ხომ ათჯერ უფრო მნიშვნელოვანია რუსეთისათვის და მისთვისაც არ ჰყოფნის მოსკოვს ფული. 960 მილიარდ დოლარს ითხოვს გროზნო, 800 მილიარდი რუბლი გამოყო რუსეთმა ბიუჯეტით, მაგრამ წელი გადის და ერთი რუბლიც არ ჩაუტანიათ ჩეჩნეთში. ან ვის როგორ დაეხმარება რუსეთი, როდესაც თვითონ დღითიდღე უგრძელდება დასავლეთისაკენ გაშვერილი ხელი? ნუთუ ვინმე იმედოვნებს, რომ დასავლეთის კრედიტების შემყურე ქვეყანა არძინბას აპარატის ხელფასებზე ფიქრით აიტკივებს თავს? თუ ამ ელემენტარულ რეალობაში ვერ ერკვევიან სოხუმში, ეგებ, მართლაც სჯობდეს ცოტა ხნით კიდევ იყვნენ მარტონი და დროს მივანდოთ მათი განკურნება ილუზიებისაგან?

ეჰ, უბრალო ხალხმა რა დააშავა, თორემ სულო ცოდვილო, ლიდერები ნამდვილად იმსახურებენ „დამოუკიდებლობას“.

უკანასკნელი დღეების რუსეთის პრესაში ხშირად შეხვდებით ტერმინს „გარღვევას“ („პრორივ“). უმეტესად ეს აფხაზეთის პრობლემასთან კონტექსტში იხმარება. თუმცა თუკი მართლად მოხდა გარღვევა და მოსკოვში საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით იქნა ხელმოწერილი დოკუმენტი შემდგომი რეალიზაციის რეალური მექანიზმით (ისე არანაირი „პროტოკოლი“ არ არის თვითმიზანი), ეს მნიშვნელოვნად გააძლიერებს რუსეთის ავტორიტეტს მთელს კავკასიაში. რეგიონი უკვე იქცა კრემლის, როგორც საშინაო, ასევე, საგარეო პოლიტიკის ყველაზე სუსტ ადგილად.

ნატოსთან, ასე თუ ისე, ურთიერთობის გარკვევის შემდეგ, შესამჩნევი სტაბილიზაცია შეიმჩნევა დასავლეთის მიმართებულებაში. „მეგობარი ბილი“ და „მეგობარი ჰელმუტი“ ყოველნაირად ცდილობენ პრეზიდენტობის დასკვნითი წლები გაუადვილონ „მეგობარ ბორისს“, რათა უკანასკნელის მიერ შერჩეულ მემკვიდრეს (ბუნებრივია, დასავლეთისთვისაც მისაღებ, ვთქვათ, იგივე ნემცოვს), გამარჯვების რეალური შანსი ჰქონდეს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. ერთადერთ სერიოზულ „პროკოლს“ „კავკასიის ფრონტი“ წარმოადგენს. ჯერ იყო და, წკიპზე გადარჩა ინგუშებსა და ოსებს შორის რის ვაი-ვაგლახით შენარჩუნებული მშვიდობა (თუკი მშვიდობა ჰქვია იმას, რაც იქ ხდება), მერე, ერთობ „ორიგინალურად“ მიულოცეს შვებულებიდან დაბრუნება ელცინს ჩეჩნებმა — 6 აგვისტოს რუსეთისათვის აშკარად დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ მასშტაბებსა და ფორმებში იზეიმეს გროზნოს გათავისუფლების თარიღი, ხოლო პრეზიდენტმა მასხადოვმა კი მთელი მსოფლიოს გასაგონად, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და ელჩების გაცვლა შესთავაზა ელცინს.

მართლაც საინტერესო პასაჟია — ჩეჩნები ერთდროულად „დე ფაქტო“ და „დე იურე“ ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობასაც მოითხოვენ მოსკოვისაგან და — ზღაპრულ თანხასაც დანგრეული ქალაქების აღსადგენად. ამას უკვე კონტრიბუცია ჰქვია. გროზნოში ზეიმამდე რამდენიმე დღით ადრე კი თურქმენეთში სასწრაფოდ ჩასულმა ჩერნომირდინმა აზერბაიჯანთან ადრე დადებული ხელშეკრულების ფაქტობრივი დენონსაცია გამოაცხადა, რაც კასპიის ერთ-ერთ პერსპექტიულ ნავთობის საბადოზე ბაქოსა და აშხაბადს შორის გაჭიანურებულ დავაში ორიენტაციის შეცვლას და უკვე თურქმენეთის მხარეზე გადასვლას მოასწავებს. ბუნებრივია, ასეთ დემარშს ბაქოში ტაშით არ შეხვდებიან. არც ეს აკმარა ბედმა რუსეთს და ერევნიდანაც გაისმა საყვედურის ხმა, რომელსაც მოსკოვში ძლიერი სომხური ლობიც შეუერთდა. სომხებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის მაღალ მოხელეთა სიხარბეს ემსხვერპლა კავკასიაში ყველაზე საიმედო სტრატეგიული კავშირი და აფრთხილებენ მოსკოვს, რომ თუ იგი ხვალინდელ ნავთობდოლარებში (სომეხ ექსპერტთა აზრით, არცთუ რეალურში), გაცვლის დღევანდელ ერთგულ მოკავშირეს, ერევანსაც აქვს საპასუხო სვლების გაკეთების შესაძლებლობა.

ასეთი არასრული სურათიც კი საკმარისია იმის მისახვედრად, რომ რუს პოლიტიკოსებს დღეს აღარა აქვთ კავკასიაში დიპლომატიური მანევრირების ტრადიციული სივრცე. ამიტომაცაა, მათთვის პრიორიტეტული საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზაცია და მაინც, როგორც ხშირად იმეორებდა „რკინის კანცლერი“ ბისმარკი, პოლიტიკაში არასოდეს არაფერი არ არის წინასწარ გარანტირებული, ყველაფერია მოსალოდნელი (უფრო სწორედ, არაფრის კატეგორიული გამორიცხვა არ შეიძლება), ამიტომაც მოითხოვს იგი თავის „მსახურთაგან“ (ვინც ერთხელ და სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება პოლიტიკას), თავზეხელაღებული დუელიანტისა და ზუსტი გათვლების მოყვარული მოჭადრაკის თვისებებს.

მე იმ სპეციალისტთა რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას შეცდომა არ დაუშვია საგარეო პოლიტიკაში. იგივე აფხაზეთის საკითხში მან უკვე სრულად გამოავლინა ობიექტურ რეალობათა ადეკვატურად აღქმის უნარი, განვლო კომპრომისთა საკუთარი მონაკვეთი. იქეთ უკვე ეროვნული ინტერესების ხელყოფის სფეროა და ერთ ნაბიჯსაც აღარ გადადგამს. ახლა უკვე რუსეთმა უნდა დაამტკიცოს, რომ გულწრფელად სურს ბოლო მოუღოს კონფლიქტს (სეპარატისტთა „დამოუკიდებელ“ პოზიციაზე სერიოზულად ლაპარაკი აბსურდია). ამ დროს ეს მისი უკანასკნელი შანსია. ხვალ სხვამ შეიძლება მეტი წარმატებით იკისროს ეს მძიმე მისია.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

სოსო ცინცაძე,
დიპლომატიური აკადემიის
რექტორი.

საქართველოს რესპუბლიკა
№191. შაბათი, 9 აგვისტო, 1997 წელი.

კომენტარი

ქართული სახელმწიფოს სამსახურში

— პასუხი ცოტა შორიდან უნდა დავიწყო. საქართველოში ეს სამსახური ადრეც არსებობდა, მაგრამ, როგორც მაშინ იყო მიღებული, შესაბამის საკავშირო სტრუქტურას ექვემდებარებოდა. ადვილი მისახვედრია, რომ ცენტრიდან ნებართვის გარეშე სრულიად [illegible] სამუშაოს შესრულებაც არ შეგვეძლო. 1991 წელს შეიქმნა გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი, მაგრამ ძალიან მალე გამოაშკარავდა ამ „[illegible]“ შეუთავსებლობა. სწორედ ამან განაპირობა შემდგომში გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს შექმნა. მაგრამ დროთა განმავლობაში ისევ [illegible] გვიკარნახა მისი უფლებების გაზრდის აუცილებლობა, რადგან ასეთი სამსახური დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ატრიბუტია. თავად განსაჯეთ: გეოდეზიური და კარტოგრაფიული მონაცემების გარეშე წარმოუდგენელია თავდაცვის, ურბანიზაციისა და მშენებლობის, გარემოს დაცვისა და სხვა უწყებათა არსებობა. ჩვენ ვჭირდებით გეოლოგებსაც და მენავთობეებსაც, მაღაროელებსაც და გზის მშენებლებსაც. ერთი სიტყვით, დეპარტამენტის უმთავრესი მიზანია საჭირო გეოდეზიური მონაცემებითა და კარტოგრაფიული მასალებით მომარაგოს ეროვნული მეურნეობის აბსოლუტურად ყველა დარგი. აქვე დავძენ, რომ გაეროს ექსპერტთა გაანგარიშებით საქართველოს უცხოეთის მეშვეობით ანალოგიურ სამუშაოთა შესრულება ათჯერ და უფრო მეტად ძვირი დაუჯდებოდა. ასე რომ, აქ პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთს მჭიდროდ გადაენასკვა...

— *უნდა ვივარაუდოთ, რომ სათანადო ბაზაც არსებობს...*

— რა თქმა უნდა! ცარიელ ადგილზე არაფერი იქმნება. თავისთავად ცოტას როდი ნიშნავს, რომ ქართულ კარტოგრაფიას თითქმის 300 წლის ისტორია აქვს. მხედველობაში მაქვს XVIII საუკუნის ოციანი წლები, როცა დიდმა სულხან-საბამ პირველი რუკა შექმნა, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილმა 1735 წელს კიდევ უფრო სრულყო იგი. ვსარგებლობ შემთხვევით და გაუწყებთ, რომ კარტოგრაფიული ფაბრიკა ვახუშტის დაბადების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ უნიკალურ ატლასებს ამზადებს.

როცა ბაზაზე ვსაუბრობთ, ხაზი უნდა გავუსვათ მთელს კავკასიაში ერთადერთ თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკას. ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია აგრეთვე აგროგეოდეზიური საწარმო, ტოპოგრაფიული ტექნიკუმი და გეოდეზიური ზედამხედველობის ინსპექცია. ასეთი მრავალფეროვანი ბაზით არც ერთი რესპუბლიკა არ არის განებივრებული... ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვაქვს ყველაფერი, რაც სრულყოფილი გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოებისთვის არის საჭირო.

— *სამუშაოც, ალბათ, თავზესაყრელია.*

— მართალია. საქართველოს სხვადასხვა მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკები აქვს, მაგრამ ყველა მათგანი მოძველებულია. საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ტოპოგრაფიული რუკა ყოველ 5-7 წელიწადში უნდა განახლდეს, 1985 წლის შემდეგ კი საამისოდ არაფერი გაკეთებულა. საჭირო გახდა დარგის სასწრაფო რეანიმაცია, რისთვისაც 1996-2000 წლების პროგრამა შევიმუშავეთ.

— *კონკრეტულად, რას ითვალისწინებს იგი?*

— ყველა იმ სამინისტროსა და უწყების ინტერესებს, რომლებიც გეოდეზიური მონაცემებისა და კარტოგრაფიული მასალების მომხმარებლები არიან. პროგრამა შეთანხმებულია ეკონომიკის სამინისტროსთან და დარგის განვითარების სამ ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს. ესენია: გეოდეზიური ქსელის მოკვლევა და აღდგენა; საქართველოს ტერიტორიის აეროფოტო გადაღება და მის საფუძველზე სხვადასხვა მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკებისა და გეგმების განახლება; კარტოგრაფიული პროდუქციით ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

— *გაქვთ თუ არა ურთიერთობა ახლო და შორეული უცხოეთის ქვეყნებთან?*

— რა თქმა უნდა, გვაქვს. სამთავრობო დონეზე შეთანხმებები გაფორმებულია რუსეთის ფედერაციასთან, ყირგიზეთთან, აზერბაიჯანთან. ასეთივე შეთანხმებები მზადდება უკრაინასთან, უზბეკეთთან, მოლდავეთთან. ჩვენი ორგანიზაციები მონაწილეობენ საერთაშორისო პროგრამაში, რომელიც კავკასიის მთლიან ტერიტორიაზე, მათ შორის, საქართველოს მიწის ქერქის მოძრაობაზე ციკლურ დაკვირვებას ითვალისწინებს. უკვე განხორციელებულია სამი ციკლი, მეოთხე ციკლი 1998 წელს მოეწყობა. ამით დამთავრდება დაკვირვებათა პირველი ეტაპი. მიღებული მონაცემების დამუშავების შემდეგ ხელთ გვექნება უნიკალური მასალა მიწისძვრათა პროგნოზირებისათვის.

— *ორიოდე სიტყვა უახლოეს პერსპექტივაზეც გვითხარით.*

— დაწყებულია აფხაზეთის რუკების განახლება. უკვე დაიბეჭდა ოჩამჩირის, გალის, გულრიფშის რაიონების ახალი ტოპოგრაფიული რუკები, გალისა და ოჩამჩირის რაიონების გეგმები. რაც მთავარია, ხელთა გვაქვს ქართული კარტოგრაფიული შრიფტი. წლეულსვე დამთავრდება ტოპოგრაფიული რუკებისათვის ქართული პირობითი ნიშნების დამუშავება. 1998 წლის მეორე ნახევარში დავიწყებთ ტოპოგრაფიული რუკების გამოშვებას. ეს ქართული არმიისათვის კარგი საჩუქარი იქნება.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენთან იმყოფებოდა გერმანული ფირმის არტ-ლინის პრეზიდენტი ბატონი არტმანი. მისი ფირმა ამზადებს თანამედროვე კომპიუტერულ სისტემებზე აგებულ პროგრამებს რუკათმომზადებითი სამუშაოების შესასრულებლად, რაც ათჯერ ამცირებს დანახარჯებს. გვინდა, რომ ეს სისტემები ჩვენთანაც დავნერგოთ.

— **ბატონო გივი, კომენტარისთვის დიდი მადლობა. ისლა დაგვრჩენია, ზურგის ქარი გისურვოთ.**

ესაუბრა
ელგუჯა ლებანიძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

პოლემიკა

რომ არ დაირღვეს მხარეთა თანასწორუფლებიანობა

წლეულს, 12 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილის ჯემალ გახოკიძის ინტერვიუ, სადაც განხილულია სასამართლო რეფორმის მნიშვნელოვანი საკითხები. ბატონი ჯემალი ამ საკითხებთან დაკავშირებით წარსულში გაცილებით მართებულად აფასებდა შექმნილ ვითარებას, ვინაიდან ამავე გაზეთში 1993 წლის 7 ივლისს საპირისპირო აზრს გამოთქვამდა: კერძოდ, იგი აღნიშნავდა, რომ ოპერატიული საგამოძიებო სამსახურების (ფუნქციების) დაშორიშორება დიდ სიძნელეებს შექმნიდა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. ამჟამად საკითხს შემდეგნაირად სვამს: „რა არის მთავარი დღეს: გამოძიებისა და ოპერატიული სამსახურის ერთიანობა და ამით გარკვეულწილად ადამიანთა უფლებების დაცვის მხრივ პრობლემების წარმოშობა, თუ გამოძიება ცალკე და ადამიანთა უფლებების დაცვის მეტი რეალური შანსი?!“ შემდგომ ადარებს რა იგი ერთმანეთს ორ მოდელს, ფრანგულსა და ამერიკულს, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით უპირატესობას პირველს ანიჭებს და აღნიშნავს: „ამერიკულ მოდელში უპირატესობა საპოლიციო გამოძიებას ენიჭება. იქ სერიოზული ფიგურაა პროკურორი. ფრანგულში მოსამართლე-გამომძიებელი. ეს არის პიროვნება, რომელიც უზრუნველყოფს მხარეების შეჯიბრებითობას გამოძიების სტადიაზე. ერთი მხარე – ბრალმდებელი-პროკურორი, რა თქმა უნდა, მის გვერდით პოლიციაც. მეორე მხარე – ბრალდებული და მისი დაცვა. მოსამართლე-გამომძიებელი, ასე ვთქვათ, შუაკაცია, რა თქმა უნდა, კარგი გაგებით“.

პოლიციური გამოძიებითა და საპროკურორო დევნის ფუნქციებით დატვირთული გამოძიებით დაშვებული ბატონი ჯემალი ოპონენტებს მიმართავს: „ახსნან: რა თანასწორობაზე შეიძლება საუბარი, როცა ფუნქციებით ერთმანეთის გვერდით მდგარ პროკურორსა და პოლიციელს გამომძიებელიც დაემატება? შეძლებს კი მხოლოდ დამცველი ბრალდებულის დაცვას? ამიტომ გაჩნდა ფრანგულ მოდელში, ნაპოლეონის დროს, მოსამართლე-გამომძიებელი, რომელიც ორივე მხარის წარმოდგენილ მტკიცებულებებს აანალიზებს და გამოძიების სტადიაზე წყვეტს დამნაშავეა თუ არა პირი“. ბუნებრივია, ჩვენც გვიჩნდება შემდეგი კითხვა: დღეისათვის დანაშაულის კატასტროფული ზრდის პირობებში. როგორც პოლიციის გენერალს, უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ და პროფესიონალ გამომძიებელს, რა მიგაჩნიათ უპირველეს ამოცანად, დანაშაულის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი მძლავრი მოქნილი სამართალდამცავი ორგანოების შექმნა თუ ბრალდებულის უფლებებისთვის უპირატესი ზრუნვა? თუ თქვენ უპირატესობას ადამიანის უფლებათა (ეჭვმიტანილის, ბრალდებულის) დაცვას მიანიჭებთ, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თვალსაზრისით ფრანგული მოდელი და შესაბამისად საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობა რეაქციულია არა მარტო ამერიკულთან, არამედ სხვა ქვეყნების კანონმდებლობასთან შედარებითაც, მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით საგამოძიებო მოსამართლეს უფლება აქვს ბრალის წარდგენის დროს ბრალდებულს არ გააცნოს ბრალდების მუხლი. ბრალდებულს არ შეუძლია მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებანი, იგი არ ეცნობა წინასწარი გამოძიების მასალებს, არ მონაწილეობს შემთხვევის ადგილის დათვალიერებასა და ჩხრეკის დროს და ა. შ. ჩვენთვის ასევე გაუგებარია, რატომ უნდა გადაწყვიტოს საგამოძიებო მოსამართლემ, დამნაშავეა თუ არა პირი ან რატომ უნდა იყოს შუაკაცი, მომრიგებელი ბრალდებასა და დაცვას შორის, თანაც მასვე მივაკუთვნოთ გამოძიების ფუნქციებიც, ე. ი. მტკიცებულებათა შეკრებისა და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების უფლებამოსილებანი. თუ ჩვენ ვაკრიტიკებდით საბჭოურ პროკურატურას იმ მოტივით, რომ მის ხელში თავს იყრიდა მომეტებული ძალაუფლება, ამ შემთხვევაში გაცილებით მეტი უფლებით აღვჭურავთ სასამართლო გამომძიებელს. სხვადასხვა ქვეყნის მოდელების უსისტემო აღრევით ვქმნით ჩვენეულ მოდელს, სადაც ყველა პირობა იქმნება სასამართლო ბიუროკრატიის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ერთდროულად შეითავსებს ორ განსხვავებულ ფუნქციას ბრალდებისა და საქმის გადაწყვეტის (მართლმსაჯულების განხორციელების) სახით. დემოკრატიული სამართალწარმოების უმთავრეს მოთხოვნას კი ამ ფუნქციათა გამიჯვნა წარმოადგენს.

პრინციპულ საკითხად მივიჩნევთ სამართალწარმოების გამარტივებას და პირიქით, უარვყოფთ თითქოსდა პიროვნების დაცვის უფლების მოტივით მის უთავბოლო გართულებას. დანაშაულის გახსნისა და გამოძიების ფუნქციების სხვადასხვა ორგანოებში გადანაწილება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, საპროკურორო ზედამხედველობის, სასამართლო გამოძიებისა და სასამართლო კონტროლის სახით უდავოდ შექმნის ურთულეს ბიუროკრატიულ ლაბირინთს, სადაც ჩინოვნიკთა ამ უსიერ ტყეში გაუჩინარდება პიროვნების (ეჭვმიტანილის, ბრალდებულის) უფლებები. ამ პირობებში არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდება თვით სამართალდამცავი ორგანოებიც და შეიქმნება გადაულახავი ბარიერი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

უსაფუძვლოა, აგრეთვე, შიში ძლიერი პროკურატურის გამო, იმ მოტივით, რომ თითქოსდა იგი შთანთქავს გამოძიებას, გამომძიებელს კი მეორეხარისხოვან ფიგურად აქცევს. ვფიქრობთ, დავას არც უნდა იწვევდეს პროკურატურის პირველხარისხოვნობა, ვინაიდან იგია ბრალმდებელი და უპირველეს ყოვლისა, მას ეკისრება ბრალდების ტვირთი. მიგვაჩნია, რომ ძლიერი ბრალმდებელი და ძლიერი დამცველი მყარი მართლმსაჯულების გარანტიაა. ერთი მხარის გაძლიერება მეორის ხარჯზე ან სუსტი ბრალდებისა და დაცვის მეშვეობით სასამართლოს როლის ამაღლება აუცილებლად გამოიწვევს მართლმსაჯულების პირამიდისეული აგების პრინციპის დარღვევას, რაც მას უცილობლად თავდაყირა დააყენებს. მხარეთა ურთიერთგაწონასწორების უგულებელყოფა ნიშნავს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის უარყოფას. ეს უკანასკნელი კი ფართო (ფილოსოფიური) გაგებით ნებისმიერი ქმნადობის (განვითარების) საფუძველს წარმოადგენს.

არსებული პრობლემის მართებულად გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, თუ რა მოიაზრება გამოძიების ცნებაში. საბჭოთა საპროცესო კანონმდებლობაში (პრაქტიკაში) ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ფუნქციები ყოველთვის გამიჯნული იყო, რამაც ჩვენში გამოძიების თავისებური გაგება დაამკვიდრა.

დასავლეთში კი, კერძოდ, აშშ-ში გამოძიება გულისხმობს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასაც, შესაბამისად არის აგებული სამართალდამცავი ორგანოებიც. მაგ: აშშ-ში გამოძიების ფედერალური ბიუროს სახით არსებობს უმძლავრესი ცენტრალიზებული საგამოძიებო აპარატი, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას, ასევე არის სისხლის სამართლის სამძებრო ორგანო, ხოლო სისხლის სამართლის სამძებრო პოლიციის ფართო ფუნქციას წარმოადგენს გამოძიება. ხსენებულ ორ ორგანოს შორის კომპეტენციათა გამიჯვნა ხდება არა ფუნქციების, არამედ დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით, ე. ი. დანაშაულის დინამიურობით, მასშტაბურობით, სირთულითა და სხვა მონაცემებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ში გამოძიების ფუნქცია მრავალ უწყებამია გაბნეული. გავრცელებულია კერძო გამოძიებაც, რომელსაც კერძო დეტექტივი და ადვოკატი აწარმოებს.

საკითხისადმი განსაკუთრებით ფრთხილი დამოკიდებულება გვჭირდება მაშინ, როდესაც ვქმნით ერთიან დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოსა და სხვა უწყებებს ვართმევთ ამ ფუნქციას, როდესაც მკვეთრად ვმიჯნავთ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას წინასწარი გამოძიებისაგან და შესაბამისად ვახდენთ სამართალდამცავ უწყებათა მოწყობას. ხომ არ გამოიწვევს ყოველივე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი პროცესის გაუმართლებელ გახლეჩა-დანაწევრებას? ხომ არ აღმოჩნდება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეს ორი მძლავრი საშუალება საყრდენგამოცლილი და ერთმანეთს დაპირისპირებული? ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო ხომ არ გახდება კიდევ ერთი ფორმალურად დიდი უფლებამოსილების, ფაქტობრივად კი, ძალაწართმეული და ოპერატიულ-სამძებრო მოკვლევის სამსახურზე კიდევ უფრო დამოუკიდებელი უწყება?

ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ორგანოების ერთუწყებად შერწყმის შიში იმ მოტივით, თითქოსდა იგი გამოიწვევს ადამიანის უფლებათა შელახვას, საფუძველსაა მოკლებული. წარსულის გამოცდილება ადასტურებს, რომ მასობრივი რეპრესიები ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს გარეშეც იყო გავრცელებული, ვინაიდან არ არსებობდა ადამიანის უფლებათა დაცვის რაიმე მექანიზმი. დღეისათვის კანონმდებელი ამ მხრივ შორს წავიდა. მოვლენები რომ ცალმხრივად არ განვითარდეს, აუცილებელია გამოძიების ინსტიტუტი ახლებურად გავიზიაროთ.

თუ ცივილიზებული მსოფლიოსათვის ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით, ყველაზე პრაქტიკულ და დემოკრატიულ ფორმას შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული სისხლის სამართლის პროცესი და შესაბამისად, ერთმანეთთან დაპირისპირებული ბრალდების (სისხლის სამართლის დევნის) და დაცვის ინსტიტუტებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების სასახლე წარმოადგენს, სავსებით ანომალიურად მივიჩნევთ სასამართლო პროცესამდე დანაშაულის გახსნისა და გამოძიების ღონისძიებათა დანაწევრებას, რაც ამ ორგანოთა ორგანიზაციულ მოწყობაში ვლინდება. ასეთი სახის დანაწილება ბუნებრივად იწვევს პასუხისმგებლობის არასასურველ დაქუცმაცებასაც, ხელს უშლის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის განხორციელებას. იმ შემთხვევაში, თუ საჭიროდ მივიჩნევთ, რომ საგამოძიებო ორგანო ცალკე უწყების სახით არსებობდეს, მაშინ აუცილებელია მასვე ჰქონდეს ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციაც. თავის მხრივ, ვინაიდან დანაშაულის გახსნა და გამოძიება არის ერთ-ერთი უმთავრესი საპოლიციო ფუნქცია, გამოძიება უნდა დარჩეს პოლიციის კომპეტენციამიც, ე. ი. აუცილებელია მოხდეს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ფუნქციათა შერწყმა და არა მათი დანაწევრება. ამ ორ უწყებას შორის კი უფლებამოსილებათა გამიჯვნა განხორციელდეს დანაშაულის დინამიკურობის, მასშტაბურობის და სირთულის მიხედვით.

სამართალწარმოებაში დემოკრატიული პროცესის ათვლის წერტილი უნდა გახდეს შეჯიბრებითობის პრინციპი. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით აუცილებელია კიდევ უფრო გაიზარდოს ადვოკატის ფუნქციაც, მარტოოდენ წინასწარი გამოძიების ადრეულ სტადიაზე დამცველის დაშვებით ეს პრობლემა არ გადაწყდება.

შეჯიბრებითობის პრინციპის უგულებელყოფა დამახასიათებელი იყო საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესისათვის, რაც თავს იჩენდა ე. წ. „შერეული“ პროცესების არსებობით. ე. ი. როდესაც სასამართლო პროცესი უმთავრესად აგებული იყო შეჯიბრებითობის პრინციპზე, ხოლო სასამართლომდე წარმოება სამძებრო ინკვიზიციურ საწყისებს ემყარებოდა. შეჯიბრებითობის პრინციპის იგნორირება განსაკუთრებით ტოტალიტარულ სახელმწიფოში პიროვნების უფლებასთან სახელმწიფო ინტერესების პრიმატში ვლინდება, რაც სასამართლოში საჯარო და კერძო საწყისების თანაფარდობის აშკარა დარღვევაზე მიგვანიშნებს. სისხლის სამართლის პროცესში სამძებრო საწყისების ლიკვიდაცია მოითხოვს არა მარტო იმ ფუნქციების განაწილებას, რომელთაც ასრულებს მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, დამცველი, ადვოკატი, არამედ შეხედულებების შეცვლას პიროვნების, კერძოდ, ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, როგორც გამოკვლევის ობიექტის მიმართ. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ბრალდებულის, თუნდაც, ფართო უფლებით აღჭურვა, რომელთა რეალიზაცია საბოლოოდ გამომძიებელსა და პროკურორზეა დამოკიდებული, არ აქცევს მას სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის სრულფასოვან სუბიექტად. მტკიცებულებების შეგროვების წარმოდგენისა და გამოკვლევის უფლების მინიჭებით ადვოკატმა უნდა შეიძინოს უფრო მაღალი სტატუსი, გახდეს არსებითად თავისებური „გამომძიებელი საზოგადოებიდან“. ეს იქნება ერთგვარი კონტროლი საზოგადოების, მოქალაქის მხრივ სახელმწიფოზე. ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებების შეკრების ძირითადი სიმძიმე პროცესში მონაწილე მხარეებზე გადავა, ამასთანავე, სასამართლოს შეუნარჩუნდება დამატებითი მტკიცებულებების შეგროვების უფლება და არა მოვალეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო, ფაქტობრივად, კვლავ შეასრულებს ბრალმდებლის ფუნქციას.

მიგვაჩნია, რომ სამართალდამცავი ორგანოებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ასეთი სახით გარდაქმნა გაზრდის სასამართლოს შესაძლებლობას, როლსა და ავტორიტეტს, რადგანაც დაპირისპირებული მხარეების ბრალდებისა და დაცვის მიერ თანაბარი უფლებებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ანალიზი და შეფასება, თითქმის, გამორიცხავს უკანონო ბრალდებათა შესაძლებლობას, უზრუნველყოფს განსახილველ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

ზურაბ დგებუაძე,
ადვოკატი.

განსჯა

ქვეყნის დამოუკიდებლობამ საზოგადოება აუცილებელი ცვლილებების წინაშე დააყენა, დრომოჭმული, ტოტალიტარული რეჟიმიდან მემკვიდრეობით შემორჩენილი სამართლებრივი ურთიერთობები ქვეყნის შემდგომი წინსვლა-განვითარების მუხრუჭებად იქცა. ამიტომაც დადგა დღის წესრიგში სამართლებრივი რეფორმის განხორციელება. დღეს განსახილველად წარმოდგენილ საქართველოს სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთა პროექტების შესახებ მინდა გამოვთქვა მოსაზრებები და შენიშვნები.

კანონს წინ უნდა უსწრებდეს ცხოვრების შესაბამისი დონე

ავტორებმა კანონპროექტები საერთაშორისო სტანდარტებს შეუსაბამეს, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო ამ ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში არსებული რეალობანი, ეკონომიკური და სხვა ყოფითი პირობები, რაც მთავარია, ყველა მუხლი შესაბამისი უნდა ყოფილიყო ქვეყნის ძირითადი კანონის — კონსტიტუციისა.

მაღალ დონეზე შედგენილ და სამოქმედოდ მისაღებ ყველა კანონს, მათ შორის სისხლის სამართლებრივსაც, აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს ცხოვრების შესაბამისი დონე, მოსახლეობის თვითშეგნება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოხელეთა მაღალი შრომის ანაზღაურება და სხვა პირობები. უამისოდ, საეჭვოა, იმუშაოს. ის კი არადა, შესაძლებელია ქვეყნის ინტერესების საზიანოდაც იმოქმედოს, სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში სხვა გაუთვალისწინებელი მძიმე შედეგები გამოიწვიოს და ვერ მოგვცეს ის სასურველი ეფექტი, რასაც ამ კანონპროექტებზე ამყარებენ მათი ავტორები და ჩვენი საზოგადოება.

დასამალი არაა, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ამ თვალსაზრისით არადამაკმაყოფილებელი ვითარებაა, დაბალია შრომის ანაზღაურება, მწირია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოკვლევას, გამოძიებას, პროკურატურასა და სასამართლოს ორგანოებს არ გააჩნიათ შრომითი საქმიანობისათვის საჭირო ელემენტარული პირობებიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ტრანსპორტზე, კომპიუტერულ და კრიმინალისტურ ტექნიკაზე, კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებზე და ა.შ., ურომლისოდაც გაჭირდება და, ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელიც გახდება კონკრეტულ საქმეებზე პროექტით გათვალისწინებული ნორმების დაცვით მტკიცებულებათა მოპოვება.

შემოთავაზებულ კანონპროექტში აშკარად შეზღუდულია გამომძიებელზე მინიჭებული პროცესუალური უფლება-მოვალეობები და ამ სახით მისი დატოვება, სამოქმედოდ შემოღება მიზანშეუწონლად, საქმისათვის საზიანოდ მიგვაჩნია, მით უმეტეს, სამართალწარმოების პროცესში არსებული მთელი საქმეების 85 პროცენტს შს სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლები ამთავრებენ.

სსკ-ის პროექტში საერთოდ იგნორირებულია საგამოძიებო სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობები. თუ ამჟამად მოქმედი საპროცესო კოდექსი ამ საკითხს აწესრიგებს, შემოთავაზებული კანონპროექტი ამ მხრივ უკან გადადგმული ნაბიჯია. საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის საქმიანობა აუცილებლად უნდა ასახულიყო კანონში, ვინაიდან ამ საკითხის სხვა, შიდასაუწყებო კანონქვემდებარე აქტებითა და ბრძანებებით მოგვარება ბევრ პრობლემას და უხერხულობებს შექმნის.

მთლიანად ვეთანხმები 1997 წლის 13 ივნისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციას, ასევე 28 ივნისის ამავე გაზეთში შინაგან საქმეთა ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის ავთანდილ ბარამაშვილისა და საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ ხაჟალიას 26 ივნისის „დილის გაზეთში“ გამოთქმულ მოსაზრებებს.

აუცილებლად მიმაჩნია მოვიყვანო ციტატა ჩვენი კოლეგის, ერთ-ერთი ძლიერი თეორეტიკოს-პრაქტიკოსის, ამჟამად უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ჯემალ გახოკიძის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუდან: „არ მინდა კოლეგებმა ისე გამიგონ, თითქოს ჩემი ამ მოთხოვნით ვეწინააღმდეგები კონსტიტუციის დებულებას პროკურორის მიერ სისხლის სამართლებრივი დევნის უზრუნველყოფის თაობაზე, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ გამოძიების სტადიის დროს წარმოქმნილი რეალური სინამდვილე და უფლებები სწორედ ისე უნდა გადავანაწილოთ, რომ გამომძიებელი მეორეხარისხოვან ფიგურად არ ვაქციოთ. პირიქით, კონსტიტუციის 85-ე მუხლის თანახმად, გამომძიებლის როლი დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით კიდევ უნდა გაიზარდოს“.

მომიტევონ სსს კანონპროექტის ავტორებმა, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ გამოძიების და მოკვლევის ფუნქციების განსაზღვრის დროს ამ ორი ორგანოს უფლებები და მოვალეობანი ხელოვნურად არის აღრეული, ხოლო გამომძიებლის სტატუსის განსაზღვრის დროს პროექტის ავტორებს, ალბათ, გამორჩათ გამომძიებლისათვის ებოძებინათ თანამდებობა: „პროკურორის თანაშემწე საზოგადოებრივ საწყისებზე“.

ეს რაც შეეხება კანონპროექტის ზოგად განხილვას. ახლა რამდენიმე კონკრეტულ მუხლზე შევჩერდები:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მიხედვით, ეჭვმიტანილი პირის დაკავებას, მის პოლიციის დაწესებულებაში წარმოდგენას და აღნიშნულთან დაკავშირებული აუცილებელი დოკუმენტების შედგენას 146-ე მუხლი აწესრიგებს, აქვე გამოვთქვამ პრაქტიკოს თანამშრომელთა უმრავლესობის აზრს იმის თაობაზე, რომ კანონმდებელი მომკვლევს, გამომძიებელს დაკავების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შესამოწმებლად უწესებს ძალზე მცირე დროს (3 საათი). ამასთან, ხსენებული მუხლი პირდაპირ ავალებს მომკვლევს, გამომძიებელს, პირის დაკავებიდან 6 საათის განმავლობაში უზრუნველყოს მისი დაკითხვა დამცველის მონაწილეობით, ხოლო დაკითხვამდე დაკავებული უნდა შეამოწმოს ექიმმა. პროექტის ავტორები არ ხსნიან ამ მოთხოვნის შესრულების მექანიზმს, კერძოდ, პრაქტიკაში ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც დანაშაული ხდება ღამის საათებში, ამ პერიოდში შემთხვევის ადგილზე აკავებენ ეჭვმიტანილს, ჩვენს პირობებში ღამის საათებში, სად და როგორ უნდა მოიძებნოს ეჭვმიტანილისათვის სასურველი დამცველი ან ექიმი, თუ გამომძიებელი კანონის ამ მოთხოვნას ვერ შეასრულებს, სახეზეა საპროცესო ნორმების უხეში დარღვევა გამოძიების დაწყების პირველსავე სტადიაზე. გამოძიებით ამ ხარვეზის შემდგომი გამოსწორება შეუძლებელი ხდება, რაც თავის მხრივ, სადავოს გახდის საქმის სასამართლო პერსპექტივას. ასევე არასაკმარისია ეჭვმიტანილისათვის ბრალდების წარსადგენად განკუთვნილი დრო 48 საათი, ამ დროის განმავლობაში გამომძიებელმა უნდა შეასრულოს კოლოსალური სამუშაოები მტკიცებულებათა მოსაპოვებლად, უმრავლეს შემთხვევაში, ჩასატარებელია ჩხრეკები, ამოღება და ა.შ., რასაც მოსამართლის სანქცია სჭირდება, ამასთან, კანონპროექტით ბრალდების წარდგენის უფლება მხოლოდ პროკურორს ეძლევა. დამეთანხმებიან პრაქტიკოსი გამომძიებლები და პროკურორები, რომ შეუძლებელია დროის ხსენებულ მონაკვეთში ბრალდების წარდგენისათვის აუცილებელი ყველა მტკიცებულების თავმოყრა, ეჭვმიტანილისათვის სასურველი დამცველისა და ექიმის მოწვევა, საქმის ქრონოლოგიურ სისტემაში მოყვანა და ამ სახით პროკურორისათვის დამნაშავის მიმართ ბრალდების წარდგენის მიზნით გადაცემა. აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოდგენილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 141-150 მუხლების მოთხოვნები ეწინააღმდეგება ამავე კოდექსის 285-ე მუხლს. ამ მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე პროკურორი, დადგენილებას ბრალდებული პირის საქმეში ჩაბმის შესახებ, საქმესთან ერთად უბრუნებს გამომძიებელს, გამომძიებელი კი, თავის მხრივ, მოვალეა სამი დღე-ღამის განმავლობაში, დამცველისა და პროკურორის მონაწილეობით წარუდგინოს პირს ბრალდება, დაკითხოს იგი ბრალდებულად, 141-150 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად გამომძიებელს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად 48 საათი ეძლევა, პროკურორისგან საქმის მიღების შემდეგ კიდევ სამი დღე-ღამე, კანონმდებელი სრულყოფილად არ განმარტავს ამ სხვაობათა არსს, რაც წინასწარ გამოძიებაში მონაწილე ყველა მხარემ შესაძლებელია თავისებურად გამოიყენოს, ეს კი ძიებაში გაუთავებელი დავის საგანი შეიძლება გახდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, კანონპროექტის ავტორებმა ამ საკითხებს უნდა გადახედონ, გაითვალისწინონ გამოსასვლელი და უქმე დღეებში კანონის მოქმედების ეფექტიანობა და განსაზღვრონ, ასეთ შემთხვევებში, გამონაკლისები.

მისასალმებელია სსკ-ის კანონპროექტში დამცველის ფუნქციების გაზრდა, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ეს ადამიანის, პიროვნების უფლებათა დაცვის გარანტიაა, მაგრამ, თუ შევადარებთ დამცველის და გამომძიებლის უფლებამოსილებას, აშკარად დავინახავთ, რომ ისინი არათანაბარ პოზიციაში იმყოფებიან, კერძოდ:

პროექტის მიხედვით განმარტებითი ბარათის მე-11 პუნქტში, გამომძიებლის უფლებამოსილებათა შესახებ მე-60 და დამცველის უფლებამოსილებათა შესახებ კანონის 84-ე მუხლში აშკარად შეინიშნება გამომძიებლის არათანაბარ პოზიციაში ყოფნა დამცველთან შედარებით, გამომძიებელს შეზღუდული აქვს ყველა უფლება და იგი ფაქტობრივად პროკურორზე, მოსამართლეზე დამოკიდებული ფიგურაა, ამას ემატება დამცველისთვის მინიჭებული ფართო უფლებები და შემოთავაზებული კანონპროექტის მიხედვით იგი დამცველზეც დამოკიდებული ხდება, კერძოდ, დამცველს უფლება ენიჭება გამომძიებლისგან დამოუკიდებლად აწარმოოს გამოძიება პირადად და დეტექტივის მეშვეობით, რასაც მტკიცებულების ძალა ენიჭება. ამ მასალების გამოძიებაში წარდგენის შემდეგ, ყველა შემთხვევაში დამცველი ამ უფლებას გამოიყენებს, გამომძიებელი კი ვალდებულია შეასრულოს საგამოძიებო მოქმედების წარმოების შესახებ ბრალდებულისა და დამცველის მოთხოვნები და უზრუნველყოს მათი განხორციელება (მუხლი 60, „6“ პუნქტი). აღნიშნულით ირღვევა გამომძიებლის სტატუსის შესახებ 59-ე მუხლის მოთხოვნები, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, რომლის შესაბამისადაც გამომძიებელი გადაწყვეტილებებს ღებულობს დამოუკიდებლად.

კანონის ამ მოთხოვნათა ურთიერთშედარებისათვის თვალშისაცემია დამცველის მომგებიან პოზიციაზე ყოფნა, ვინაიდან დამცველის მიერ წინასწარ გამოძიებაში წარმოდგენილ მასალებს გამომძიებელი შეუმოწმებელსა და შეუფასებელს ვერ დატოვებს, არ არის გამორიცხული, რომ წინასწარი გამოძიების მასალები აშკარად საწინააღმდეგო აღმოჩნდეს იმისა, რასაც დამცველი და ბრალდებული წარუდგენენ გამომძიებელს, ამ შემთხვევაში კანონმდებელმა გამომძიებელს უნდა განუსაზღვროს და მიანიჭოს უფლებები დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მასალების მიღების ან უარყოფის შესახებ და ეს უფლებები შემდგომში განსჯის, საჩივრის და დავის საგნად არ უნდა გახდეს. წინასწარ გამოძიებაში ზემოხსენებულ მომენტთა გაუთვალისწინებლობამ შეიძლება წინასწარი გამოძიების ინსტიტუტის საჭიროების საკითხი დააყენოს დღის წესრიგში.

სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში არაფერია ნათქვამი ტრანსპორტზე ჩადენილი იგივე ხასიათის დანაშაულობათა შესახებ, რაც კანონ-პროექტის ხარვეზად მიგვაჩნია, რადგანაც ამ სფეროში მომხდარი დანაშაულობები არ არის უმნიშვნელო და იგი მოგვარებას მოითხოვს.

ჩვენს ქვეყანაში წარმატებით განხორციელებული საგარეო პოლიტიკის შედეგად, საქართველო ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ინტერესების სფეროში მოექცა, იგი მალე ევროპა-აზიის დამაკავშირებელი დარეფანი იქნება. გადაიდგა ნაბიჯები ქვეყნის საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო გადაზიდვებისათვის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, ამიტომაც კარგი იქნებოდა სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის ავტორებს ცალკე თავში მოექციათ ამ სფეროში ჩადენილი ქონებრივი ხასიათის დანაშაულთა აღწერა, რადგანაც ტრანსპორტზე ჩადენილი დანაშაული ერთგვარი სპეციფიკურობით გამოირჩევა და ხშირად საკამათო გამხდარა ისეთი საკითხების გარკვევა, როგორიცაა ქურდობა საცავში შეღწევით. კერძოდ, მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსს დღესაც ყოველმხრივ დაზუსტებულად არა აქვს დადგენილი, შეიძლება თუ არა საცავად ჩაითვალოს საზღვაო ნავსადგურების, რკინიგზის, აეროპორტების ის ღია ტერიტორიები, სადაც აწყვია სხვადასხვა სახის ტვირთები, კონტეინერები და ა.შ.

ვაგონებიდან, კონტეინერებიდან, ცისტერნებიდან, გემებიდან თუ თვითმფრინავებიდან ქონების გატაცების დროს, ჩადენილ დანაშაულთა კლასიფიკაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და თუ კანონმდებლობით უშუალოდ განისაზღვრება ეს არეალი, იგი დიდად შეუწყობს ხელს ამ სფეროში მომხდარ დანაშაულთა სწორ კვალიფიკაციას.

დღეს, არსებულთან შედარებით, ტრანსპორტის ყველა სახეობაში, სამომავლოდ მოსალოდნელია, როგორც ჩვენი ქვეყნის საჭიროებისათვის, ასევე ტრანზიტად სხვა ქვეყნებში მიმავალი ტვირთების მოზღვავება, ტვირთბრუნვის რამდენიმე ათეულჯერ გაზრდა. ასეთ შემთხვევაში არ უნდა გამოვრიცხოთ და მოსალოდნელიცაა ამ სფეროში გახშირდეს, როგორც ქურდობები, ასევე სხვა სახის დანაშაულობები და კანონმდებელთა მიერ ზემოთქმულის გათვალისწინება ბევრ უხერხულობას აგვაცილებდა.

რევაზ გოგელია,
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის სატრანსპორტო საგამოძიებო სამმართველოს უფროსი.

ხელოვანი

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოს“ მაია თომაძე კვლავაც მღერის

მაია თომაძე — საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური ეროვნული თეატრის სოლისტი, ტრაგიკული ბედის პიროვნება იყო. მისი ცხოვრება და საოპერო შემოქმედება გაელვებას ჰგავდა წინააღმდეგობებით აღსავსე ამ მძიმე სააქაოში. მაია სუსხიანი დეკემბრის დღეს 1994 წელს გარდაიცვალა. ეს მოსაზრებები, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, მისი გარდაცვალების შემდეგ არის ჩაწერილი.

ტატიანა დუნინკო — საქართველოს სახალხო არტისტი, კონსერვატორიის პროფესორი, ღირსების ორდენოსანი:

— ბევრი ხელოვანი აღზრდილა ჩემს ხელში, უმრავლესობამ სახელი გაითქვა, როგორც ნიჭიერმა და უზადო მომღერალმა, მაგრამ მაკო ყოველთვის გამორჩეულად მიყვარდა, რადგანაც იგი ამას იმსახურებდა თავისი ნიჭიერებით, შესანიშნავი ხმით და არტისტულობით. ვერ წარმოიდგენთ, როგორ სწრაფად ითვისებდა ნაწარმოებს, როგორ შეეძლო პარტიის გათავისება და მასზე თავგადაკლული მუშაობა. ეს იქნებოდა ვერდი, პუჩინი თუ ფალიაშვილი, ყველა ოპერას ერთნაირად ითვისებდა. 65 წელია ვმუშაობ და გამოგიტყდებით, ასეთი ნიჭის გამოვლინება არ შემხვედრია. საოცარი სულიერი აღმაფრენა ჰქონდა.

მაია მუსიკალურ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. მამა — პეტრე თომაძე ცნობილი საოპერო მომღერალი გახლდათ, დედა — ნათელა სვანიძე კომპოზიტორია. მის აღზრდაში ასევე დიდი წვლილი შეიტანეს ბებიამ და პაპამ — ცნობილმა ექიმებმა აგრაფინა და დამიანე სვანიძეებმა. დედამ იმთავითვე იზრუნა შვილის მომავალზე, როცა იგი მუსიკალურ ათწლედში ვიოლინოს სპეციალობაზე შეიყვანა, რადგან ვიოლინო მომღერლის ჩამოყალიბებისათვის ფასდაუდებელი რამაა. კონსერვატორიაში პროფესორ გულნარა ქართველიშვილის კლასში ირიცხებოდა. მან მართლაც დიდი ამაგი დასდო მაიკოს.

1986 წელს ნოემბერში ბარსელონის ფრანსისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსში მაიამ მესამე ტურში ჟიურის წევრების თხოვნით, რომელთა შორის იყვნენ მსოფლიო ვოკალური სკოლის ვარსკვლავები ირინა არხიპოვა, ჯუზეპე დისტეფანო, მონსერად კაბალიე, რენტა კუპერი და მაგდა ალივიერო, განმეორებით შეასრულა ლეონორას არია ვერდის ოპერიდან „ბედისწერის ძალა“ და არნახულ გამარჯვებას მიაღწია. მან პირველი ადგილი, ოქროს მედალი და გრან-პრი მოიპოვა.

მწამდა, რომ გაიმარჯვებდა, რადგანაც მისი გამორჩეული ნიჭიერება და ღვთიური ხმა ყველას ატყვევებდა.

ნატალია ჭანტურიშვილი — საქართველოს დამსახურებული არტისტი, საერთაშორისო კონკურსების დიპლომანტი:

— მის გვერდით ყოფნა ზეიმი იყო. საოცრად თავდადებით მუშაობდა არიაზე, ყოველ ბგერას მნიშვნელობას ანიჭებდა, იშვიათი სისწრაფით ამუშავებდა როლს და სცენაზე მთელი არსებით მღეროდა.

კონცერტმაისტერისთვის ამაზე დიდი სტიმულის მიმცემი არაფერია. მაიასთან ერთად გასტროლებზე ყოფნა ძალიან მიყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ სასტუმროს ნომერში ჩაიკეტებოდა და მუშაობდა, არ ვავიწყდებოდი და ყველანაირად ცდილობდა, რაიმეთი ესიამოვნებინა ჩემთვის. ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო. ბარსელონაში გამარჯვების შემდეგ რამდენიმე წლით მიიწვიეს ესპანეთში, მაგრამ უარი განაცხადა, რადგანაც ხანგრძლივად საქართველოს გარეშე ცხოვრება არ შეეძლო.

ზურაბ ანჯაფარიძე — საქართველოს სახალხო არტისტი:

— დიდი სიამოვნებით ვისაუბრებ მაია თომაძეზე, როგორც იშვიათ მომღერალზე, მაიას ხმა ამოუხსნელი და ზეციური ხმოვანებისა იყო. მისი ეთერი ჩემთვის დაუვიწყარია. მახსენდება, როგორ მღეროდა „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოს“, რევაზ ლაღიძის „ლელაში“ განუმეორებელი იყო. ასე არც ერთ მომღერალს არ უმღერია. მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი პროფესიონალიზმით შეასრულა სხვადასხვა დროს როლები „მთვარის მოტაცებაში“, „ევგენი ონეგინში“, „ომი და მშვიდობაში“, „დონ ჟუანში“, „აიდაში“, „დონ კარლოსში“ და სხვა (ბოლომდე ვერ ჩამოვთვლი), მისი მთავარი როლი მაინც ეთერია. ფალიაშვილის, ქართული კეთილხმოვანების უიშვიათესი შემსრულებელი მაია რომ იყო, ესეც ლოგიკურია, იგი ბოლომდე ქართული მოვლენაა და ასეთადაც გაეცალა აქაურობას.

მაიას გვერდით ბევრი მომღერალი იზრდებოდა. იგი ყველასგან გამოირჩეოდა და, ალბათ, მისი ბედისწერაც ამით იყო განპირობებული. გული მწყდება, რომ მაიას ხმა თითქმის არ ისმის ტელევიზიით, რადიოთი. ვიცი, გარკვეული მომენტი უშლის ამას ხელს, მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ არ შეიძლება მაიას სოპრანო არ ისმოდეს. მომავალმა თაობამ უნდა შეიგრძნოს მისი მადლიანი ხმის ელვარება.

(ეს ნაამბობი 1996 წლის ზაფხულში, ბატონი ზურაბის ლიკანში ყოფნის დროს ჩავიწერე. მაშინ მან უკურნებელი სენის შესახებ არაფერი იცოდა, მითხრა; „ცხაკურა შემეყარა, ეტყობა ჯერ ახალგაზრდობის ასაკიდან არ გამოვსულვარ და მიხარიაო“. გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე ტელეფონით შევეხმიანე, უგუნებოდ იყო, მაგრამ მაინც ისურვა ლაპარაკი. მითხრა, ამას წინათ რადიო ჩავრთე და უცებ მაიას ხმა მომესმა, ყური მივუგდე და ტკივილების მიუხედავად, ტკბილად ჩამეძინაო.)

ირინა არხიპოვა — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, დიდი თეატრის სოლისტი:

— ქართულ საოპერო ხელოვნებაში მრავალი ვარსკვლავია. ბევრს პირადად ვიცნობ და არაერთხელ აღვფრთოვანებულვარ მათი შესრულებით, მაგრამ მაია თომაძე განსაკუთრებულად დამამახსოვრდა. ის თავისუფლად მღეროდა, მისი ბგერა სუფთა და ხალასი იყო, მისთვის მომისმენია, როგორც ჟიურის წევრსაც და როგორც მსმენელსაც. მოგეხსენებათ, კონკურსის დროს ჟიური განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ყველაფერს — ხმას, სცენურობას, სუნთქვას. მას იშვიათი სმენა და ტემბრის ხმა ჰქონდა. ფრანსისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვების შემდეგ საზეიმო კონკურსზე მაიას შესრულებული „ურმული“ და „სულიკო“ დღესაც მახსოვს. პირველ ტურში ესპანური რომანსი ისე შეასრულა, რომ მახსოვს, ჟიურიმაც ტაშით დავაჯილდოვეთ ესპანელ მაყურებელთან ერთად.

გული მწყდება, რომ იგი აღარ არის, მაგრამ ის, რაც თომაძემ შექმნა, მისი უკვდავებისთვის სრულიად საკმარისია.

მაიას გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ დამესიზმრა: ოქროსფერ სამოსელში გამოწყობილი კიბეზე ადიოდა. კარგად მენიშნა.

მაია თომაძის ძმას — ოპერის მომღერალს სანდრო თომაძეს ღმერთმა შვილი — მაია თომაძე აჩუქა.

მაიას ერთადერთი ძე, გიორგი, ამ დღეს დაოჯახდება, მითხრეს, დიდი დიმიტრი არაყიშვილის შვილთაშვილს ირთავსო. მაიას სული, ალბათ, ხარობს ზეციურ საქართველოში და „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოს“ დაგვმღერის სააქაოში დარჩენილ ქართველებს.

ლეილა კვირიკაშვილი,
საინფორმაციო სააგენტო „გეორგიას“ დირექტორი.

საუნჯე

კეთილი ტრადიციების აღსადგენად...

ქართული ხალხური მუსიკა ეროვნული კულტურული საუნჯის ისეთ ფენომენთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც საყოველთაო აღიარება შესძინეს ქართულ მენტალიტეტს, მსოფლიოს გააცნეს ქართული სული და აზრი. ხალხური შემოქმედება მუდმივ ყურადღებას და გააზრებულ მოპყრობას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში თანდათან მივიწყებას მიეცემა ის ტრადიციები, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში ამკვიდრებდნენ ჩვენი წინაპრები. ქართულ ხალხურ სიმღერას ჩვენში ბევრი მოტრფიალე და მოამაგე ჰყავდა, ისევე ბევრი, როგორც შემსრულებელი და მსმენელი. სამწუხაროდ, დღეს მათი რაოდენობა მცირდება. ამ პროცესის განვითარება კი მომავალი თაობებისათვის სავალალო შედეგებს გამოიწვევს.

ხალხური შემოქმედების ზოგიერთი პრობლემის შესახებ გავესაუბრეთ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს, საქართველოს სახალხო არტისტს ჯემალ ჭკუასელს.

— რა მდგომარეობაშია სადღეისოდ ქართული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორი?

— ქართულმა ხალხურმა სიმღერამ თავისი განვითარების მეტად ძნელი, უპრეცედენტო გზა განვლო.

ლომის წილი უდევს ხალხურ სიმღერას ეროვნული ცნობიერების, სულიერების ჩამოყალიბებაში. იგი ყველგან თან ახლდა ქართველ კაცს და მუდამ მისი არსებობის განუყოფელი ნაწილი იყო.

დღეს ქართული ხალხური სიმღერა თანდათან კარგავს თავის ადგილს ჩვენი ერის ყოფიერებაში, ამას ხელი შეუწყო სოციალური გარემოს შეცვლამაც.

გამომდინარე აქედან და კიდევ სხვა ობიექტურ, თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, ქართული სიმღერა ნელ-ნელა, მაგრამ, მაინც თმობს პოზიციებს, თითქმის ამოვარდნილია ყოფიერებიდან. ჩვენი ქვეყნის არცერთ კუთხეში საზოგადოების თავშეყრის ადგილას აღარ სრულდება ათასწლეულების მანძილზე წინაპრების მიერ სრულყოფილებამდე მიყვანილი ხალხური შემოქმედების შედევრები: საზეიმო, სარიტუალო, საფერხულო, ორპირული გუნდები, კაფიები და სხვა მრავალი. თითზე ჩამოსათვლელია ან სულაც აღარ გვხვდება (ეს ეხება საქართველოს ყველა კუთხეს) ნამდვილი ხალხური სიმღერისა და ცეკვის შემსრულებლები. ამიტომ ქალაქებში მოქმედმა კოლექტივებმა, მომღერლებმა, მოცეკვავეებმა უმეტესწილად დაკარგეს აუთენტურობა, იმპროვიზაციის, თავისუფალი, ინდივიდუალური მუსიცირების უნარი. ვფიქრობთ, ასეთ დროს, სახელმწიფომ, სპეციალისტების აზრზე დაყრდნობით, უნდა იზრუნოს ამ მეტად საშური პრობლემის გადასაჭრელად.

— ეჭვგარეშეა, რომ პრობლემა საკმაოდ რთული და იმავდროულად ძალზე მტკივნეულია. რა პერსპექტივას ხედავთ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

— უნდა აღდგეს კეთილი ტრადიცია ადგილებზე ეთნოგრაფიული გუნდების არსებობისა, რომლებიც მხოლოდ თავიანთი კუთხისათვის დამახასიათებელ სიმღერებს და ცეკვებს შეასრულებენ. უფრო სწორად, აღადგენენ მათ.

ქართული ხალხური სიმღერა შეიქმნა სოფლად და მხოლოდ იქ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ადგილობრივ მომღერალთა, მეცენატთა და ხელისუფალთა დაუღალავი ზრუნვითაა შესაძლებელი მათი შენარჩუნება იმ სახით, რომლითაც იგი ხიბლავს განურჩევლად ყველას. ამის უტყუარი მაგალითია ქართული ხალხური სიმღერის მსოფლიოს რამდენიმე მუსიკალურ შედევრთან ერთად ხელოვნური თანამგზავრის მეშვეობით გალაქტიკაში აჟღერება.

უნდა მოიძებნოს ეფექტიანი საშუალება იმ ადამიანების მატერიალური თუ მორალური წახალისებისათვის, ვინც დღეს თავისი არსებობით დიდ სამსახურს უწევს, პატრონობს ქართულ სიმღერასა და ცეკვას, განსაკუთრებით სოფლად. სამწუხაროდ, მათი რიცხვი ძალზე ცოტაა და ასაკი ხანდაზმული.

— იმისათვის, რომ არ გაქრეს, არ დაიკარგოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ტრადიცია, აუცილებელია მომავალი თაობების მიზანმიმართული აღზრდა. თქვენ, ალბათ, გაქვთ შემუშავებული გარკვეული კონცეფცია?

— აუცილებელ პირობად მიმაჩნია ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებში, სკოლებში, ინსტიტუტებში და სხვა, ბავშვთა, მოზარდთა თუ ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილებში (იქ სადაც ამის საშუალებაა) ჟღერდეს, გაისმოდეს საგანგებოდ შერჩეული ქართული ხალხური სიმღერები და ეს უნდა მოხდეს მეთოდურად, მალდაუტანებლად, ვინაიდან ისინი, ვისაც შეუძლია ასწავლოს ხალხური სიმღერა, ძალზე ცოტანი არიან და ვფიქრობთ, ამ გზით ზემოხსენებული პროცესი ხელს შეუწყობს ახალგაზრდობას გაერკვეს, გაითავისოს და კეთილად განეწყოს ხალხური სიმღერისადმი, რაც ბუნებრივად დააჩქარებს, გაზრდის მისი შესწავლის სურვილს.

— მაგრამ, შესაძლოა განჩნდეს სხვადასხვა პრობლემები. თქვენი კომენტარი...

— ძალზედ მტკივნეულია წვევანდელთა პრობლემა. ვფიქრობთ, გამორჩეული ნიჭის ახალგაზრდები, ე. ი. მომავალი და შევსება ეროვნული საუნჯისა, როგორც გამონაკლისი, არ უნდა იქნენ გაწვეულნი სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რადგან სწორედ ამ წლებში ხდება მომღერალთა და მოცეკვავეთა ფორმირება, გასაწვევთა რიცხვი კი არ აღემატება ყოველწლიურად 20-30 კაცს თბილისში, ხოლო მთლიანად საქართველოს მასშტაბით 50 კაცამდე თუ მიაღწევს. კარგად გვესმის, როცა ჩნდება პრეცედენტი, შეიძლება სხვებსაც მოუნდეთ მსგავსი შეღავათების მიღება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული სიმღერა თავად უპრეცედენტოა, არ გააჩნია ანალოგი ჩვენს პლანეტაზე და მას ქართველი კაცის გარდა ვერავინ უპატრონებს, ამ მცირედი მსხვერპლის გაღებად იგი ღირს, რადგან ეს იქნება დიდი, მასტიმულირებელი საშუალება ახალგაზრდობის მოსაზიდად სახელმწიფო ანსამბლებში, რომელთაგან შეირჩევა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული შემსრულებლები და ამ გზით არანაკლებ სამსახურს გაუწევენ თავიანთ ქვეყანას.

— სადღეისოდ, ხშირ შემთხვევაში ქართულ ხალხურ შემოქმედებას უცხოეთს აცნობენ არცთუ ისე მაღალი დონის თვითმოქმედი კოლექტივები. თუ იცნობთ მათ და რა აზრის ბრძანდებით ამ საკითხზე?

— ცალკე მსჯელობის საგანია საეჭვო რეპუტაციისა და შემოქმედებითი დონის ანსამბლების საზღვარგარეთ მოგზაურობის საკითხი. საქვეყნოდ განთქმული ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა ნაუცბათევად, შემთხვევიდან — შემთხვევამდე შეკრებილი კოლექტივებისათვის უპატიოსნო ბიზნესის წყარო გახდა. ისინი, როგორც წესი, თავიანთი „მოღვაწეობით“ სახელს უტეხენ, არარად აგდებენ ეროვნული საუნჯის ავტორიტეტს მსოფლიოში, რადგან მდარე ხელოვნებით, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით (მხედველობაში გვაქვს ჩაცმულობა, შესრულების დონე, ადგილები, სადაც ისინი გამოდიან, ჰონორარი და ა. შ.) შორს არიან საკონცერტო-საგასტროლო მოღვაწეობისაგან. იყო მრავალი შემთხვევა, როცა თითქოს ფინიშამდე მიყვანილი გარიგება, ხელშეკრულება აღარ დაასრულა იმპრესარიომ, რადგან მას შესთავაზეს ათჯერ და კიდევ უფრო მცირედ ანაზღაურებადი, ანსამბლები, რომლებიც ყოველგვარი გარანტიების გარეშე, თითქმის უპირობოდ, მიემგზავრებიან „გრძელვადიან გასტროლებზე“, ხოლო ჩასელიდან რამდენიმე დღის ან კონცერტის შემდეგ რჩებიან ქუჩაში უპატრონოდ, შემდეგ კი, ვინ იცის, რა გზით მოიპოვებენ უკან დასაბრუნებელ თანხებს. ასეთმა უდიერმა მოპყრობამ ძალზე ცუდი სამსახური გაუწია ჩვენს ფოლკლორს შინ თუ გარეთ, იმდენად, რომ მასზე მოთხოვნილება უცხოეთში უმნიშვნელოა. აქ გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართველი კაცის მენტალიტეტი: თუ უცხომ არ მოიწონა, ჩვენში ავტორიტეტს ვერავინ და ვერაფერი ვერ მოიხვეჭს. ამ კუთხითაც გადაუდებლად მიგვაჩნია პრობლემისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა: კულტურის სამინისტრომ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, იმ უწყებებმა, რომელთა კომპეტენციაშიც შედის შემოქმედებითი ჯგუფის და კოლექტივების საზღვარგარეთ გაშვება, ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ, რათა გზა გადაულობონ ქართული კულტურის ამდაგვარ ექსპორტს. ეს მნიშვნელოვანი საქმეა და, ვფიქრობთ, სულაც არ იქნება დემოკრატიული პრინციპებიდან გადახვევა, რაც შესაძლებელია გვიკიჟინონ კიდეც.

— თქვენი ანსამბლი დღეისათვის უკვე საკუთარ ჭერქვეშ ბინადრობს, ეწევა მოღვაწეობას. ეს პრობლემა უკვე გადაჭრილია, მაგრამ ნებისმიერ საქმიანობას სხვადასხვა პრობლემასთან ერთად მტკიცე მატერიალური ბაზის, დაფინანსების, საკითხიც ემატება. როგორია თქვენი მიდგომა ხალხური ანსამბლების სუბსიდირებასთან დაკავშირებით?

— აზრი იმის თაობაზე, რომ ანსამბლებმა თავი ირჩინონ საკუთარი შემოსავლებით, არარეალურია. თუ რომელიმე ანსამბლის შენარჩუნებაზეა ლაპარაკი, იგი აუცილებლად უნდა დარჩეს სახელმწიფო დოტაციაზე, რადგან არათუ გასტროლების (მხედველობაში გვაქვს ჩვენი ქვეყანა), არამედ კონცერტის გამართვაც კი ჭირს დოტაციის გარეშე. ხოლო სასცენო ქონების, ჩაცმულობის და ა. შ. შეძენაზე ხომ ფიქრიც ზედმეტია.

ხელისუფლების მხრიდან უკვე გაკეთდა კიდევ ერთი საქმე. მხედველობაში მაქვს სახელმწიფო ანსამბლისათვის ყოფილი ოფიცერთა სახლის შენობის გადაცემა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი უწყება დღესაც ვერ შეგუებია ამ ფაქტს, უეჭველია, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის კეთილგანწყობა და 1995 წლის 5 მაისის ადეკვატური რეზოლუცია შენობის კუთვნილების თაობაზე, საბოლოო წერტილს დასვამს სახელმწიფო ანსამბლისა და ქართული კულტურის საკეთილდღეოდ. პრეზიდენტის გარდა, ეს პრობლემა გაითავისა პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ქვანიამაც. მან შესაბამის ინსტანციებს დაავალა ჩვენთვის დახმარების გაწევა.

დღეისათვის შენობამ უკვე დაიბრუნა თავისი პირვანდელი დანიშნულება, სახელმწიფო ანსამბლის გარდა, აქ ეროვნულ საუნჯეს ასობით მოზარდი ეუფლება. იგი გახდა ძველი და ახალი თაობის ხელოვანთა თავშეყრის ადგილი, ახლო მომავალში გაიხსნება ქართული ფოლკლორის მუზეუმი და ა. შ:

ზურაბ ოიკაშვილი.

მეცნიერება

საქართველოს ვარსკვლავეთ ახალი წევრი შეეძინა

სანქტ-პეტერბურგიდან თბილ
სში მცირე პლანეტისათვის სახ
ლის მინიჭების ოფიციალური მ
წმობა მოვიდა, მარმანდელი წლ
დათარიღებული. დოკუმენტში,
რძოდ, ნათქვამია, რომ რუსეთ
მეცნიერებათა აკადემიის თეორ
ული ასტრონომიის ინსტიტუტი, რ
მელიც რუსეთში ხელმძღვანელო
მზის სისტემის მცირე პლანეტ
თა შესწავლისა და კატალოგიზ
ციის სამუშაოებს, საერთაშორის
ასტრონომიული კავშირის სახ
ლით ადასტურებს მცირე პლან
ტათა საერთაშორისო კატალოგ
4737 ნომრით რეგისტრირებულ
მცირე პლანეტისათვის სახელ „კ
ლაძის“ მიკუთვნებას როლან კ
ლაძის პატივსაცემად. მოწმობ
ხელს აწერს ინსტიტუტის დირ
ქტორი ა. სოკოლოვი.

საქართველოს მეცნიერებათ
აკადემიის წევრ-კორესპონდენტ
აბასთუმნის ასტროფიზიკური ო
სერვატორიის გალაქტიკის აგ
ბულებისა და ევოლუციის გა
ყოფილების გამგე, თბილისის ს
ხელმწიფო უნივერსიტეტის პრ
ფესორი როლან კილაძე ათეუ
ლობით ნაშრომის ავტორია. მის
ძირითადი გამოკვლევები ეხებ
მზის სისტემის კოსმოგონი
დარგს, პლუტონის, მცირე პლ
ნეტებისა და დედამიწის ხელ
ვნური თანამგზავრების დინამ
კისა და ასტრომეტრიის პრობ
ლემებს. დახურულ თემატიკაზ
წარმატებული კვლევებისათვის ჯე
კიდევ 1971 წელს ქართველ ა
ტროფიზიკოსს მიენიჭა სსრ კ
ვშირის სახელმწიფო პრემიის ლ
ურეატის საპატიო წოდება.

მცირე პლანეტა, რომელსაც ა
ლახან ოფიციალურად ეწოდა „კ
ლაძე“, 1985 წლის 24 აგვისტოს ა
მოაჩინა ყირიმის ასტროფიზიკ
ობსერვატორიის თანამშრომ
ნიკოლაი ჩერნიხმა. პირველ
მომჩენის უფლებით მან თავად
ნვე ქართველი კოლეგის პატივ
ცემად დაანათლა მისი სახელი
თობს, მაგრამ ფორმალური ნა
ლობისათვის წლებია საჭირო:
მილის ორბიტა ისე უნდა დაზუსტ
რომ იგი აღარ დაიკარგოს...

საინტერესოა, რომ პროფეს
რი ნიკოლაი ჩერნიხი კიდევ ორ
„ქართული“ მნათობის „მამობ
ლია“ „აფხაზეთი“ (1977 წ) დ
„სვანეთი“ (1979წ). ახლა ცის გ
ტნობზე საქართველოს ვარსკვ
ლავეთში უკვე ოცი მცირე პლა
ნეტა შედის (ჯერჯერობით „კი
ლაძეა“ უკანასკნელი), ისე,
ცთომილები სამყაროს მასშტ
ბებით არიან მცირენი, თორ
„კილაძეს“, მაგალითად, 10-
ლომეტრიანი დიამეტრი აქვ

მარმანდელი წელიწადი ბატ
როლანისათვის იმითაც იყო
რსმესანიშნავი, რომ მისი სახ
პატარა ბიოგრაფიასა და ფოტ
სურათთან ერთად შეტანილ
მსოფლიოში დიდად პრესტიჟ
„ჰუ იზ ჰუს“ მე-12 გამოცემა

ჩვენი თხოვნით პროფესორ
როლან კილაძემ შეადგინა „ქ
რთული“ (ანუ საქართველოს
დაკავშირებული სახელებიან
მცირე პლანეტების დაწერილ
ბითი ნუსხა და თუ მკითხველ
მის გაცნობას მოისურვებენ,
გვეიძლია გამოვაქვეყნოთ.

თამაზ ებანოიძ

სულიერება



რელიგია — ყოველგვარი ცოდნის ბალავერი

რელიგიის საკითხებს ჩვენს საზოგადოებაში კომუნისტური მმართველობის პერიოდშიც ამუშავებდნენ. ერთ შემთხვევაში მას შეისწავლიდნენ როგორც გადმონაშთს, რომლის დაძლევა დროთა ვითარებაში გარდუვალად უნდა მომხდარიყო, რათა მის ადგილას დამკვიდრებულიყო ახალი, მატერიალისტურ-ათეისტური მსოფლმხედველობა, რომელიც რელიგიისათვის ადგილს არ ტოვებდა, მეორე შემთხვევაში კი, რელიგიის შესწავლა ხდებოდა ცალკეული რჯულთმოძღვრების მომხრეთა მიერ თავისი კონფესიური ინტერესების გათვალისწინებით. ასეთი მიდგომით, ბუნებრივია, მხოლოდ ერთადერთი რელიგიური მიმდინარეობა ცხადდებოდა ჭეშმარიტად, ხოლო სხვები არასწორ და ცრუ მოძღვრებებად. არცერთ ამ შემთხვევაში არ იყო კვლევის საგნის სრული შეფასების საშუალება. რელიგიის შესწავლა კი, ცხადია, ობიექტურად უნდა ხდებოდეს, რელიგიის განვითარების პროცესის მეცნიერული ანალიზის მეოხებით.

გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობის და ეთიკის კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ფანჯიკიძე.

— ბატონო თეიმურაზ, რის ბაზაზე შეიქმნა რელიგიათმცოდნეობის კათედრა და ფილოსოფიის ფაკულტეტის თეოლოგიის სპეციალობა?

— საბჭოთა ხელისუფლების არსებობის სამოცდაათი წლის მანძილზე, რელიგია ისწავლებოდა იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო ხალხის მასებიდან მისი გავლენის აღმოსაფხვრელად. ამიტომ რელიგიის ყოველგვარ კრიტიკას, წინ უძღოდა გასაკრიტიკებელი ობიექტის ერთგვარი პოზიტიური დალაგება. ყველაფერი კეთდებოდა ლენინის იმ მითითების თანახმად, რომელიც მან ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს მისცა, დაეწერა რელიგიის ისტორიის პატარა ტომი, რომელიც, ამავე დროს, მიმართული უნდა ყოფილიყო რელიგიის წინააღმდეგ, რომელთან ერთადაც უნდა მიმოეხილათ ათეიზმის ისტორია და ეკლესიის ბურჟუაზიასთან კავშირის მასალებიც. ეს მითითება ათეული წლების მანძილზე პრაქტიკულად ზედმიწევნით სრულდებოდა. რელიგიის მეცნიერულ კრიტიკას წინ უძღოდა რელიგიის ისტორიის მოკლე სახით გადმოცემა. მიუხედავად ასეთი მიზანდასახულობისა, ამ ფაქტმა გარკვეულად, მაინც დადებითი როლი შეასრულა რელიგიური პრობლემატიკის შესწავლის საქმეში. იმ პერიოდში რელიგიური გამოცემები ძალიან ცოტა იყო, მათი ტირაჟები კი — კატასტროფულად მცირე, ასეთ პირობებში მეცნიერული ათეიზმის სახელმძღვანელოებსა თუ სხვა წიგნებში დალაგებული რელიგიის ისტორია ფაქტობრივად ერთადერთი მისაწვდომი წყარო იყო მოსახლეობის ფართო მასებისათვის, მიელოთ ინფორმაცია რელიგიის შესახებ.

1961 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე შეიქმნა მეცნიერული ათეიზმის კათედრა (ეთიკასა და ესთეტიკასთან ერთად), რომელსაც თეორიულად იგივე მიზნები და ამოცანები ჰქონდა, რაც მისი ტიპის სხვა კათედრებს მთელ საბჭოთა კავშირში — დაეძლიათ რელიგიური გადმონაშთები და ხალხისთვის ახალი შეხედულებები ჩაენერგათ. მაგრამ პრაქტიკულად, კათედრამ ბევრი რამ გააკეთა რელიგიური პრობლემატიკის შესასწავლად და გამოსაცოცხლებლად. განვლილი 36 წლის მანძილზე გამოვიდა რამდენიმე სახელმძღვანელო, დაისტამბა კრებულები, გამოიცა ცალკეულ ავტორთა წიგნები, გაიზარდა ახალი კადრები, დაცული იქნა დისერტაციები...

ოთხმოციანი წლების ბოლოს,კათედრამ ოფიციალურად შეიცვალა თავისი სახელწოდება და მას რელიგიათმცოდნეობის და ეთიკის კათედრა ეწოდა. მოგვიანებით კათედრის ინიციატივით, ფილოსოფიის ფაკულტეტზე თეოლოგიის სპეციალობა გაიხსნა.

თავდაპირველად ძალიან ბევრი სიძნელე იყო, ჩვენში ნაკლებად იყო ღვთისმეტყველების სწავლების გამოცდილება. საჭირო იყო ახლებური მიდგომა. რელიგიათმცოდნეობის კათედრა ნელ-ნელა შეივსო ახალი კადრებით. ძველ სპეციალისტებს მიეცათ საშუალება მოემზადებინათ ღვთისმეტყველური კურსები. ამჟამად, კათედრაზე ასწავლიან მეცნიერები, რომლებმაც ისწავლეს და დისერტაციები დაიცვეს ვატიკანში, გერმანიაში, რუსეთში — ძველი და ახალი კადრების ნაზავმა, საბოლოო ჯამში, კარგი კოლექტივი შეკრა.

— რას სწავლობენ თქვენი სტუდენტები და სად შეიძლება გამოიყენონ მათ თავიანთი ცოდნა?

— ზოგად საუნივერსიტეტო საგნებთან ერთად ისინი იღებენ ფილოსოფიურ განათლებას, ბაკალავრიატის ოთხი და მაგისტრატურის ორი წლის მანძილზე მათ ფილოსოფიის ისტორია ეკითხებათ — სისტემატური ფილოსოფია, სოციალური ფილოსოფია, ლოგიკა, ეთიკა, ესთეტიკა, სოციოლოგია, კულტურის ფილოსოფია, აქსიოლოგია, სხვადასხვა ფილოსოფიური სპეცკურსები. ამასთანავე თეოლოგიის სპეციალობის სტუდენტები ინტენსიურად სწავლობენ უცხო ენებს, როგორც თანამედროვე, ისე ძველ ენებს.

რაც შეეხება მათ უშუალო სპეციალობას, ისინი ფართოდ გადიან რელიგიათა ისტორიას, ქრისტიანული ეკლესიის ისტორიას, ძველ და ახალ აღთქმას. აღმოსავლურ რელიგიებს, რელიგიურ უმცირესობებს, საკულტო ხელოვნების ისტორიას, ქართულ წარმართობას, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას დასავლეთის ქრისტიანული ეკლესიის ისტორიას, რეფორმაციის ისტორიას, დოგმატურ, ძირითად, შედარებით, ზნეობრივ ღვთისმეტყველებას, პატროლოგიას, საეკლესიო სამართალს, ჰომილეტიკას, ლიტურგიკას, ეგზეგეტიკას და ისაგოგიკას, რელიგიურ ანთროპოლოგიას და ბევრ სხვა საინტერესო საგანს. ჩვენი სასწავლო გეგმა შეჯერებული გვაქვს გერმანიის, დანიის, აშშ-ის და სხვა ქვეყნების თეოლოგიური ფაკულტეტების გეგმებთან და პროგრამებთან.

რაც მთავარია, ჩვენ უკვე გვყავს ამ რთული საგნების წამკითხველი კვალიფიციური ლექტორები.

ჩვენს კურსდამთავრებულთ, რომელთაც ფართო თეოლოგიური და ფილოსოფიური განათლება აქვთ, შეუძლიათ მრავალ ადგილას გამოიყენონ თავიანთი ცოდნა. გარდა საშუალო სკოლისა, სადაც ისწავლება საგანი „რელიგია და კულტურა“. მათ შეუძლიათ სამსახური იპოვონ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, მუზეუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში და თვით დიპლომატიურ ასპარეზზეც, ზოგს კი სულაც სასულიერო კარიერა შეუძლია აირჩიოს...

— რა ურთიერთობა გაქვთ სასულიერო აკადემიასთან?

— ზოგიერთი ჩვენი მეცნიერ-მუშაკი ლექციებს კითხულობს სასულიერო აკადემიაში, თავის მხრივ, აკადემიის ზოგი ლექტორი, ან კურსდამთავრებული ჩვენთან თანამშრომლობს. ვვარაუდობ, რომ ახლო მომავალში ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაიზრდება. გასათვალისწინებელია, რომ უნივერსიტეტის თეოლოგიის სპეციალობა საერთო სასწავლებლის სპეციალობაა, ამიტომ მისი მიზნები, ამოცანები და პროგრამები არ შეიძლება იდენტური იყოს სასულიერო აკადემიის მიზნების, ამოცანების და პრ
გრამებისა.

***— რა კავშირი და დამოკ
დებულება გაქვთ ქართულ მ
რთლმადიდებელ ეკლესიასთა
და როგორ გესახებათ ეკლე
სიისა და სახელმწიფოს ურ
თიერთობა, ეკლესიის მონაწი
ლეობა საერო საქმეებში, თუ
ნდაც სასკოლო განათლებაში***

— ჩვენს პირველ გამოშვება
ში მონაწილეობდა და თეოლო
გიის სპეციალობის კურსდამთა
ვრებულთა მომზადებით კმაყო
ფილება გამოთქვა საქართველ
კათალიკოს-პატრიარქმა ილია
მ. თბილი და საქმიანი ურთიე
რთობა ყალიბდება კათედრისა
და უნივერსიტეტის დავით აღმ
მენებლის სახელობის ეკლესი
ის წინამძღვართან დეკანოზ ბა
სილთან და მამა ილიასთან, ორი
ვე სასულიერო პირი უნივერსი
ტეტელია და მათ კარგად ესმით
ჩვენი პრობლემები. ისინი ახალ
სასწავლო წლიდან მონაწილე
ობას მიიღებენ ფაკულტების მუ
შაობაში.

ეკლესია გამოყოფილი უნდა
იყოს სახელმწიფოსგან. ხელის შე
წყობა ჩვენი ტრადიციული რწ
მენისათვის არ უნდა ნიშნავდე
მის სახელმწიფო რელიგიად გა
მოცხადებას, ასეა მსოფლიოს ცი
ვილიზებული ქვეყნების უდიდ
უმრავლესობაში. დაუშვებელია
რომ სასულიერო პირნი სახელ
წიფო მოხელეებად იქცნენ და ხე
ლისუფალთა ნებისმიერი მეკვეთ
შეასრულონ.

რაც შეეხება რელიგიის სწა
ვლებას სკოლებში — ჯერ კიდე
ბევრი უნდა ვიფიქროთ თუ რა
დოზით, რა ფორმით, რა ხერ
ხებით მივაწოდოთ ეს ცოდნ
ახალ თაობას... დღეს არსებუ
ლი სწავლების ფორმები, ჩემ
აზრით, აშკარად დახვეწას მო
ითხოვს...

ესაუბრ
ლელა დონაძ

● *კუბის დედაქალაქში დიდი ზეიმით მიმდინარეობდა ახალგაზრდობისა და სტუდენტობის საერთაშორისო ფესტივალი. 10 ათასამდე ქალიშვილი და ჭაბუკი შეიკრიბა ჰავანის უნივერსიტეტთან. სულ ბოლოს ასეთი ღონისძიება 1989 წელს მოეწყო ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქში.*

ჰავანაში გამართული ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეთოთხმეტე მსოფლიო ფესტივალზე ცენტრალური მოვლენა იყო ეგრეთ წოდებული ახალგაზრდული ანტიიმპერიალისტური ტრიბუნალის ორი დღის სხდომების დამთავრება. მან გამოუტანა სიმბოლური, მაგრამ არანაკლებად გადამწყვეტი „განაჩენი იმპერიალიზმს პროგრესული ახალგაზრდობის სახელით“. მკაცრმა მოსამართლეებმა, მოისმინეს რა 40 ქვეყნის მოწმეთა დაახლოებით 70 ჩვენება, იმპერიალიზმსა და მის ფლაგმანს — ამერიკის შეერთებულ შტატებს ბრალად დასდეს ათასი ცოდვა და დააკისრეს პასუხისმგებლობა ყველა სოციალურ-ეკონომიკური უბედურებისა და პრობლემისათვის.

იდეოლოგიური მრწამსის მიუხედავად, ერთსულოვნებასა და აქტიურობას ცხადყოფდნენ ფესტივალის დელეგატები და სტუმრები ამერიკის შეერთებული შტატების მიერ „თავისუფლების კუნძულის“ მიმართ გამოცხადებული ეკონომიკური ბლოკადის წინააღმდეგ კუბასთან სოლიდარობის კამპანიის ფარგლებში. უნდა ითქვას, რომ ფესტივალზე წარმოდგენილი 135 დელეგაციიდან არც ერთი არ ყოფილა, რომელსაც არ გაელაშქრა ვაშინგტონის ანტიკუბური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ირანი: მოლებსა და რეფორმატორებს შორის

როდესაც აბდულქარიმ სორუში უკანასკნელად კითხულობდა ლექციას თეირანის უნივერსიტეტში, მის მოსასმენად ათასობით კაცი მოვიდა, მაგრამ აღტაცებულ ხალხს შორის იყო მთავრობის მომხრეთა ხმაურიანი, მტრულად განწყობილი ჯგუფიც. მათ გადაწყვიტეს აქვე, ადგილზე გაესამართლებინათ ლინჩის წესით ეს სათვალიანი პროფესორი. სორუშმა მაშინ ძლივს უშველა თავს. ასე რეაგირებდნენ ისლამური რესპუბლიკის სასულიერო პირნი სორუშის იდეებზე. ამ პროფესორის ორიგინალურმა აზროვნებამ იგი გადააქცია ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ და, ამასთანავე, ყველაზე დევნილ პიროვნებად. და მისი შემთხვევითი გადარჩენა ბევრს მიაჩნია დღევანდელ ირანში პოლიტიკურ თავისუფლებათა სისუსტის სიმბოლოდ.

სორუში, რომელმაც სახელი გაითქვა ირანში მონარქიის დამამხობელი 1979 წლის რევოლუციის პერიოდში, საცილოდ თვლის იმას, რასაც სამღვდელოება მიიჩნევს ალაჰისაგან ბოძებულ საკუთარ უფლებად — იყოს ისლამის ერთადერთი ინტერპრეტატორი. ამ უფლებით სარგებლობს იგი, რათა გაამართლოს თავისი მმართველობა.

გარკვეულწილად, სორუშის იდეები — ეს არის უკომპრომისო კლერიკალების რეჟიმის წინააღმდეგ მზარდი პროტესტის ნაწილი. მისი ერთ-ერთი გამოვლინება გახდა გამოსვლები პრეზიდენტის მაისის არჩევნების დროს, რომლებზეც გონიერმა რეფორმატორმა მოჰამად ხატამიმ დაამარცხა ისტებლიშმენტის კანდიდატი. სორუში — ეს არის პროტესტის „ინტელექტუალური“ მხარე. პროფესორის მომხრეებს იგი ისლამური რენესანსის არქიტექტორად მიაჩნიათ.

80-იანი წლების დამდეგს სორუში გამოდიოდა როგორც ახალი ისლამური ისტებლიშმენტის იდეოლოგი. ახლა კი, იგი აცხადებს, რომ რელიგია ხალხს უნდა ასწავლიდეს უფლის მორჩილებას და რომ არ შეიძლება იგი დაიყვანო საერო, მიწიერ იდეოლოგიამდე სახელმწიფოს სამართავად. ასეთი აზრი თითქმის ეწინააღმდეგება იმ იდეებს, რომლებსაც იგი წინათ ქადაგებდა. „ისლამი ან ნებისმიერი სხვა რელიგია ტოტალიტარული ხდება, თუკი იდეოლოგიად გადაიქცევა, ვინაიდან ასეთია თვით იდეოლოგიის არსი,“ — თქვა 52 წლის სორუშმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში.

ისევე, როგორც სხვა მუსლიმანებს, სორუშსაც მიაჩნია, რომ ყურანი, ისლამის წმიდა წიგნი, ალაჰის სიტყვაა. მაგრამ, იგი ამასთანავე თვლის, რომ სამღვდელოების მიერ ყურანის ინტერპრეტაცია საერთო არაფერი აქვს რელიგიასთან და უფრო მეტად დაკავშირებულია მის მისწრაფებასთან, შეინარჩუნოს თავისი ძალაუფლება და თავისი ინტერესები. „სამღვდელოება საარსებო სახსრებს რელიგიით შოულობს. თუკი თქვენი ინტერესები რელიგიის ხარჯზეა უზრუნველყოფილი, მაშინ თქვენ, პირველ რიგში, ამ ინტერესებს იცავთ, ხოლო რელიგია მეორადი ხდება“, — ამტკიცებს სორუში. მისი ნამუშევრები პოპულარობით სარგებლობს ირანის სტუდენტებს, ინტელექტუალებსა და თვით სამღვდელოების წარმომადგენელთა შორის, მისი 20-მდე წიგნიდან ბევრი ბესტსელერი გახდა, ხოლო სტატიებს თავიანთი აუდიტორია ჰყავს სამაჰმადიანოს მრავალ ქვეყანაში. ზოგიერთის აზრით, სორუშის იდეებს შეიძლება მოჰყვეს ისლამის რეფორმირება. მათ შთააგონეს, აგრეთვე, რწმენა, რომ ისლამი ესატყვისება დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს — კონცეფცია, რომელსაც კონსერვატიული მუსლიმანები ხშირად უარყოფენ, როგორც ისლამისადმი უცხოს. ამ იდეებმა სორუშს უამრავი უსიამოვნება დაატეხა თავს. მის ლექციებზე ათასობით მსმენელი იკრიბებოდა, მაგრამ მან დროებით შეწყვიტა ლექციების კითხვა მას შემდეგ, რაც ორჯერ სასტიკად სცემეს.

ახლახან სორუში ირანში დაბრუნდა მას შემდეგ, რაც 11 თვე გაატარა ევროპასა და შეერთებულ შტატებში, სადაც ელოდებოდა მრისხანების ტალღის ჩაცხრობას თავის სამშობლოში. ივნისში მან პირველი ლექცია წაიკითხა, რომელზეც 3 ათასი კაცი მივიდა. „როდესაც მე რაღაც იდეა მიჩნდება, ორსულ ქალს ვემსგავსები. მე აუცილებლად უნდა ვშვა ეს იდეა“, — თქვა სორუშმა ღიმილით.

ასოშიეიტედ პრესი.

„მე ათ მილიონ დოლარადაც კი არ გავიყიდები!“ — ამტკიცებს დანიელი სუპერვარსკვლავი ბრიგიტ ნილსენი

● როგორ მოიქცეს ლამაზი ქალი, თუ აურაცხელი სიმდიდრის პატრონი არაბი შეიჰი სთავაზობს მილიონ დოლარს სულ ერთი ღამის ნეტარებისათვის? სტალონეს ცოლყოფილი, 34 წლის მსახიობი ბრიგიტ ნილსენი კატეგორიულად აცხადებს: „არა და არა! 10 მილიონიც რომ მომცეს, ამას მაინც არ ვიზამ“.

ნილსენმა უპასუხა არა რიტორიკულ კითხვას, არამედ ერთ-ერთი ფრანგული გამოცემის კონკრეტულ მტკიცებას. იგი იუწყებოდა, რომ ნილსენი ფარულად შეხვდა კანის „მარტინეზის“ სასტუმროში საუდის მეფის ოჯახის უფლისწულს და ამ შეხვედრის საფასურად მილიონი დოლარი მიიღო. თან, ეს მომხდარა მას შემდეგ, რაც ვნებიან შეიჰს უარი სტკიცა ორმა ასეთივე დონის ლამაზმანმა: პამელა ანდერსონმა და ჯინა ლი ნოლინმა.

იანიჩართა მემკვიდრენი

...პირველად იყო არმია. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს თურქეთის არმიის მუზეუმის ექსპოზიცია. აქ ნახავთ გერბიან ზუჩებსა და მუზარადებს, მშვილდოსანთა ტყავის სამშვილდეებს, იმპერიის პოლკების განმასხვავებელ ლითონის ნიშნებს, იანიჩარის პორტრეტს, თურქთა მიერ ვენის ალყის სურათს, არც თუ ისე შორეული დარდანელის ბრძოლის რელიქვიებს. ყოველივე ეს მოწმობს, რაოდენ დიდი ისტორია აქვს არმიას, რომელიც დღესაც კი ღრმად უკავშირდება თურქი ხალხის ისტორიას.

შეიარაღებული ძალები მძლავრი სამხედრო მანქანაა: 600 ათასი კაცი, სინამდვილეში კი, მილიონზე მეტი, თუ გავითვალისწინებთ სოფლის მილიციის შემადგენლობას, რომელიც ანკარამ შექმნა ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთში ქურთ სეპარატისტებთან საბრძოლველად. ერთმა დასავლელთა სამხედრო ექსპერტმა ხუმრობით თქვა: „ამ მილიციას სირიელები რომ შეეტაკონ, გვარიან ალიყურს მიიღებენ, ბერძნებზე ლაპარაკი ზედმეტია. რაც შეეხებათ ბულგარელებს, მათაც ბეჭებით გააკრავენ მიწას“. შემთხვევითი როდია, რომ მუზეუმის გასასვლელში ხსოვნის კედელზე ამოკვეთილია ატილას სახელი და 441 წელი. არმია შედგება გაწვეული ჯარისკაცებისაგან, რომლებიც ქანცგამცლელ, ის კი არა, სასტიკ მუშტრას გადიან, მაგრამ მისი ტექნიკური დონე ჩამორჩება ნატოს ქვეყნების არმიებისას, თუმცა, სხვა მხრივ, გაცილებით უფრო პროფესიულია. შეიარაღების ნაირგვარობა (ოთხი ტიპის ტანკები, შვიდი სახეობის არტილერია), აგრეთვე საშუალო სამეთაურო რგოლში ინიციატივის უქონლობა მნიშვნელოვანწილად აქვეითებს თურქეთის არმიის ეფექტიანობას.

შეიარაღების მძლავრი ინდუსტრია

თურქეთის არმიის უმაღლესი სარდლობა ფხიზლად ადევნებს თვალს იმას, რომ სამხედრო სკოლების კურსდამთავრებულებს არ მოუწიოთ გაწითლება თავიანთი მომზადებისათვის სამოქალაქო უნივერსიტეტების მეცნიერთა წინაშე. ცოდნის მაღალი ხარისხის მოთხოვნები სულ უფრო მკაცრდება იმის კვალობაზე, რაც უფრო გაჯერებული ხდება არმია ტექნიკით, სულ უფრო თანამედროვეთი. ხოლო სამხედრო მრეწველობა — უმაღლესი კვალიფიკაციის ინჟინრებით. სამხედრო წარმოების საქმეში დღეს 50 ათასი კაცია დასაქმებული.

მაგრამ, ამ ნაკლოვანებებს ანაზღაურებს თურქთა ნაციონალიზმი და დისციპლინა.

„მე შემიძლია სიამაყით ვთქვა, რომ თურქეთის არმია ყველაზე დისციპლინირებულია მსოფლიოში“. — განაცხადა უნსელ სეკინერმა, ერთ-ერთმა პარლამენტში არჩეულ შვიდ ოფიცერთაგან. ასეთი დისციპლინა იჭედება თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის — ათათურქის კულტის პატივისცემით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში „მჯიღის სამართლითაც“. მაგრამ, ძალისმიერი მეთოდები სულაც არ ავნებს პრესტიჟს, რომლითაც არმია სარგებლობს ხალხში: „თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ახალწვეულის ჯარში წასვლა აღინიშნება როგორც მთელი სოფლის დღესასწაული, — ამბობს პოლკოვნიკი სეკინერი. — და ქურთებთან ან ერაყის ჩრდილოეთში მომხდარი ბრძოლების დროს დაღუპულ ჯარისკაცთა თუთიის კუბოები როდი ამცირებს არმიის პოპულარობას“.

ოფიცრობა და, მით უმეტეს, გენერლობა, — ეს არის ბევრი ახალგაზრდის უმთავრესი ოცნება. ქვეყანაში, სადაც არისტოკრატია არ არსებობს, სამხედრო კარიერა ნაცადი საშუალებაა სოციალურ კიბეზე ასვლისა. მაგრამ, იშვიათად თუ აღწევს ვინმე იერარქიის მწვერვალებს, რომლებსაც ძალზე უფრთხილდებიან და აწესრიგებენ, თუმცა, პატარა ქალაქში საშუალო ოფიცრის წოდებაც უკვე, თავისთავად, ბევრს ნიშნავს.

პროფესიონალი სამხედროების ოჯახები ცხოვრობენ განსაკუთრებულ სამყაროში, რომელსაც შურით უყურებენ მათი თვისტომები. არსებობს სახლები სამხედროებისთვის, დასახლებები სამხედროებისთვის, სუპერმარკეტები სამხედროებისთვის, გართობა სამხედროებისთვის, დასასვენებელი ადგილები სამხედროებისთვის..., მაგრამ აქ არ არის მემკვიდრეობითი „ოფიცერთა ოჯახები“. სამხედრო სკოლებში ოფიცერთა ბავშვები მოსწავლეების 6-9 პროცენტს შეადგენენ. აქ ძალზე მკაცრი შერჩევა ხდება. 14 წლის ჭაბუკები შედიან მოსამზადებელ კლასში, მათ შთააგონებენ პრინციპებს, რომელთაც ათათურქი იცავდა, როდესაც რესპუბლიკას ქმნიდა: ერისკაცობა, დემოკრატია, ქვეყნის ერთიანობა. 18 წლის ახალგაზრდები შედიან ოფიცერთა სასწავლებლებში (სამხედრო-საჰაერო ძალები, ქვეითი ჯარი, სამხედრო-საზღვაო ძალები), სადაც მომზადებას გადიან სამი წლის განმავლობაში. თურქეთში შეიარაღებული ძალების ელიტას მარტოოდენ უნივერსიტეტის დიპლომის მიხედვით როდი არჩევენ. დღეს რელიგიური განათლება, ისლამურ მოძრაობაში აქტიურობა მთლიანად გამორიცხავს ოფიცერთა ან პრაპორჩიკთა სკოლაში შესვლის შესაძლებლობას. ამ ბოლო დროს აბიტურიენტებს სთხოვენ, წარმოადგინონ დედმამის სურათები. თუკი, მამა წვეროსანია, ხოლო დედას თავშალი აქვს მოხვეული, იგი უკვე საეჭვო ხდება. არმიას ეჭვი აქვს, რომ ისლამური კეთილდღეობის პარტია მიზნად ისახავს ხანგრძლივი პერსპექტივით მოიპოვოს ძალაუფლება. როგორც საერო ცხოვრების წესის, ქემალიზმის ბურჯი, არმია იყენებს ყველა შესაძლებლობას, რათა არ დაუშვას ეს. აი, რატომ სურს იცოდეს, ვის იღებს თავის რიგებში. ყველა ჯურის ექსტრემისტებს იგი უმოწყალოდ დევნის თავისი რიგებიდან.

ისლამური მიმართულების ნეჯმეთინ ერბაქანის მთავრობის გადადგომა და მესუთ ილმაზის საერო მთავრობის ჩამოყალიბება — ეს თურქეთის არმიის „გამარჯვებაა“. სარგებლობს რა საზოგადოებრიობის ფართო მხარდაჭერით, გენშტაბმა გადაწყვიტა შეეჩერებინა „ისლამიზმის მწვანე ურჩხულის“ ზრდა. და მან მიაღწია საწადელს იარაღის გამოუყენებლად, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მუდმივი ჩარევის ფასად, რაც მრავალთა აზრით დაუშვებელია.

საერო შეტევა დაიწყო 28 თებერვალს, ამ დღეს ეროვნული უშიშროების საბჭომ, სადაც სამხედროები ხმებით სჭარბობდნენ, ერბაქან-ჩილერის მთავრობას გაუგზავნა გაფრთხილება და მოსთხოვა შეეწყვიტა რესპუბლიკის ისლამიზაცია. ერბაქანი ფეხს ითრევდა. სამხედროებმა იგი კვლავ და კვლავ გააფრთხილეს. საბოლოოდ კი, გადააყენეს პოსტიდან. მესუთ ილმაზს სულ ტყუილად ჰგონია, რომ არმია დაკმაყოფილებულია და კვლავ „დამუნჯდება“, როგორც თითქოს ყოველთვის იყო! გენერლები კი ახალი პრემიერ-მინისტრისაგან მოელიან რელიგიური ლიცეუმების ნეიტრალიზაციას და საერო ცხოვრების წესის საწინააღმდეგო პროპაგანდის აკრძალვას.

ოფიციალური არმია არ არის რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების წინააღმდეგი, მთავარია, ისინი არ იყოს თვალშისაცემი და არ უშლიდეს ხელს სამხედრო სამსახურის შესრულებას. სამხედრო ბანაკებში მეჩეთებიც კი არის. ჯარისკაცებს შეუძლიათ იქ ყოველდღიურად ილოცონ. ხოლო რამაზანის თვე რომ დადგება, მზარეულები ცალკე საჭმელსაც კი უმზადებენ მომარხულეებს, რომლებიც თავიანთ მარხვას მზის ჩასვლის შემდეგ წყვეტენ. მაგრამ, სალოცავად სიარული (ჰაჯი) აკრძალულია. არის მონაცემები, რომ უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის მანძილზე არმიიდან დაითხოვეს ორი ათასამდე ოფიცერი მათი ექსტრემისტული მრწამსის (მარქსისტული, სეპარატისტული, ახლა კი განსაკუთრებით ისლამისტური მრწამსის) გამო. მარტო ივნისში, საკონტროლო შემოწმების შედეგად, დათხოვნილ იქნა 161 კაცი.

თურქეთის არმიას იშვიათად აწუხებს ხოლმე რელიგიური გრძნობების კრიზისი. მისი კადრები უპრობლემოდ აღიქვამენ სამოქალაქო და სამხედრო ურთიერთობის სწრაფ განვითარებას ისრაელთან. „არაბებმა უღალატეს ოტომანთა იმპერიას“, — თქვა ერთმა ჟურნალისტმა.

ისლამისტთა პოლიტიკურმა აქტიურობამ გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია თურქეთის არმიის უმაღლეს ოფიცერთა რგოლში. ზოგიერთ ოფიცერს ეჭვება არმიის პოლიტიკური ანგაჟირების გონივრულობა. სხვები კი, აჩქარებდნენ უმაღლეს სარდლობას, მიეღო ზომები იქამდე, სანამ ერბაქანი ისლამის მწვანე დროშას ააფრიალებდა რესპუბლიკის სასახლის თავზე.

არც პოლიტიკოსებს და არც ხალხს არ აღუმაღლებიათ ხმა ამ თამაშის წინააღმდეგ, რომელსაც არმია ეწეოდა. ხოლო დუმილი თანხმობის ნიშანია. „თუკი თურქეთის არმია ფუნდამენტალისტური საშიშროების მოახლოებას იგრძნობს, იგი ვალდებულია ჩაერიოს“, — განაცხადა ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა.

თურქების უმრავლესობის — მეტადრე, სამხედროებისთვის — არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რას იტყვის ევროპის კავშირი. ევროპის ეკონომიკური კავშირის 30 წლის ასოცირებულ წევრ და ევროპის კავშირთან 1996 წლის იანვრიდან საბაჟო კავშირში შემავალ ანკარას სურს ევროპული კლუბის სრულუფლებიანი წევრი იყოს. ჯერჯერობით, ამაზე უარს ეუბნებიან. ერთმა დასავლელმა დიპლომატმა ამის თაობაზე თქვა: „თურქეთს არ მოსწონს, რომ ჩვენ ვინტერესდებით, როგორ აქვს მას საქმე ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ, თვითონ კი აზრადაც არ მოუვა იფიქროს, როგორ შეუძლია ქვეყანას, სადაც გენერალური შტაბის უფროსს გაცილებით მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე სამხედრო მინისტრს, საერთოდ იქონიოს ევროპის კავშირის პრეტენზია“.

„ფიგარო“ პარიზი.

როგორც ამტკიცებენ...

გაზეთი „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ (გფრ): „დამოუკიდებელი უკრაინის პოზიციების განმტკიცება შეესაბამება დასავლეთის ინტერესებს. იგი ხელს შეუწყობს რუსეთის იმპერიის აღორძინების თავიდან აცილებას. ახალი ყაიდის, ამჯერად კაპიტალისტური საბჭოთა კავშირის ხელახალი შექმნა, არა მარტო ზიანს მოუტანს ევროპის უშიშროების სტრუქტურებს, არამედ დაამუხრუჭებს კიდეც დემოკრატიზაციის პროცესს ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის რესპუბლიკებში.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ (აშშ): გულთბილი მიღება, აზერბაიჯანის პრეზიდენტს რომ გაუმართეს ვაშინგტონში, უდიდესი ცვლილების მომასწავებელია. პრეზიდენტმა ალიევმა თავისი ქვეყანა პოლიტიკური იზოლაციის მდგომარეობიდან საერთაშორისო მოვლენათა ავანსცენაზე გაიყვანა.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ეს გაკეთდა ეფექტიანი ნავთობის ლობის წყალობით. ნეგატიური აზრი აზერბაიჯანზე ამ ბოლო თვეებში შეიცვალა. აზერბაიჯანმა გაიუმჯობესა იმიჯი და ახლა უკვე აღარავის მიაჩნია იგი აგრესორ ქვეყნად მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთთან კონფლიქტში.

ცხოვრებისეული გამოცდილება ძვირი ღირს

● ის, რომ მაჩვზღარბას დაყნოსვა არ შეიძლება, ზღარბსაც კი ესმის. მაგრამ ეს არ იცოდა კანადელი ფერმერის 8 თვის ძაღლმა. და ახლა მიჰყავთ ვეტერინართან, რომელიც ეკლებს ამოაცლის და წამალს წაუსვამს. მართალია, აწყენს, სამაგიეროდ, სასარგებლო ცხოვრებისეულ გამოცდილებას შეიძენს, წერს ასოშიეიტედ პრესი.

ლათინური ამერიკა „F-16“-ით იარაღდება

აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გააუქმა 20 წლის აკრძალვა ლათინურ ამერიკაში მოწინავე სახეობათა ამერიკული იარაღისა და თვითმფრინავების მიყიდვაზე, იუწყება როიტერი. სააგენტოს აზრით, პრეზიდენტს ასეთი გადაწყვეტილება მიაღებინა ჩილედან მოსულმა ცნობამ, რომ ამ ქვეყანას განზრახული აქვს განაახლოს თავისი სამხედრო-საჰაერო ძალები და ინტერესს იჩენს „F-16“ ამერიკული ავიაგამანადგურებლებისადმი. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები შიშობს, რომ რეგიონში შეიარაღების ბაზარზე კონკურენციას გაუწევენ რუსეთი და სხვა ქვეყნები. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ პერუმ „მიგ-29“ ავიაგამანადგურებლები შეიძინა რუსეთსა და ბელორუსიაში. აკრძალვა შემოიღო პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ადმინისტრაციამ, ვინაიდან იმ დროს ლათინური ამერიკის მეტწილ ქვეყნებში გახელისუფლებულნი იყვნენ სამხედრო და დიქტატორული რეჟიმები. ამჟამად, ამერიკის ადმინისტრაციის აზრით, სიტუაცია უკეთესობისაკენ შეიცვალა. მიუხედავად ამისა, კონგრესის ზოგიერთმა წევრმა მკაცრად გააკრიტიკა პრეზიდენტის გადაწყვეტილება. მათ მიაჩნიათ, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებს გაცილებით უფრო მეტად, სჭირდებათ, სხვა დარგებს მოახმარონ უზარმაზარი სახსრები, რომლებიც შეიარაღების შესყიდვაზე დაეხარჯებათ. თანაც, ეს მხოლოდ ბიძგს მისცემს გამალებულ შეიარაღებას რეგიონში.

ეცემა სამეფო ოჯახის პოპულარობა

დიდმა ბრიტანეთმა 97 წლისთავი გადაუხადა დედოფლის დედას, იუწყება როიტერის სააგენტო. ასაკის მიუხედავად, ტახტის მემკვიდრის დიდედა დღესაც მხნედ გრძნობს თავს და აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განასახიერებს რა სამეფო ოჯახის პოპულარობის სიმბოლოს. სწორედ მან ბევრი რამ იღონა მონარქიის პოპულარობის აღსადგენად 1936 წლის კრიზისის დროს, როდესაც მეფე ედვარდ VIII-მ უარი თქვა ტახტზე, რათა ცოლად მოეყვანა არამეფური ჩამომავლობის ამერიკელი ქალი. მეორე მსოფლიო ომის დროს, თავიანთი დედოფლისადმი ბრიტანელთა უდიდესმა სიყვარულმა აიძულა ადოლფ ჰიტლერი, გამოეცხადებინა იგი ევროპის ყველაზე საშიშ ქალად. ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა დედოფლის დედამ ასევე შთაუნერგა თავის ქალიშვილს — ახლანდელ დედოფალს ელისაბედ II-ს. მაგრამ დღეს ტახტის მემკვიდრის დიდედას დაუდგა ყველაზე სასტიკი ირონიის მომენტი. სამეფო ოჯახის პოპულარობა დღეს ისევე დაბალია, როგორც 60 წლის წინათ, როდესაც იგი გადედოფლდა, დასძენს როიტერი.

კათოლიკე სერბები მაჰმადიან სერბებს დაერივნენ

ხორვატები ბოსნიელ მაჰმადიანებს ერეკებიან მათი საკუთარი სახლებიდან ქალაქ იაიცში, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. მაჰმადიანები, რომლებმაც გაბედეს დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში, ხორვატთა კონტროლს დაქვემდებარებულ ქალაქში, იქიდან გამორეკეს ნიღბოსან მთვრალ ხორვატთა ბანდებმა. ხორვატებმა აგრეთვე ქვა დაუშინეს გაეროს მეთვალყურეთა ავტომობილებს, რომლებიც მაჰმადიანებს გაჰყვნენ. პოლიციას პრაქტიკულად თითიც არ გაუნძრევია. ქალაქ იაიცეს ხელისუფალნი იმ თითო-ოროლა ადმინისტრაციის რიცხვს განეკუთვნებიან, ვინც დათანხმდა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების დაბრუნებას თავიანთ სახლებში, სამოქალაქო ომის დროს რომ მიატოვეს. ხორვატეთისა და ბოსნიის პრეზიდენტებმა ფრანიო ტუჯმანმა და ალია იზეტბეგოვიჩმა საგანგებოდ იმსჯელეს შექმნილი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ვითარება ჯერჯერობით არ გამოსწორებულა.

● სანტა-კლაუსების ყოველწლიური ყრილობა... ზაფხულობით ეწყობა. მთელი მსოფლიოს ბავშვების უსაყვარლესი თოვლის პაპები, რომლებიც წმინდა ნიკოლოზს განასახიერებენ, მომავალი შობის თადარიგს აგვისტოში იჭერენ, რისთვისაც კოპენჰაგენის გარეუბანში იკრიბებიან.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა–ფორტეს“ მასალების მიხედვით

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

ახლო წარსული

ნიკოლაი ზენკოვიჩი

ლუბიანკის მარშლის დაპატიმრება და სიკვდილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 188, 190.

„კრიმინალური ქრონიკა“

ბერია კრემლში დაპატიმრებამდე ათი დღით ადრე ბერლინს გაემგზავრა. ცეკას პრეზიდიუმისა და სსრკ მინისტრთა გადაწყვეტილებით იგი გდრ-ში მიავლინეს, რადგან იქ ვითარება ძალიან დაიძაბა.

ყოველთვის ფრთხილ და ეჭვიან ბერიას ხრიკის სუნი არ უკრავს. მივლინების მოტივები საშიშროებას არ აღძრავდა. მართლაც, იქ მისი ყოფნა აუცილებელი იყო. აღმოსავლეთ ბერლინში გაუთავებლად იმართებოდა ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური ლოზუნგებით აჭრელებული დემონსტრაციები. მომიტინგენი წვავდნენ სტალინის, ვილჰელმ პიკისა და ოტო გროტევოლის პორტრეტებს, მოითხოვდნენ გერმანიისა და მისი დედაქალაქის გაერთიანებას. ბერლინის კედელი მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა და გფრ-ში ლტოლვილთა ნაკადი დღითიდღე იზრდებოდა. აღმოსავლელ გერმანელებში დაწყებულ დუღილის პროცესს გარედან უნთებდნენ ცეცხლს. დასავლეთ გერმანიის ხუთი უდიდესი რადიოსადგური გდრ-ის მოსახლეობას სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდა.

ბერია ბერლინში 15-დან 25 ივნისამდე იმყოფებოდა და საბჭოთა, აგრეთვე აღმოსავლეთ გერმანელ პოლიტიკოსთა და სამხედროთა მოქმედებების კოორდინირებას ახდენდა.

დღეს მხოლოდ მკითხაობა შეგვიძლია, საიდუმლო განზრახვა ხომ არ ამოძრავებდა ცეკას პრეზიდიუმის „ხელმძღვანელ ბირთვს“, როცა მან ქვეყნის ფარგლებიდან ბერიას გაყვანის ინიციატივა გამოიჩინა. ამის თაობაზე რაიმე ცნობების მოპოვება დღემდე ვერ მოხერხდა. ისე კი არ გამოირიცხება, რომ ბერიას მოშორების ჩანაფიქრი საბოლოოდ, სწორედ მოსკოვში, მისი არყოფნის დროს მომწიფდა. „ხელმძღვანელი ბირთვი“ გამამაცდა, მომავალი ოპერაციის დეტალებზე იმსჯელეს და შეთანხმდნენ. ლავრენტი პავლოვიჩი რომ მოსკოვში ყოფილიყო, ვინ იცის, შეთქმულები გაბედავდნენ თუ არა ასე გადაჭრით მოქმედებას.

მეორე, დიდად გავრცელებული ვერსიის თანახმად, ბერიას უნდოდა მთელი ცეკას პრეზიდიუმის დაპატიმრება. მას, ამ აქციის განხორციელება 27 ივნისს, დიდ თეატრში ოპერა „დეკაბრისტების“ პრემიერაზე ჰქონდა განზრახული. ამტკიცებენ, რომ ბერიას უახლოეს პირებს — სარქისოვს, დეკანოზოვს, ქობულოვსა და სხვებს მოსაწვევები საბჭოთა ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან თავიანთი ხელით მიჰქონდათ, რაც სიმართლეს არ ჰგავს, რადგან მიწვევის წესის შეცვლა, თუ მეტს არა, გაოცებას მაინც გამოიწვევდა. დადგენილი პრაქტიკით ცეკას პოლიტბიუროს წევრები ერთად იღებდნენ ამა თუ იმ ღონისძიებაზე დასწრების გადაწყვეტილებას.

ამის გამო ნაკლებ დამაჯერებლად გვესახება ბულგანინის, მალენკოვისა და ხრუშჩოვის დამოწმება, რომლებიც შემდეგში იგონებდნენ, თითქოს მათ პირადად ბერიამ სთხოვა „ყველა საქმე გადაედოთ და აუცილებლად ყოფილიყვნენ პრემიერაზე“. ის, ვინც კრემლის უმაღლეს სფეროებში დაკანონებული წესები იცის, მას ხელისუფლების უმაღლეს ბირთვზე ქვემოდან პროვოცირებაზე ასეთი გულუბრყვილო წარმოდგენები მხოლოდ შემწყნარებლურად გააღიმებს. იქ ყველაფერი სულ სხვაგვარად, ჩვეულებრივ საზოგადოებაში რომაა, იმისგან განსხვავებულად ხდება.

თუმცა, შესაძლებელი იყო ასეთი ხმები გარკვეული მიზნით გაევრცელებინათ. საჭირო იყო ადვილად დამჯერი ადამიანების იმაში დარწმუნება, რომ გარეწარი ბერია თვითონ ამზადებდა შეთქმულებას ცეკას პრეზიდიუმის წინააღმდეგ და მის „ბირთვს“, დამსწრები დარტყმის გარდა, სხვა არაფერი დარჩენოდა.

26 ივნისს ბერია ბერლინიდან მოსკოვს დაბრუნდა. აეროდრომზე მას მიქოიანი დახვდა. აღგზნებული ბერია ანასტას ივანოვიჩს გდრ-ში არსებულ ვითარებაზე უყვებოდა. უკმაყოფილება ჩაქრობილია. უწესრიგობები აღკვეთილია.

მიქოიანი უსიტყვოდ უსმენდა და თავს უქნევდა. კრემლის ეშმაკი მელიას სახეზე ერთი კუნთიც კი არ შეტოკებულა. ლიმუზინმა მთელი მოსკოვი გამოიქროლა და კრემლის ალაყაფებს მოადგა. ძველ თეთრსვეტებიან ყვითელ სასახლეში პოლიტბიუროს წევრები უკვე შეკრებილიყვნენ. გზაში მიქოიანმა ბერიას აუხსნა, მათ ბერლინის საქმეებზე თქვენი ნაამბობის მოსმენა სურთო. ეჭვუკრავმა ლავრენტი პავლოვიჩმა მხნედ შეაბიჯა სხდომათა ნაცნობ დარბაზში...

სტალინის ყოფილი ყოვლისშემძლე მონსტრის აღსასრულის ვითარებებთან დაკავშირებით მრავალი ვერსია არსებობს. ბერია ხუთშაბათს, 26 ივნისს დაიხვრიტა და ეს თავისი ხელით, სხვა ვინმემ კი არა, პირადად ნიკიტა სერგეევიჩმა გააკეთაო. ყოველ შემთხვევაში, ხრუშჩოვი, როცა მეტისმეტად ბაქიბუქობდა, ასე ამბობდა. ეს საზღვარგარეთ, ბარაქიანი სმურობების დროს ხდებოდა ხოლმე. რასაკვირველია, გადაკრულზე გაკეთებულ ამ განცხადებებს სერიოზულად არ უნდა მოვეკიდოთ. გაცილებით უფრო სარწმუნო ჩანს ის ვერსია, რომლის თანახმადაც ბერია დაიხვრიტა მოსკოვის სამხედრო ოლქის ბუნკერში, სადაც კრემლში დაპატიმრების შემდეგ ჩასვეს, რადგან სასამართლოს მოლოდინში მისი ცოცხლად დატოვება საშიშიაო, უთქვამთ. სიტყვას მოჰყვა და ამ ვარიანტზე ხალხში დღემდე ბევრ რამეს ლაპარაკობენ. მოარული ხმებით თუ ვიმსჯელებთ, ბევრს არა და არ სურს ირწმუნოს ოფიციალური ვერსია — ბერიასა და მისი თანამოღვაწეების განაჩენის გამოტანის შემდეგ დახვრეტა. ისინი ამაში ვერც კინოფილმმა დაარწმუნა. მაყურებლებს ცხედრის კრემაციის შემზარავი პროცედურაც კი უჩვენეს, მაგრამ ეს ხომ მხატვრული ფილმია.

მაგრამ, აი, გაიხსნა წარსულში ხელმიუწვდომელი არქივები. მდუმარი ადამიანები ალაპარაკდნენ.

დანართი №10

დახურული წყაროებიდან

პოლიტბიუროელი თანამოსაგრეებისადმი დაპატიმრებულ ლ. პ. ბერიას წერილებიდან

(ინახებოდა სკკპ ცეკას პოლიტბიუროს; ამჟამად — რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივში. ფონდი 3 ოპ., 24. დ. 163-174 ხელნაწერები).

სკკპ — ცკ-ში
ამხანაგ მალენკოვს

ძვირფასო გიორგი!

დარწმუნებული ვიყავი, რომ პრეზიდიუმის იმ დიდი კრიტიკიდან მე გავაკეთებდი ჩემთვის ყველა აუცილებელ დასკვნას და სასარგებლო ვიქნებოდი კოლექტივში. მაგრამ ცეკამ სხვაგვარად გადაწყვიტა. მიმაჩნია, რომ ცეკა სწორად მოიქცა. აუცილებლად მიმაჩნია იმის თქმა, რომ ყოველთვის უსაზღვროდ ერთგული ვიყავი ლენინ-სტალინის პარტიისა, ჩემი სამშობლოსი, მუშაობაში ყოველთვის ვაქტიურობდი. ვმუშაობდი საქართველოში, ამიერკავკასიაში, მოსკოვში შინაგან საქმეთა სამინისტროში, სსრკ მინისტრთა საბჭოში და ისევ შინაგან საქმეთა სამინისტროში. ყველაფერს სამუშაოს ვწირავდი, ვცდილობდი საქმის მცოდნე კადრების, ჩვენი პარტიის ერთგული ამხანაგების შერჩევას. ეს ეხება სპეციალურ კომიტეტსაც, პირველ და მეორე მთავარ სამმართველოებსაც, რომლებიც ატომის საქმეებისა და მართვადი იარაღების სფეროებში იღვწიან. ასეთივე გეზი მქონდა მინისტრთა საბჭოს სამდივნოსა და თანაშემწეებთან მიმართებაშიც. ვთხოვ ამხანაგებს გიორგი მალენკოვს, ვიაჩესლავ მოლოტოვს, კლიმენტი ვოროშილოვს, ნიკიტა ხრუშჩოვს, ლაზარ კაგანოვიჩს, ნიკოლოზ ბულგანინს, ანასტას მიქოიანს და სხვებს — მაპატიონ, ამ ოცი წლის მანძილზე დიდი და დაძაბული ერთობლივი მუშაობის დროს რამე თუ არ გამომივიდა. ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ ყველას დიდ წარმატებებს გისურვებთ ლენინ-სტალინის საქმისთვის, ჩვენი პარტიის ერთიანობისა და მონოლითურობისთვის, ჩვენი სახელოვანი სამშობლოს აყვავებისათვის ბრძოლაში.

გიორგი, გთხოვთ, თუ ამას შესაძლებლად ჩათვლით, ჩემი ოჯახი (ცოლი და მოხუცი დედა) და შვილი სერგო, რომელსაც შენ იცნობ, უყურადღებოდ არ დატოვოთ.

ლავრენტი ბერია.
28 VI. 1953 წ.

სკკპ ცკ-ში

ამხანაგ მალენკოვს

ძვირფასო გიორგი!

ჩემთვის ამ მძიმე ოთხი დღე-ღამის განმავლობაში საფუძვლიანად ავწონ-დავწონე ყველაფერი, რაც გამიკეთებია სკკპ ცეკას პლენუმის შემდეგ განვლილ უკანასკნელ თვეებში, როგორც სამუშაოზე, ისე პირადად შენი და ცეკას პრეზიდიუმელი ზოგიერთი ამხანაგის მიმართ, ჩემი მოქმედებები უმკაცრესად გავაკრიტიკე და ძალიან გავკიცხე ჩემი თავი. განსაკუთრებით მძიმე და მიუტევებელია ჩემი მოქმედება შენთან დაკავშირებით, რამიც მე სრული ასი პროცენტით ბრალეული ვარ...

..მე ყოველთვის მქონდა შენთან მოთათბირების მოთხოვნილება და ეს ყოველთვის რგებდა საქმეს. მე შენში ვხედავდი უფროსს, დიდი მასშტაბის გამოცდილ პარტიულ მოღვაწეს, ნიჭიერს, ენერგიულსა და დაუღალავს, შესანიშნავ მეგობარსა და ამხანაგს, მე არასოდეს დავივიწყებ რიგ შემთხვევებში შენს როლს ჩემთან ურთიერთობაში, და განსაკუთრებით მაშინ, როცა უნდოდათ მე საქართველოს მოვლენებთან დავეკავშირებინეთ. და როცა ამხანაგი სტალინი აღესრულა, მე, უყოყმანოდ დაგასახელე შენ, ისევე როგორც სხვა ამხანაგებმაც, მთავრობის თავმჯდომარედ.

ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ! მე თქვენთან ყოველთვის შესანიშნავი, სწორი დამოკიდებულება მქონდა. ამიერკავკასიაში მუშაობისას ჩვენ ყველანი დიდად გაფასებდით, ლენინის ერთგულ მოწაფედ და სტალინის ერთგულ თანამოსაგრედ, ამხანაგ სტალინის შემდეგ მეორე პირად მიგიჩნევდით. ჩემს ოჯახს რომ ჰკითხოთ, თქვენ შეიძლება მრავალი რამ გაუწყონ იმ ბევრი ძალიან კარგი რამეებიდან, რაც მე თქვენზე მითქვამს...

კლიმენტი ეფრემოვიჩ! ისევ ამიერკავკასიიდან დავიწყებ. ჩვენ თქვენ გვიყვარდით, და საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოების დავალებით სპეციალურად ჩამოვედი მოსკოვში, ცეკაში და ამხ. სტალინს დაბეჯითებით ვთხოვე, რომ საბჭოთა საქართველოს თხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით თქვენ გამოეგზავნეთ.

ომის დასაწყისში ამხანაგმა სტალინმა ძალიან გამლანძღა და პოლიტიკური ლაჩარი მიწოდა, როცა ჩვენი სამშობლოსთვის იმ მძიმე დროს მას შეეთავაზე ფრონტების სარდლებად მთელი ქვეყნისთვის ცნობილი ამხანაგები — თქვენ და ბუდიონი დაენიშნეთ. გალანძღვით კი გამლანძღა, მაგრამ ცოტა ხნით სტალინმა ეს დანიშვნები განახორციელა. ვფიქრობ, რომ ამას ამხანაგები დაადასტურებენ. ამხ. მალენკოვი გ. მ. და მე, აგრეთვე სხვა ამხანაგები და მე ძალზე ხშირად ვლაპარაკობდით იმაზე; რომ ამხ. სტალინისთვის მიგვეცა წინადადება, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ თქვენ დაენიშნეთ და ეს მხოლოდ ახლა განხორციელდა. ყველაფერს ვერ იტყვი.

ნიკიტა სერგეევიჩ! თუ არ ჩათვლით უკანასკნელ შემთხვევას ცეკას პრეზიდიუმზე, სადაც შენ მე მაგრად და განრისხებით გამლანძღე, რასაც სავსებით ვეთანხმები, ჩვენ ყოველთვის დიდი მეგობრები ვიყავით. მე ყოველთვის ვამაყობდი იმით, რომ შენ შესანიშნავი ბოლშევიკი და შესანიშნავი ამხანაგი ხარ და ეს შენთვის არაერთხელ მითქვამს, როცა კი მოხერხდებოდა ამის თქმა და ეს მითქვამს ამხანაგ სტალინისთვისაც. მე შენს ჩემდამი დამოკიდებულებას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი.

ნიკოლაი ალექსანდროვიჩ! მე შენთვის არასოდეს და არსად არ გამიკეთებია ცუდი რამ. გეხმარებოდი პატიოსნად და როგორც შემეძლო. ამხ. მალენკოვი გ. მ. და მე არაერთხელ ვესაუბრეთ ამხ. სტალინს შენზე, როგორც შესანიშნავ ამხანაგსა და ბოლშევიკზე. როცა ამხ. სტალინმა ჩვენ კვლავ შემოგვთავაზა თავმჯდომარეობის რიგითობა დაგვედგინა, მე და ამხ. გ. მ. მალენკოვი მას ვარწმუნებდით, რომ ეს საჭირო არ იყო, რომ შენ საქმეს თავს ართმევდი, დახმარებით კი ჩვენ ისედაც გეხმარებოდით.

ლაზარ მოისეევიჩ და ანასტას ივანოვიჩ. თქვენ ორივე დიდი ხანია მიცნობთ. მე ჯერ კიდევ 1920 წელს ანასტასმა მიმავლინა საქართველოში, მაშინ ჯერ ისევ მენშევიკურში, არალეგალურად მუშაობისათვის, რკპ კავბიუროსა და XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სახელით მიმავლინა. ლაზარი მე მიცნობს 1927 წლიდან, არასოდეს დავივიწყებ დახმარებას, რომელიც გამიწიეთ ამიერკავკასიაში პარტიულ მუშაობაში, როცა თქვენ ცეკას მდივანი იყავით. მოსკოვში მუშაობის პერიოდზე ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ერთსლა ვიტყვი: ყოველთვის ვგრძნობდი თქვენგან ჩემდამი პრინციპულ დამოკიდებულებას, მუშაობაში დახმარებასა და მეგობრობას...

ამხანაგებმა პერვუხინმა და საბუროვმა თქვეს, რომ ამხ. სტალინის სიცოცხლეში პრივილეგიური მდგომარეობა მქონდა. ეს ხომ სიცრუეა, გიორგი, შენ ეს სხვებზე კარგად იცი, ეს პრეზიდიუმის სხვა წევრებმაც იციან...

ამხ. საბუროვთან ჩემს დამოკიდებულებას რაც შეეხება, ამხ. მალენკოვმა გ. მ. და მე შევინარჩუნეთ ის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე, ამხ: პერვუხინი კი, რასაკვირველია, დამსახურებულად, მე წარვადგინე სოციალისტური შრომის გმირის წოდების მისანიჭებლად და ეს გადაწყვეტილება გავიტანე.

ლავრენტი ბერია.

ამხანაგებო, პატიებას ვითხოვ იმის გამო, რომ დაულაგებლად და ცუდად ვწერ იმის გამო, რომ ამ დღეში ვარ, და იმიტომაც, რომ აქ მკრთალი შუქია და პენსნე (სათვალე) არა მაქვს.

1953 წ. 1 ივლისი

სკკპ ცკ პრეზიდიუმში

ამხანაგებს მალენკოვს, ხრუშჩოვს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, მიქოიანს, პერვუხინს, ბულგანინსა და საბუროვს.

ძვირფასო ამხანაგებო, უნდათ სასამართლოსა და ძიების გარეშე გამისწორდნენ. უკვე ხუთი დღეა დატუსაღებული ვარ, მაგრამ ერთხელაც არ დავუკითხივართ. გევედრებით თქვენ ყველას, რომ ეს არ დაუშვათ, გთხოვთ დაუყოვნებლივ ჩარევას, თორემ სხვაგვარად გვიან იქნება. პირდაპირი ტელეფონით უნდა გააფრთხილოთ.

ძვირფასო ამხანაგებო, დაბეჯითებით გევედრებით ჩემი საქმის გამოსაძიებლად გამოყოთ ყველაზე საპასუხისმგებლო და მკაცრი კომისია ამხ. მალენკოვის, ან ამხ. ვოროშილოვის მეთაურობით. ნუთუ ცკ პრეზიდიუმის წევრი იმას არ იმსახურებს, რომ მისი საქმე გულდასმით გაარკვიონ, ბრალდებები წაუყენონ, მოსთხოვონ მას ახსნა-განმარტებები, დაჰკითხონ მოწმეები. ეს ყველა თვალსაზრისით კარგია საქმისთვისაც და ცეკასთვისაც. რატომ უნდა გაკეთდეს ის, რაც ახლა კეთდება, სარდაფში ჩამსვეს და არავინ არაფერს არკვევს და არაფერს კითხულობს. ძვირფასო ამხანაგებო, განა ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილებაა, რომ ცეკას წევრი და თავიანთი ამხანაგი გაუსამართლებლად და საქმის გაურკვევლად სარდაფში ხუთი დღის ჯდომის შემდეგ სიკვდილით დასაჯონ.

ერთხელ კიდევ გევედრებით თქვენ ყველას, განსაკუთრებით ამხ. ლენინთან და ამხ. სტალინთან ნამუშევარ, დიდი გამოცდილებით გამდიდრებულ და რთული საქმეების გარკვევაში გამოწრთობილ ამხანაგებს მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩსა და მიქოიანს. ლენინისა და სტალინის ხსოვნის გულისათვის, გთხოვთ, გევედრებით ჩაერიოთ ამ საქმეში და თქვენ დარწმუნდებით, რომ მე აბსოლუტურად სუფთა, პატიოსანი და თქვენი ერთგული მეგობარი და ამხანაგი, ჩვენი პარტიის ერთგული შვილი ვარ.

ჩვენი ქვეყნის სიძლიერისა და ჩვენი დიადი პარტიის ერთიანობის განმტკიცების გარდა, სხვა არავითარი აზრი არ მქონია.

ჩემს ცეკას და ჩემს მთავრობას მე ნებისმიერ სხვა ამხანაგებზე არანაკლებ ვუჭერდი მხარს და ამ მხრივ ვაკეთებდი ყველაფერს, რაც კი შემეძლო. ვამტკიცებ, რომ ყველა ბრალდება მომეხსნება, თუ თქვენ მათს გამოძიებას ისურვებთ. რისთვის არის საჭირო ასეთი და თანაც მეტად საეჭვო აჩქარება.

ამხ. მალენკოვსა და ამხ. ხრუშჩოვს ვთხოვ ნუ გაჯიუტდებიან. განა ცუდი საქმე იქნება, თავიანთი ამხანაგის რეაბილიტაცია თუ მოახდენენ?

კიდევ და კიდევ გევედრებით ჩაერიოთ ამ საქმეში და თქვენს უდანაშაულო ძველ მეგობარს ნუ დაღუპავთ.

თქვენი ლავრენტი ბერია

დანართი 11

ღია წყაროებიდან

გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვასთვის“ ვ. გ. ხიჟნიაკის მიერ მიცემული ინტერვიუდან

(ვ. გ. ხიჟნიაკი-თადარიგის პოლკოვნიკი. 1953 წელს — მაიორი, საჰაერო თავდაცვის ჯარების მოსკოვის ოლქის შტაბის კომენდანტი. ექვსი თვის მანძილზე, ბერიას დაპატიმრებიდან მისი სიცოცხლის ბოლომდე განუშორებლად მასთან იმყოფებოდა).

24 ივნისს 22 საათსა და 15 წუთზე დერეფანში ზარის ხმა გაისმა და კარი გავაღე: დგას კაპიტანი და მეუბნება, სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეთ შტაბში, სამხედრო ოლქის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი მოსკალენკო გიბარებთო... სწრაფად ჩავიცვი და გენერალ ნიკოლაი ივანოვიჩ ბაკსოვთან, სამხედრო ოლქის შტაბის უფროსთან, მივედი. მან მე მკითხა, კრემლში, ბოროვიცკის ალაყაფთან, მანქანით როგორ უნდა მიხვიდეთ, თუ იცითო. ვიცი-მეთქი.

— წავიდეთ ჯარების სარდალთან.

ოლქის ჯარების სარდალმა გენერალმა კირილ სემიონოვიჩმაც იგივე მკითხა და მასაც ვიცი-მეთქი, ვუპასუხე.

— კეთილი, — მითხრა მან. — დაცვის ასეულიდან ორმოცდაათი ავტომატიანი ჯარისკაცი წამოიყვანეთ, ყველაზე საიმედონი შეარჩიეთ, მანქანებში ჩასხედით და ბოროვიცკის ალაყაფისკენ გასწიეთ. თქვენ იქ გენერალი ბაკსოვი დაგხვდებათ...

...მანქანით მივადექი კრემლის ალაყაფს, სადაც გენერალი ბაკსოვი დამხვდა, შიგნით შევედით და ერთ-ერთ შენობას მივადექით. გენერალმა ბაკსოვმა სამთავრობოსირენიან ავტომანქანა „ზის-110“-თან მიმიყვანა და მითხრა: „როცა შენობიდან გამოვა გენერლების ჯგუფი სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ მოსკალენკოს მეთაურობით და მანქანაში ჩაჯდება, ფრთხილად იყავით: ყველა ღონე იხმარეთ მანქანისა და იქ მსხდომი პირების დასაცავად და მათ მიჰყევითო“.

რამდენიმე წუთის შემდეგ შენობიდან გამოვიდნენ გენერლები მოსკალენკო, ბაკსოვი, ბატიცკი, პოლკოვნიკი ზუბი, პოდპოლკოვნიკი იუფეროვი — სარდლის ადიუტანტი, პოლკოვნიკი ერასტოვი. მათ შორის იყო ბერია. ავტომანქანაში ბერიას ხელმარცხნივ იუფეროვი დაჯდა, ხელმარჯვნივ ბატიცკი, ბერიას პირდაპირ — ზუბი და მოსკალენკო. დაიძრნენ. წინაა „ზის-110“, მას მიჰყვება ავტომანქანები 50 ავტომატიანი ჯარისკაცითურთ. 40-50 წუთში გარნიზონის ჰაუპტვახტს მივადექით.

— როცა კრემლისკენ მიემართებოდით, თუ იცოდით, რომ ბერია დაპატიმრებული იყო?

— არ ვიცოდით. მაგრამ როცა იქ მივედით, ბაკსოვმა მითხრა: „ბერია დავაპატიმრეთ... მას ახლა მოიყვანენ“... 27-ში სარდალმა გამომიძახა და მითხრა, რომ ბერიას მოვლა მე მქონდა დაკისრებული. მე მისთვის საჭმელი უნდა მეკეთებინა, უნდა მეჭმია და მესმია, უნდა დამებანა და გამეკრიჭა, გამეპარსა, და მისი მოთხოვნით, მორიგე გენერალთან ერთად მასთან უნდა მისულიყავით...

— პირადად თქვენ როგორ გაეცანით ბერიას? როგორ მოხდა ეს?

— როცა სარდალმა მაცნობა, რომ მე ბერიაზე ვიყავი მიმაგრებული, მითხრეს საჭმელი წაუღეთო. გენერალი ბაკსოვი და პოლკოვნიკი ზუბი წამოვიდნენ, საჭმელი კი მე წავუღე. მათთან ერთად წავუღე.

— რა საჭმელი წაუღეთ?

— კარგი საჭმელი იყო, ჯარისკაცების სასადილოდან. საწოლზე იჯდა ნაკვები, ჩასუქებული, ნაპატივები პენსნეიანი მამაკაცი. ნაოჭები თითქმის არ ჰქონდა. მზერა — მკაცრი და ბრაზიანი. სიმაღლე — დაახლოებით 160-170 სანტიმეტრი. ნაცრისფერი, გაცვეთილი კოსტიუმი ეცვა. თავიდან პირი მიაბრუნა, არავის არ გვიყურებდა. მას ეუბნებიან: „ჭამეთ“, ის კიდევ: „თქვენ ფანქარი და ქაღალდი თუ მომიტანეთ?“ „მოგიტანეთ“, — უპასუხა სარდალმა. მან მაშინვე დაიწყო წერა... როცა მას საჭმელი მოაწოდეს, წვნიანი შემოასხა — ადგა და შემომასხა. ყველა აღშფოთდა. მკაცრად გააფრთხილეს, მაგრამ ქაღალდი და ფანქარი დაუტოვეს. მაშინ ის საერთოდ არ მიეკარა საჭმელს...

— ყოველდღე იყავით მასთან?

— ყოველდღე. დღე-ღამეში საშუალოდ თორმეტჯერ შევდიოდი. მალე ის ოსიპენკოს 29-ში, სამხედრო ოლქის შტაბში გადაიყვანეს. იქ ჩვენ სამი-ოთხი დღე დავყავით, მერე კი იქვე გადაიყვანეს დიდ ბუნკერში, სადაც საკომანდო პუნქტი იყო, შტაბის შენობის ეზოში...

— სასამართლო რამდენ ხანს გრძელდებოდა?

— თვეზე მეტ ხანს. ყოველდღე, შაბათი და კვირა დღეების გარდა. ისინი დილის 10-დან 18-19 საათამდე მუშაობდნენ, რასაკვირველია, სასადილო შესვენება იგულისხმება...

— ვიღაც წერდა, მან დახვრეტის წინ დაიჩოქა და რაღაცას იხვეწებოდაო...

— ასეთი რამ არ მომხდარა. მე ხომ მთლად — თავიდან ბოლომდე მასთან ვიყავი. არავითარი დაჩოქებები, არავითარი ხვეწნები... როცა მას განაჩენი გამოუტანეს, გენერალმა მოსკალენკომ მიბრძანა მის სახლში წავსულიყავი (ბერია კაჩალოვის ქუჩისა და ვსპოლნის შესახვევის კუთხეში ცხოვრობდა) და ბერიასთვის სხვა კოსტიუმი მომეტანა (მანამდე მას სულ ის ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა — აი, ის, კრემლში დაპატიმრების დროს რომ ეცვა), მივედი, იქ ვიღაც ქალია. ვუთხარი, ვინც ვიყავი. კოსტიუმი მინდა-მეთქი. მომაწოდა. შავი კოსტიუმი იყო.

— განაჩენი გამოიტანეს. თქვენ კოსტიუმისთვის მიხვედით... შემდეგ რა იყო?

— მე ის ნაცრისფერი კოსტიუმი დავწვი და ეს შავი ჩავაცვი. აი, როცა კოსტიუმს ვუცვლიდი, მაშინ უკვე იცოდა, რომ მას ამზადებდნენ.

მე და ორმა ხურომ გავაკეთეთ დაახლოებით სამი მეტრი სიგანისა და ორი მეტრი სიმაღლის ხის ფარი. ჩვენ ის მივამაგრეთ ბუნკერში, იმ დარბაზის კედელზე, სადაც ბერია გამოჰყავდათ ხოლმე დაკითხვებზე. სარდალმა მითხრა, რომ ფოლადის რგოლი გამეკეთებინა. მე ის დავუკვეთე და გააკეთეს — ფარის ცენტრში ჩახრახნეს. ბრეზენტის, თოკის მომზადებაც მიბრძანეს. მოვამზადე.

— და ყველაფერი ეს ერთ დღეში გააკეთეთ?

— დიახ, მთელი საღამო ვამზადებდით... ის მე მოვიყვანე. ხელები არ გაგვითოკავს. აი, როცა ის ფართან მივიყვანეთ, მისი ხელები ამ რგოლს ზურგს უკან მივაბი.

— როგორ იქცეოდა ის ამ დროს?

— არა უშავდა. მხოლოდ რაღაცნაირად ფერმიხდილი სახის მარჯვენა მხარე ოდნავ უტოკავდა.

— თვალები აუხვიეთ?

— აბა, მომისმინეთ. მე ხომ გაზეთებსა და წიგნებში წამიკითხავს, სიკვდილით დასჯის წინ თვალებს უხვევენო. და მე შევამზადე პირსახოცი — ჩვეულებრივი, ჯარისკაცური პირსახოცი და მისთვის თვალების ახვევას შევუდექი. ის იყო, მოვრჩი, ბატიცკი მეუბნება: „რატომ უხვევ თვალებს?! დაე, თავისი თვალით უყუროს ყველაფერს!“ მე თვალებიდან სახვევი ავხსენი. იქ იყვნენ სასამართლოს წევრები: მიხაილოვი, შვერნიკი, კიდევ ბატიცკი, მოსკალენკო, მისი ადიუტანტი, რუდენკო... ექიმი არ იყო. ისინი ბერიასგან ექვსშვიდ მეტრზე იდგნენ. ბატიცკი ოდნავ წინ იყო წაწეული, მან „პარაბელუმი“ დააძრო და ბერიას პირდაპირ ცხვირის ფუძეში ესროლა. ბერია რგოლზე დაეკიდა.

შემდეგ მე ბერია ჩამოვხსენი. ერთი მაიორიც მომცეს. ჩვენ ის წინასწარ გამზადებულ ბრეზენტში შევხვიეთ და მანქანაში შევდეთ.

ეს მოხდა 1953 წლის 23 დეკემბერს, შეღამებულზე. და როცა გვამზე შემოხვეული ბრეზენტის შეკვრას შევუდექი, გონი დავკარგე. სულ წამით დავკარგე. და მაშინვე მოვედი გონს. ბატიცკი დედას მაგინებდა. საშინლად შემებრალა ბერია, იმიტომ, რომ ნახევარ წელიწადში შევეჩვიე კაცს, რომელსაც ვმეურვეობდი.

(„ვეჩერნაია მოსკვა“),
1994 წ. 28 ივლისი

თარგმნა
ჯუმბერ თითმერიამ.

ხსოვნა

ქართველ ეთიკოსთა ბრწყინვალე წარმომადგენელი

თემურ ფიფია ქართველ ეთიკოსთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. მან თავისი ბუნებრივი ნიჭიერებით, განსწავლულობითა და სოციალური აქტივობით სრულიად ახალგაზრდამ მიიპყრო თავისი კოლეგების, სტუდენტებისა და საზოგადოების ყურადღება. მისთვის ნიშანდობლივი იყო ახალგაზრდობისათვის, როგორც განსაკუთრებული სოციალური კატეგორიისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი: სიახლის გრძნობა, აზროვნების სითამამე, შრომისა და ბრძოლის ენთუზიაზმი, დიდი მიზანსწრაფვა, მიდრეკილება იდეალისა და სრულქმნა-განვითარებისადმი, სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, დიდი ენერგია, რის გამოც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ავანგარდულ როლს ასრულებდა.

მას გამოქვეყნებული აქვს შრომები ეთიკის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური, მენტალიტეტის და პოლიტოლოგიის საკითხებზე. აგრეთვე, პუბლიცისტური სერიალი ეთიკის აქტუალურ საკითხებზე. აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე თბილისში, მოსკოვში, ვილნიუსში, გერმანიის ქალაქ პისენში. გერმანიაში გამოქვეყნდა მისი ნაშრომი: „ადამიანის ღირსება და გამათავისუფლებელი მოძრაობა“. წლების განმავლობაში კითხულობდა ეთიკის კურსს სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქვე მუშაობდა ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელად. აღსანიშნავია, რომ ის წარმატებით ართმევდა თავს ისეთ ურთულეს თანამდებობას, როგორიც არის სახელმწიფო აპარატის რეგიონების მართვის ხელმძღვანელობა. მისი მოწოდება სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა იყო, მაგრამ როცა ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, მან ღირებულებათა იერარქიის სისტემაში უპირატესად მიიჩნია სამშობლოს ინტერესები და დროებით შეწყვიტა პედაგოგიური მოღვაწეობა.

მეცნიერული კვლევის ობიექტად მან აირჩია ეთიკის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა „კულტურისა და ზნეობის ურთიერთმიმართება“ და აკადემიკოს ოთარ ჯიოევის ხელმძღვანელობით წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ამ თემაზე. რამდენიმე წლის შემდეგ წარმოადგინა სადოქტორო დისერტაცია „ადამიანის ზნეობრივი პერსპექტივები“, რომელიც, სპეციალისტთა აღიარებით მაღალ მეცნიერულ ღირებულებას წარმოადგენს.

მას ბუნებრივად თანდაყოლილი მეტაფიზიკური გრძნობისა და ფილოსოფიური განსწავლულობის წყალობით გააზრებული ჰქონდა მსოფლმხედველობრივი სისტემა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანის ადგილის, სიცოცხლის საზრისისა და ადამიანის დანიშნულების საკითხს. მთელი მისი შეგნებული სიცოცხლე ადამიანური ღირსებისათვის ბრძოლის სარბიელი გახლდათ, მისივე აღიარებით, სწორედ „ღირსების გრძნობაა ის სოკრატესეული კრაზანა, რომელიც ადამიანს თვლემის საშუალებას არ აძლევს და აიძულებს თავის მსგავსთა მორის ღირსეული ადგილი დაიჭიროს“.

თემურ ფიფიას დამსახურებაა ის, რომ მან ეთიკოსთა დიდი უმრავლესობისაგან განსხვავებით, რომლებიც ზნეობის ფუნქციებიდან არსებით მნიშვნელობას ანიჭებდნენ მარეგულირებელ ფუნქციას, მან პრიორიტეტულად აღიარა ზნეობის ჰუმანისტური არსი.

იმ ეთიკოსთა საწინააღმდეგოდ, რომლებიც ადამიანთა გადაგვარებისაგან გადასარჩენად ორიენტირს ადამიანის შინაგან ძალებში ხედავდნენ და აქ ცდილობდნენ მოენახათ ისეთი საფუძველი, რომელიც ადამიანს დააკისრებდა პასუხისმგებლობას გაუსაძლისად მძიმე ვითარებაშიც ზნეობრივი ნორმების ერთგული დარჩენილიყო, თემურ ფიფიამ კრიტიკის მახვილი თვითონ საბჭოური წყობის, ტოტალიტარული სისტემის წინააღმდეგ წარმართა და პირუთნელად აღიარა: „თუ გვინდა, რომ ზნეობამ თავისი მოვალეობა შეასრულოს, სოციალური გარემო ადამიანს ალტერნატივის საშუალებას უნდა აძლევდეს. მაგრამ მთელი საბჭოთა სისტემა ისეთია, რომ მასში პატიოსანი ადამიანები „თეთრი ყორნის“ როლში არიან. გამოსავალი აქ მხოლოდ ერთია, ადამიანის ეკონომიკურად და ზნეობრივად გადამაგვარებელი ეს სისტემა დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს კომუნის ტიპის საზოგადოების დამყარებით. ადამიანთა თავისუფლებისა და თანასწორობის მიღწევის იდეა ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა“.

უაღრესად საყურადღებოა ის, რომ თემურ ფიფია ჩვენს ქვეყანაში ფილოსოფოსთა მორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შეძლო ფილოსოფიური განათლება წარმატებით გამოეყენებინა პრაქტიკულ-პოლიტიკური საკითხების გადაჭრისას.

მასში ჰარმონიულად იყო შერწყმული მოქალაქეობრივი, პროფესიული და ადამიანური ღირსებები. გულისხმიერი ადამიანი იყო, ზრდილი და საოცრად თავაზიანი.

ის მიზნები, რომლებიც მან დაისახა ღირსებისათვის ბრძოლაში და მასთან დაკავშირებული ორგანიზმისთვის შეუსაბამო ენერგიული ფსიქიკური, სულიერი და ფიზიკური ძალისხმევა დამღუპველი აღმოჩნდა მისი ჯანმრთელობისათვის. მოულოდნელად, 37 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელიც თავგანწირვით იღვწოდა საზოგადოების საკეთილდღეოდ, ადამიანი, რომლისაც გვჯეროდა, გვეიმედებოდა და გვეამაყებოდა და დაგვიტოვა გულში ღრმა ტკივილი, მაგრამ მისი ნაღვაწი, რომელიც ეთიკის მეცნიერების საგანძურს შეემატა, განაგრძობს სიცოცხლეს.

მთავრობამ და საზოგადოებამ დიდი პატივი მიაგო ამაგდარ მამულიშვილს, ერისა და საზოგადოების ღვიძლს და მას პანთეონში მიუჩინა მუდმივი სასუფეველი.

ლილი ჩინჩალაძე,
თსუ ეთიკისა და რელიგიათმცოდნეობის კათედრის დოცენტი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ მხოლოდ თავისი მკითხველების განცხადებებს აქვეყნებს უფასოდ
№ 183
„სრ“
უფასო განცხადებების ბლანკი
შევსებული ბლანკი ამოჭერით და ჩააბარეთ რედაქციის განცხადებების განყოფილებას. მისამართი: მ. კოსტავას ქ. №14. პირველი სართული. ყოველ დღე, კვირის გარდა, 11-დან 17 საათამდე.

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

ჭადრაკი

არახამია კვლავ პირველია

კოპენჰაგენში (დანია) დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი სახელწოდებით „სენიორები სინიორების წინააღმდეგ", რომელმაც ბოლო წლებში დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. ეს მატჩ-ტურნირი იმითაც იყო ჩვენთვის საინტერესო, რომ მასში ქართველი დიდოსტატები ქეთევან არახამია და ნანა იოსელიანიც მონაწილეობდნენ. 10 შესაძლებლობიდან 5-5 ქულით ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ქეთევან არახამიამ. სენიორებში ყველას აჯობა მსოფლიოს ექსჩემპიონმა 76 წლის ვასილი სმისლოვმა, რომელმაც 6,5 ქულა მოაგროვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ლაიოშ პორტიში. აღსანიშნავია, რომ სამივე მოჭადრაკემ შარშანდელი ტურნირის შედეგები გაიმეორა.

ფეხბურთი

პირველი შედეგები

გაუწყებთ გუშინ საქართველოს სტადიონებზე გამართული ფეხბურთელთა მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის დასკვნითი ხუთი მატჩის შედეგს:

„დილა" (გორი) – „სამგურალი" (წყალტუბო) 2:0, „მარგვეთი" (ზესტაფონი) – „მორკინალი" (თბილისი) 2:4, „ტორპედო" (ქუთაისი) – „ლოკომოტივი" (თბილისი) 4:1, „ოდიში" (ზუგდიდი) – „მაღაროელი" (ჭიათურა) 4:1, „ბათუმი" – „სიონი" (ბოლნისი) 2:0.

მეორე ტურის შეხვედრები 16, 17 და 18 აგვისტოს მოეწყობა მათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დედაქალაქის კლუბების „მერანისა" და „მორკინალის" მატჩი, რომელიც 17 აგვისტოს გაიმართება.

„სრ" რედაქცია მადლობას უხდის საქართველოს საწარმო „საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის" მეელსმენეს ირინა გოგოლაძეს, რომელიც დაგვეხმარა რეგიონებიდან ფეხბურთის მატჩების შედეგების შესახებ ცნობების მიღებაში.

ისტორიის ფურცლები

გურული ცხენოსნები ევროპასა და ამერიკაში

ოდითგანვე ჩვენი წინაპრები ბედაურებსა და ცხენოსნურ სპორტს უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ცხენის ჩონჩხები და აღკაზმულობა. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში თუბალების ქართველური ტომი განთქმული იყო საუკეთესო ჯიშის ჰუნებით. ცხენის კულტის შორეულ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს კიკულია მითანელის უნიკალური ტრაქტატი, ანუ „ცხენის კარაბადინი", რომელიც ტაიჭთა გახედვნას, წრთნას, მოშენებას და მკურნალობას ეძღვნება.



ცხენის უნიკალური ჯირითი ევროპასა და ამერიკაში განსაკუთრებით გაითქვეს გურულებმა გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში. მათი ამბავი ასე დაიწყო: 1887 წელს ბათუმს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი შაპიტო-ცირკის მენეჯერი თომას ოლივერი, რომელსაც მოჯირითეების წაყვანა სურდა. ოლივერი დაიბადა მანჩესტერში ცირკის მსახიობთა ოჯახში. იგი მშობლებს თან დაჰყავდათ გასტროლებზე და ხუთი წლისა მოხვდა თბილისში, სადაც კარგა ხანს იცხოვრა.

შემდეგ ოლივერმა 18 წლის განმავლობაში სხვადასხვა ცირკთან ერთად თითქმის მთელი რუსეთის იმპერია მოიარა. იგი კარგად გაეცნო საქართველოს და აქაურ ცხენოსნურ ჯირით-თამაშებსაც. ოლივერი ბათუმში ამერიკის კონსულ ჯეიმს ჩემბერსთან დაბინავდა.

კონსულთან იმხანად მოჯამაგირედ იდგა ზემოჩიბათელი კიროლე ჯორბენაძე, რომელმაც საქმის ვითარება გაიგო თუ არა, ოლივერს განუცხადა, ცხენოსნებს აქვე, გურიაში, შევაგროვებთო. ოზურგეთში გავლისას მთელ გურიაში განთქმული ცხენოსნის ივანე (დიდი) როსტომის ძე მახარაძის (მეტსახელად „მარახა") ოჯახში შეიარეს სოფელ ბახვში და მას მოელაპარაკნენ. გადაწყდა, რომ ივანე თავის ბიძაშვილებთან ერთად გუნდს შეკრებდა. ლანჩხუთიდან მათ შეუერთდნენ ცნობილი მოჯირითეები — ლუკა ჩხარტიშვილი და ფოლტა ცინცაძე. ასე ჩამოყალიბდა გურულ ცხენოსანთა პირველი გუნდი: მეთაური ივანე მახარაძე, პავლე, ივანე (პატარა, მეტსახელად „ჩოხაგრძელა"), [illegible] და სილიბისტრო მახარაძეები, ყარამან და გიორგი კალანდარიშვილები, ლუკა ჩხარტიშვილი და ფოლტა ცინცაძე (მეათე წევრის ვინაობა ჩვენთვის უცნობია). მათ ბათუმში სპეციალური წვრთნა გაიარეს. შემდეგ კი გემ „მარიათი" მარსელში ჩავიდნენ, საიდანაც ამერიკისაკენ აიღეს გეზი (ამერიკაში ჩასვლას გურულებმა დაახლოებით 20-25 დღე მოანდომეს). ჯერ კიდევ გზაში იყვნენ, ნიუ-იორკის ჟურნალ-გაზეთებმა სარეკლამო კამპანია რომ წამოიწყეს და მათ შესახებ ცნობები გამოაქვეყნეს. შოუს ორგანიზატორები ყურადღებას არ აქცევდნენ მხედართა ნამდვილ ვინაობას და გურულ მოჯირითეებს ხან რუს კაზაკებად მოიხსენიებდნენ, ხან კავკასიის გრუზინებს, გურულ კაზაკებს ან კავკასიელ ებრაელებს უწოდებდნენ. განაწყენებული გურულები ჩიოდნენ: „სიკვდილი რავა არ არის, ყველა კაზაკებს გვეძახის და ისიც ვერ გავაგებიეთ, რომ საქართველოს შვილები ვართ".

ივანე მახარაძის თავკაცობით გურულებმა ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ყველა დიდი ქალაქი მოიარეს. იმდროინდელი იქაური პრესა წერდა: „საკვირველ სურათს წარმოადგენენ ეს მეომრები: სახე ერთსა და იმავე დროს მკაცრიც აქვთ და წყნარიც, შავი ჭკვიანი თვალები და გრძელი შავი წვერი რაღაც უცნაურ ელფერს სდებს მათ სახეს. მათ შეასრულეს მშობლიური სიმღერა, რომელსაც რაღაც უცნაური მელოდია ჰქონდა. თუმცა სიმღერა წყნარი იყო, მაგრამ შიგადაშიგ საშინლად გაჰკიოდნენ... ისინი ამპარტავნობენ ახოვანი ტანით, იარაღის სილამაზით და იმავე დროს ბავშვებივით უხარიათ, როცა შამპანის ღვინით სავსე ბოთლები იხსნება!"..



გურულ მოჯირითეებზე ამერიკამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, ყველაზე ძალიან კალიფორნია მოსწონდათ: „იქ ჰავაც, ხილიც და სტუმართმოყვარეობაც ყველაფერი ჩვენ საყვარელ სამშობლოს გვახსენებდაო" — ამბობდნენ გურულები. ოთხწლიანი ქანცგამწყვეტი ტურნეს შემდეგ ივანე მახარაძის გუნდი 1891 წელს სამშობლოში დაბრუნდა: ზოგი — ფულით, ზოგი — გამოფხეკილი ჯიბით და ზოგი — იმ დროისათვის უკურნებელი სენით...

გურული მოჯირითეების სხვა გუნდებიც სისტემატურად მიემგზავრებოდნენ საზღვარგარეთ. ცირკებისა და შოუს მეპატრონეებმა მათი სახით მიაგნეს ოქროს საბადოს, რადგან ხშირად მაყურებელი მხოლოდ მათ საცქერლად მიდიოდა.

ქართველი ცხენოსნების უცხოეთში წასვლა უმთავრესად განპირობებული იყო სარჩით, რადგან ბევრი უსახსროდ იყო და გასტროლები გახლდათ მშვენიერი შანსი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების, საკუთარი თავის გამოჩენისა და, რაღა თქმა უნდა ზღაპრული ქვეყნის ხილვისა. „ღმერთო, რა ნახა თვალმა იგი, იმფერ სანახავებს ვხედავ" — წერდა ერთი მოჯირითე. ყოფილა შემთხვევები, როცა გუნდის მეთაურს თანასოფლელების წასაყვანად ქრთამსაც კი სთავაზობდნენ. ცირკის მეპატრონეები, ანუ ხაზეინები, მოჯირითეებს კარგ ჯამაგირს — 100 მანეთს, ანუ 50 დოლარს უხდიდნენ თვეში საცხოვრებელი ბინის ქირის გარეშე. მოჯირითე გიორგი გვარჯალაძე შინ გამოგზავნილ წერილში იუწყებოდა: — თუ შოუში (ე. ი.შოუში) თავი მევიკიდე, მერე აფერი მიჭირსო". თუმცა, ხშირად გასამრჯელო არ ყოფნიდათ და სხვადასხვა სამუშაოს ეძებდნენ.

ლეგენდარულმა ბუფალო ბილმა, რომლის ნამდვილი გვარსახელი უილიამ ფრედერიქ ქოუდი გახლდათ, ქართველ მხედრებს მაშინ მიაქცია ყურადღება, როცა საკუთარი ცირკი-შაპიტო, „უაილდ ვესთ შოუ" ანუ „ველური დასავლეთის შოუ" ჰქონდა, სადაც თამაშდებოდა ცოცხალი ეთნოგრაფიული სცენები: ინდიელთა თავდასხმები თეთრკანიან მოსახლეობაზე, დილიჟანსების ძარცვა, ბიზონებზე ნადირობა, ქალის მოტაცება და სხვა. თვით ბუფალო-ბილმა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების არმიის პოლკოვნიკი, მზვერავი, დილიჟანსების გამცილებელი, ბრწყინვალე მსროლელი, მოჯირითე და ცხენოსანთა პრეზიდენტი გახლდათ, შოუს, ანუ დიდ სანახაობებს საფუძველი ჩაუყარა 1883 წელს და მაშინ უდიდესი წარმატება მოიპოვა მთელ მსოფლიოში საგასტროლო მოგზაურობით. იყო წლები, როცა „უაილდ ვესთ შოუს" შემოსავალი წელიწადში მილიონ დოლარს აღემატებოდა.

ბუფალო-ბილის შოუს გურულები პირველად 1892 წელს ლონდონში შეუერთდნენ. ეს იყო ათკაციანი ჯგუფი თვრამეტიდან ოცდახუთ წლამდე ასაკის მოჯირითეებით. ლიდერი გახლდათ პრინცი ივანე მახარაძე (ამერიკელები პრინცს ეძახდნენ გუნდის ყველა წინამძღოლს). აღსანიშნავია, რომ ერთ თვეში შოუს დაესწრო ნახევარი მილიონი ადამიანი, რითაც გურულები კმაყოფილნი იყვნენ და იწერებოდნენ კიდეც: „ისთე, რაცხა პაწას ქე ვმოვნილობთ სახარჯოს, მარა მომაღლიზა, თუ ღმერთი შეგვეწია, უფრო მეტი გვექნება"-ო.

ბუფალო-ბილის შოუში გურულებმა პოპულარობის ზენიტს მიაღწიეს. მათი გამოსვლები მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ყოველთვის დიდ აჟიოტაჟს იწვევდა. ამერიკელები ირწმუნებოდნენ: „პრინც ლუკას ჭენებისას წვერის გაპარსვა შეუძლიაო".

ამერიკელი ისტორიკოსი სარა ბლექსთოუნი წერდა: „უაილდ ვესთის შოუს ცხენებს სჭირდებოდათ გარკვეული დრო, რათა მიჩვეულიყვნენ იმ უცნაურ ილეთებს, რასაც გურული კაზაკები აკეთებდნენ, განსაკუთრებით ცხენის კისერზე ყირის დროს"-ო.

გურულების გამოსვლებს დასწრებიან ამერიკის პრეზიდენტები ვუდრო ვილსონი და თეოდორ რუზველტი, რომელიც ჩიკაგოში ყოფნისას ისე აღფრთოვანებულა მოჯირითე გიორგი ჩხაიძის ოსტატობით, რომ მისთვის სამახსოვროდ გადაუცია ოქროს ბეჭედი და ლანგარი, რომელზეც გამოსახულია ცხენზე ამხედრებული პრეზიდენტი". დიდ პატივში ვყევართ — ამბობდნენ გურულები. — მეტადრე ამერიკელი მანდილოსნები მოვხიბლეთ. ერთმა შეძლებულმა ქალმა ჩვენს ერთ ამხანაგს უთხრა, ცოლად გამოგყვებიო, მარა აბდალმა ჩვენებური ციცა არჩია და ქე ჭამს ახლა გურიაში ჭადს და ლობიოს". ზოგმა მოჯირითემ კი ბედი უცხოელს დაუკავშირა, იქვე დარჩა და გარდაიცვალა.

30-წლიანი გასტროლების მანძილზე ამერიკა და ევროპა მოინახულა თითქმის 150-მა მხედარმა. მათგან პირველები არიან ივანე მახარაძე და ლუკა ჩხარტიშვილი. ეს უკანასკნელი ყველაზე მეტ ხანს ჯირითობდა და პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე სამშობლოში დაბრუნდა. პროფესიით ლუკა ოქრომჭედელი გახლდათ, საკმაოდ შეძლებული, თუმცა წერა-კითხვის უცოდინარი, სამაგიეროდ, ცხენოსნობაში ვერავინ ჯობდა.

ლეგენდები დადიოდა დათა ქაჯაიას, სერაპიონ იმნაძის, კირილე ხოფერიას, პავლე მახარაძისა და სხვათა შესახებ.

როცა ინდიელებთან შეჯიბრებაზე მიდგებოდა საქმე, ლუკა თანაგუნდელებს ეუბნებოდა: „მიანებეთ მარულა მაგათ, კინჩხიც უტეხიათ, ხომ ხედავთ წაგების გამო მხეცდებიან და აფერი მოგვწიონ". მაგრამ აზარტში შესულ ქართველებს ავიწყდებოდათ დარიგება და გამარჯვებისკენ მიისწრაფოდნენ. დამარცხებული მასპინძლები ხშირად მუშტი-კრივზე გადადიოდნენ. აი, მაშინ კი იგემებდნენ უცხოელები გურულების მუშტებსა და მათრახებსაც, თუმცა, ბოლოს ყველაფერი ქეიფით მთავრდებოდა. ამ ხასიათს ზუსტად ეხმიანება ამერიკული გაზეთი, რომელიც წერდა: „კავკასიელი გრუზინები ამაყნი და ზვიადნი არიან, თავს არავის აჩაგვრინებენო".

ქართველი ცხენოსნების სახელმა ინგლისის სამეფო კარამდეც მიაღწია. 1892 წლის 25 ივნისს დედოფალ ვიქტორიას მიწვევით გურულები მისი ალმატებულების წინაშე წარსდგნენ უინძორის სასახლეში და წარჩინებულ პირთა წინაშე იჯირითეს. დედოფალი იმდენად ნასიამოვნები დარჩა სანახაობით, რომ გურულებს გადასცა მათივე სურათებით ლამაზად შესრულებული ალბომი, მადლობა გამოუცხადა და ძვირფასი ნივთებითაც დაასაჩუქრა, ხოლო ინგლისის საზოგადოებამ 20 000 კაცის მიერ ხელმოწერილი ქებისა და მადლობის ადრესი შეადგინა ქართველთა პატივისცემის ნიშნად.

გურულების ასპარეზობებს მეტ ხიბლსა და ლაზათს მატებდა ქართველი მანდილოსნების მონაწილეობა. მშვენიერი ქალბატონები ურთულეს ილეთებს ასრულებდნენ და აცვიფრებდნენ მაყურებელს. ამერიკაში ქართველი მოჯირითე მანდილოსნები პირველად ლუკა ჩხარტიშვილმა წაიყვანა 1908 წელს. ესენი იყვნენ ქრისტინე ცინცაძე და მარო ზაქარეიშვილი-კვიტაიშვილისა. ქალების გამგზავრებას მშობლები ეწინააღმდეგებოდნენ, ქალიშვილის დუნიაზე ხეტიალი და ისიც ცხენით, სად გაგონილაო, მაგრამ ლუკამ მაინც თავისი გაიტანა.

მოგვიანებით, 1912 წელს, მაროს უმცროსი და 16 წლის ბარბალე გაიწვიეს ამერიკაში. საქმე ის გახლდათ, რომ მაროს და მის მეუღლეს, ცნობილ მოჯირითე ველიკო კვიტაიშვილს უცხოეთში ორი შვილი შეეძინათ და დამხმარე ესაჭიროებოდათ. ბარბალე ქრისტეფორე იმნაძემ ჩაიყვანა ამერიკაში, სადაც სულ ცოტა ხანში ცოლად ითხოვა კიდეც. ბარბალე და ქრისტეფორე შეერთებულ შტატებში დარჩნენ საცხოვრებლად, სადაც მათ ოთხი ქალიშვილი შეეძინათ. საინტერესოა, რომ ბარბალეს მიაწერდნენ ნენსი რეიგანის დედობას (ეს გამოიწვია სხვადასხვა ფაქტის დამთხვევამ), რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ქალბატონმა ბარბალე იმნაძემ თბილისი და მშობლიური გურიაც ბადიმ ქრისტეფორე მაზეიკასთან ერთად 1969 წელს მოინახულა, მერე გაბრუნდა ჩიკაგოში, სადაც 1988 წელს გარდაიცვალა.

ქრისტინე ცინცაძეზე კი ლეგენდები დადიოდა. ქართულ კაბასა და ჩიხტიკოპში გამოწყობილი, პატარა ტანის, მაგრამ მეტად მოხდენილი და მკვირცხლი ქრისტინეს მოტაცება ამერიკელებმა რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ გურულებმა არ დაანებეს.

ქრისტინე ცინცაძე ყურადღებას, უპირველესად, თავის გამბედაობით იპყრობდა. ერთხელ ცხენი წაექცა, უბა დაჰკრა მიწას და კბილები ჩაემტვრა, მაგრამ იმწამსვე წამოიჭრა, ბედაურს მოევლო და ჭენება განაგრძო. ვაჟკაცური საქციელისთვის ქრისტინე ძვირფასი კაბებით, ბეჭდითა და ოქროს საათით დააჯილდოვეს. სიკვდილის წინ ქალბატონმა ქრისტინემ თავისი კაბები, საჩუქრად მიღებული ნივთები სულ დაარიგა, ხოლო ამერიკიდან ჩამოტანილი ზანდუკი, ფოტოები და მრავალი სხვა თავისი ხელით დაწვა, არავინ იცის, რატომ.

გურულების უკანასკნელი გუნდი უცხოეთიდან 1924 წელს დაბრუნდა. ამ დროს ახალმა მთავრობამ აღკვეთა ქართველი ცხენოსნების ამერიკაში მოგზაურობა. იქ ნაყოფ მოჯირითეებს კი კატეგორიულად ეკრძალებოდათ ამერიკაზე ნებისმიერი საუბარი, რადგან ეს თურმე მოუმზადებელ გლეხობას რყვნიდა...

ამირან ფიცხალაური,
საქართველოს ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსი,
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

სურათებზე: ბუფალო ბილის „უაილდ ვესტ შოუს" ქართველი მოჯირითეები (1895 წ.); გურულები ლონდონში (1892 წ.).

ჭიდაობა

სამბისტები ოთხ-ხუთ მედალს გვპირდებიან

ფალავანთა კლუბში იმ დროს მივედი, როცა ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ემილ რაში ფალავნებს საგულდაგულოდ ავარჯიშებდა მსოფლიო პირველობისთვის.

მცირე შესვენებებს დროს აღმზრდელი სხვადასხვა თემაზე ესაუბრებოდა შეგირდებს, ვის რჩევა-დარიგებებს აძლევდა, ვის მისალებ გამოცდებზე ეკითხებოდა, ოჯახური მდგომარეობის გამოკითხვაც არ დავიწყნია. ასეთი მეგობრული დამოკიდებულება ფალავნებს კეთილად განაწყობდა და დამქანცველი ვარჯიშისთვის აგულიანებდა.

როგორც იქნა გუნდის უფროსი მწვრთნელი დავიმარტოხელეთ. მასთან საუბარში შევიტყვეთ, რომ აგვისტოს ბოლოს ყაზახეთის ქალაქ აქტიუბინსკში გაიმართება მსოფლიო პირველობა ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტებს შორის.

განზრახული იყო შეჯიბრებებში 19 სპორტსმენს ესპარეზა: ახალგაზრდებში — ათს, ჭაბუკებში — ცხრა მოჭიდავეს, მაგრამ უსახსრობის გამო, ალბათ, სულ ათიოდე სამბისტი თუ გამოცდის ძალას თანატოლებთან პაექრობაში.

მსოფლიო პირველობაზე იჭიდავებენ ახალგაზრდა ფალავნები ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა: აშშ, მონღოლეთი, იაპონია, შუა აზიის ქვეყნები და სხვანი.

ჩვენს ფალავნებს უსახსრობის გამო სასწავლო-საწვრთნელი შეკრება არ გაუვლიათ, არც ტურნირებში უასპარეზიათ.

ორივე ასაკის ნაკრების კანდიდატებიდან ჯერჯერობით ცნობილია რვა სამბისტი, რომლებსაც პირველობაზე გასამგზავრებელი თანხები ნაშოვნი აქვთ. დანარჩენები კი სახსრებს ეძებენ და არავინ იცის, რით დამთავრდება ეს ყოველივე.

პირველობისათვის მზადება, სამწუხაროდ, ცუდ პირობებში მიმდინარეობს. ამ პაპანაქებაში სრულფასოვანი წვრთნა შეუძლებელია, თანაც, შეკრების უქონლობის გამო, სპორტსმენებს რეჟიმიც დარღვეული აქვთ, ვარჯიშის შემდეგ შინ მიდიან და ღმერთმა უწყის რას ჭამენ, როგორ ისვენებენ. ბევრს ნორმალური, კალორიული კვებაც არა აქვს, რათა დახარჯული ენერგია აღიდგინოს. ნახევრადმშიერები დიდი დატვირთვით როგორ ვავარჯიშოო, გულისტკივილით აღმოხდა მწვრთნელს. ამის მიუხედავად, ემილ რაში თვლის, რომ ურიგო შედეგები არ ექნებათ და ოთხ-ხუთ მედალს მაინც ჩამოიტანენ სამშობლოში. იმედს ისიც იძლევა, რომ ისინი გამოცდილი სამბისტები არიან, წლეულს ევროპის პირველობაზე გამოიჩინეს თავი.

საუბრის დასასრულს ბატონმა ემილმა დასძინა: „ყოველ შემთხვევაში, თავს არავინ შეირცხვენს და პირნათელი დაბრუნდებიან" აღმზრდელის იმედიანი ყოფნა შეგირდებისათვის სასიკეთოა. ისინიც დიდი მონდომებითა და შემართებით ემზადებიან მსოფლიო პირველობისათვის.

გიორგი გოლაძე.

სურათზე: დგანან (მარცხნიდან) გიორგი ჩადუნელი, უფროსი მწვრთნელი ემილ რაში, დავით ლილუაშვილი. სხედან: ნიკო მახარობლიშვილი, დავით ბარათაშვილი.

ჩოგბურთი

პიტ სამპრასი — სპორტსმენი, მიჯნური და სპონსორი

უიმბლდონის უამინდობამ ხელი ვერ შეუშალა პიტ სამპრასს, მეოთხეჯერ მოეგო „დიდი ჩაფხუტის" სერიის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი. 12 აგვისტოს იგი 27 წლისა გახდება, აგვისტოს ბოლოს კი აშშ-ის ღია ჩემპიონატში ისპარეზებს. გავიხსენოთ: პიტი საფრანგეთის 1994 წლის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულია, ამასთანავე, სხვა საერთაშორისო ტურნირების ტრიუმფატორი.

და მაინც, როგორი ადამიანია მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი?

სკოლაში სამპრასი თურმე მორცხვობით გამოირჩეოდა, გოგონებთან ურთიერთობაში სამაგალითო ყოფილა.

შვიდი წლის წინათ მან პირველი პრესტიჟული ტურნირი მოიგო ფილადელფიაში და იქიდან მოყოლებული ნელ-ნელა ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნება გახდა, ფულიც მოიხვეჭა და სახელიც. ბევრს პოპულარობა და ხელის ჭუჭყი აფუჭებს, მაგრამ პიტი ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისი გახლავთ, ზოგიერთს იგი ზედმეტად თავმდაბალი ეჩვენება, რაც შტატებში დიდად როდი ფასობს.

პოდა, აწრიალდნენ პიტის აგენტები, იმიჯმაიკერები აქტიურად შეუდგნენ მაჭანკლობას: ჯერ ჩოგბურთელ ქალს მერი ჯო ფერნანდესს წარუდგინეს, შემდეგ — ტელევარსკვლავს ერიკე ედინიაკს, მაგრამ პიტი არც ერთის ანკესზე არ „წამოეგო", მაშინ ადგნენ და სამხრეთაფრიკელ მანეკენ ქალს დალაინა მალკეპის გააცნეს და ყინულიც დაიძრა. ასაკით ცოტა უფროსმა ახალმა მეგობარმა შესთავაზა ჭაბუკს, დასაწყისისთვის სპორტული რეჟიმი დაერღვია და ერთგვარად მოშვებულიყო. პიტს მოეწონა ეს და... ფლორიდაში, პატარა ქალაქ ტამპის ახლოს, მილიონნახევარ დოლარად შეიძინა სახლი, სადაც დალაინასთან ერთად დაბინავდა კიდეც.

ბევრი ცნობილი ჩოგბურთელისგან განსხვავებით, პიტი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამი წლის წინათ მან ლიონის ტურნირზე გამარჯვებისთვის მიღებული თანხა მთლიანად გადარიცხა შიდსისაგან გარდაცვლილი მუქკანიანი ჩოგბურთელის ართურ ეშის სახელობის ფონდის ანგარიშზე. კიდევ უფრო მონდომებით ჩაება სამპრასი კიბოსთან ბრძოლის კამპანიაში. წლის დასაწყისიდან იგი ას-ას დოლარს რიცხავს ფონდში მის მიერ შესრულებული ყოველი ეისისათვის (ასე ჰქვია მიწოდებით გამოსულ მოურიგებელ დარტყმას). აქვე შევნიშნავთ: კიბოთი მოკვდა პიტის ყოფილი მწვრთნელი ტიმ გალიქსონი. ახლა მისი ტყუპისცალი ტომი მეთაურობს აშშ-ის ნაკრებს დევისის თასზე. სწორედ მან ჩამოაყალიბა კიბოთი დაავადებულთა დახმარების ფონდი, ხოლო პიტ სამპრასი ფონდის აქტიური მზრუნველი და დამფინანსებელია.

მოამზადა
თამაზ ილმილმა.

სასჯელი

ანჩაბაძე სამ მატჩს გამოტოვებს

უეფას საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტმა თავის სხდომაზე განიხილა იმ ფეხბურთელთა დისკვალიფიკაციის საკითხი, რომლებმაც წითელი ბარათები დაიმსახურეს ევროპული თასების საკვალიფიკაციო ეტაპსა და ინტერტოტოს ტურნირზე.

როგორც გულშემატკივრებს ახსოვთ, ჩემპიონთა ლიგის წინასაკვალიფიკაციო მატჩში თბილისის „დინამოსა" და ბელფასტის „კრუზეიდერსს" შორის მოედნიდან გააძევეს ქართველი ფეხბურთელი გიორგი ანჩაბაძე. კომიტეტის გადაწყვეტილებით, მას სამ თამაშში აეკრძალა მონაწილეობა.

ყველაზე მკაცრი სასჯელი მიუსაჯეს „ერევნის" ფეხბურთელებს — იდეაიეს და გრიგორიანს. ისინი, შესაბამისად, 7 და 6 ორთაბრძოლას გამოტოვებენ.

დანარჩენ ფეხბურთელებზე უეფას საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტის მიერ გამოტანილ სასჯელთა ნუსხა ასეთია: 4 მატჩში ვერ შეემველება თავის გუნდს კრუზეიდერსელი ბაკსტერი, 3-3 თამაშით არიან დისკვალიფიცირებული: ნიჩენკო („ფერენცვაროში"), ბროუგანი („ბოჰემიანსი"), მატეი („სტიაუა"), ნიკოლოვი („სილექსი"), ქობი („ლიონი"), ხარკოვშჩენკო („დნეპრი"), 2-2 მატჩს გამოტოვებენ კოვტუნი (მოსკოვის „დინამო"), ქურიეტი („ბასტია"), ნანუ, მოხორა (ორივე — ბუქარესტის „რაპიდი"), ბეგსი („არდსი") დარენი („ბარი თაუნი"). შედარებით იოლად გადარჩნენ მოსკოვის დინამოელი ტერეუხინი და სოფიის არმიის სპორტული კლუბის წევრი ნანკოვი. ისინი მხოლოდ თითო მატჩს ვერ ითამაშებენ.

სხვადასხვა

ამის კვალზე

კოპენჰაგენში დამთავრდა ახალგაზრდა ველოსიპედისტთა მსოფლიო პირველობა. ტრეკზე [illegible] რბოლაში ოქროს მედალით დაიმშვენა მკერდი 17 წლის სესტრორეცკელმა ოლგა სლინსკაიამ. იგი გახლავთ [illegible] რბოლაში მოსკოვის ოლიმპიური თამაშის ჩემპიონის სერგეი სუხორუჩენკოს ქალიშვილი.

მსოფლიო პირველობაზე კარგი შედეგი აჩვენეს ახალგაზრდა რუსმა სპრინტერებმა, რომლებსაც რუსეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლო შენგელია წვრთნის.

კლუბები არ ხუმრობენ

თავისუფლების კუნძულის წარმომადგენლებს სპორტის არაერთ სახეობაში გამოუჩენიათ თავი. ბოლო დროს ისინი „სპორტის დედოფალსაც" იმორჩილებენ. 29 წლის კუბელ ხავიერ სოტომაიორს კარგა ხანია სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის. ამ დღეებში 1992 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ათენშიც დაამტკიცა, რომ მას დედამიწის ზურგზე ბადალი არა ჰყავს. მძლეოსანთა VI მსოფლიო ჩემპიონატზე სოტომაიორი 2,37 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და ოქროს მედალი მოიპოვა. მას მხარი აუბა მეორე კუბელმა — სიგრძეზე მხტომელმა ივან პედროსომ, რომელიც პირველსავე ცდაზე გადახტა ყველაზე შორს — 8,42, რამაც მას ოქროს მედალი მოუტანა. მეოთხე ცდაზე კუბელმა სპორტსმენმა ფანტასტიკური შედეგიც კი აჩვენა — 9 მეტრი და 10 სანტიმეტრი, მაგრამ მანამ ხაზზე დააბიჯა ფეხი და ნახტომი არ ჩაუთვალეს.

უცხოეთის სტადიონებზე

ბებეტოს ნაკრებში დაბრუნება სურს



„კოპა ამერიკას" თასზე მიღწეული, დიდი წარმატების შემდეგ, მარიო ზაგალოს „ოქროს ბიჭები" თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ და ბრაზილიის ეროვნულ ჩემპიონატში ჩაებნენ. უმაღლესი ლიგის გათამაშებაში ქვეყნის ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ ერთბაშად 26 გუნდი ჩართო. ამასთან, მას უცნაური დებულებაც დაადევნა: ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის ბროძოლას 1-8 ადგილებზე გასულები გააგრძელებენო. ქვეყნის ერთწრიანი ჩემპიონატის პარალელურად, ზოგიერთი კლუბი „ლიბერტადორესის თასის" გათამაშებაშიც მონაწილეობს. უქმად დროს არც მოწინავე ევროპული კლუბების მდიდარი მისიონერები კარგავენ. ისინი ბრაზილიის საუკეთესო მოთამაშეთა ყიდვით არიან დაინტერესებულნი. აქ ხშირად შეხვდებით „ბარსელონას", „მილანის", „რომას" მენეჯერებს. ბრაზილიაში კი ვარსკვლავებს, აბა, რა გამოლევს?

რვა საუკეთესოში მოხვედრის შანსი დაკარგეს ქვეყნის პოპულარულმა კლუბებმა რიო დე-ჟანეიროს „ფლამენგომ", „ბოტაფოგომ" და „გრემიომ", ხოლო ცნობილი გუნდი „ფლუმინენსე" 26-ე ადგილზეა. ჩემპიონობისთვის ბრძოლის შესაძლებლობას ინარჩუნებს. „ვასკოდე გამა", რომელიც 6 ტურის შემდეგ IV ადგილზეა. გათამაშების ცხრილის სათავეში დგანან სან-პაულუს კლუბები „პალმეირასი", „პორტუგეზა", „პარანასა" და სხვები.

ახალგაზრდობა გაიხსენა „ვიტორიას" 32 წლის ჩინებულმა თავდამსხმელმა ბებეტომ, რომელიც 8 გატანილი გოლით (სულ მის გუნდს 6 თამაშში 12 ბურთი აქვს შეგდებული) პირველ-მეორე ადგილებს იყოფს „სან-პაულუს" 19 წლის ბომბარდირ ღოდოსთან ერთად. XV მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთმა გმირმა ბებეტომ ჟურნალისტებს განუცხადა: „მადლობა ღმერთს, ვიპოვე კლუბი, რომელმაც მესანიშნავი პირობები შემიქმნა სათამაშოდ. „ვიტორიას" პარტნიორები ჩინებულად მიგებენ (გუნდი VIII ადგილზეა) და შედეგიც სახეზეა. ჩემი ერთადერთი სურვილია, კვლავ ჩავიცვა ბრაზილიის ნაკრების ყვითელი მაისური და იმ 22 რჩეულს შორის მოვხვდე, რომლებიც 1998 წლის ზაფხულში საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში იასპარეზებენ".

ვიცით, რომ ბრაზილიის ნაკრების უფროსი მწვრთნელი მარიო ზაგალო დიდი სიმპათიითაა გამსჭვალული ამ თავდამსხმელისადმი. გამორიცხული არაა, რომ (თუ, ბებეტომ ასე შედეგიანი თამაში გააგრძელა) მწვრთნელმა „ცეროდენა" ისევ მიიწვიოს ტეტრა-კამპეონების შემადგენლობაში. თუმცა, ამის გაკეთება ზაგალოს ძალიან გაუჭირდება, რადგან ამდენი ვარსკვლავი ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს კარგა ხანია არ ჰყოლია.

ახლა კი გავეცნოთ ამ დღეებში გამართული მეშვიდე ტურის ტექნიკურ შედეგებს და თვალი შევავლოთ იმ უძლიერესთა ვინაობას, რომლებიც ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლის გაგრძელების კანდიდატები არიან. „ატლეტიკო პარანაეზე" — „პარანა" 2 : 4, „ბრაგანტინო" — „გოიასი" 0 : 1, „გუარანი" — ამერიკა"1 : 2, „პალმეირასი" — „ბოტაფოგო" 3 : 1, „სანპაულუ" — „კუვენტუდე" 1 : 0, „ვიტორია" — „კრიზუმა" 1 : 0.

7 თამაშიდან 16 ქულით პირველ ადგილზეა „პარანა". 13 ქულა დააგროვა (6 თამაშიდან) მეორე ადგილზე მყოფმა „პალმეირასმა". ამდენივე ქულით (6 მატჩიდან) მესამეზე იმყოფება „პორტუგეზა". მეოთხე პოზიციაზეა „ვასკო დე-გამა", რომელსაც (6 თამაშიდან) 13 ქულა აქვს აქტივში. შემდეგ მოდიან „ინტერნასიონალი" და „კორინტიანსი" –12-12 ქულა (ორივე კლუბმა 6-6 შეხვედრა ჩაატარა). 7 მატჩიდან 11 ქულით მე-7 ადგილზე იმყოფება „გუარანი", 10 ქულით მერვეზეა ბებეტოს გუნდი „ვიტორია". ეჭვი არაა, რომ მომდევნო ტურებში ბრძოლა 8 უძლიერეს გუნდში მოსახვედრად კიდევ უფრო გამწვავდება და ჩვენ არაერთი სიურპრიზის მოწმენი გავხდებით.

შალვა ძირია.

იუმორის დოზა

ნანა კანდელაკი

ორნი საქანელაზე

კუკუმა ჩაქუჩაშვილმა დიპლომი რომ ჩაიგდო ხელში, მიდგა-მოდგა და ერთ, არცთუ ისე დიდ სამმართველოში რიგით თანამშრომლად მოეწყო სამუშაოდ. თუმცა ხელფასების უწყისში ინსპექტორად იყო დასახელებული.

ცოლმა ერთხელ უთხრა:

— რა არის სულ ყურებჩამოყრილი რომ დაიარები? ინსპექტორი ხარ, ბოშო, გეიმართე მხრებში, თავი მოიწონე მეზობლებში, ნათესავებში, ამხანაგებში. რაფერ ქლერს თუ იცი, სხვის გასაგონად მაგი სიტყვა — ინსპექტორი? სწორედაც რომ ნამეტანი კარგად, კი, ნამდვილად!

— ერთი მენც, იტყვი რაღაცას, კაკალა, — მამაპაპურად ჯიგრიანად შეიკურთხა კუკუმა, — ხელისბიჭად ვყავარ უფროს-უმცროსიანად ყველას, რა ფასი აქვს იმ ჩემს ინსპექტორობას.

მართლაც ასე იყო, სულ კუკუმას სახელი ისმოდა დაწესებულებაში:

— კუკუმა! ეს და ეს დაწერე იმისა და ამის სახელზე, შენი ხელით წაუღე, არაფერზე გვიმარონ.

— კუკუმა! იმასა და ამას დაურეკე, მოიკითხე და მოიწვიე სხდომაზე.

— კუკუმა! სატირალში ხარ წასასვლელი დასაფლეთში და აბა, შენ იცი, გამოსათხოვარი სიტყვა თქვი ისეთი, ჭირისუფალი თუ სამძიმარზე მოსული, ერთიანად ატირდნენ და ივიშვიშონ.

— კუკუმა! მოგვემრავლდნენ იუბილარები... რას იზამ, გაფართოვდა სამმართველო, თანამშრომლების რიცხვმა იმატა, მოფერება უნდა ხალხს. ხელფასს დროზე ვერ ვაძლევთ, ანკი რა ხელფასია, ამიტომ დამაქრული სიტყვა მაინც ვუთხრათ. აბა, შენ იცი!

ბოლმა ყელში ჰქონდა მობჯენილი კუკუმას, თავს დამცირებულად თვლიდა, მართლა პატარა ბიჭივით რომ დაარბენინებდნენ აქეთ-იქით, მაგრამ შინაგანად იმასაც გრძნობდა, რომ საჭირო კაცი გახდა სამსახურში, რომ უიმისოდ არც ერთი საკითხი არ წყდებოდა და გულში იმედის ნაპერწკალი გაუღვივდა. ერთიც ვნახოთ, გათენდება მშვენიერი დღე და ეს ამდენი სირბილი, ჯაფა, დაანამუსებს ჩემს უფროსს და... ისეთ სკამზე დამსვამს, აქეთ ირბინონ ჩემთან, იქით ვიძლეოდე განკარგულებებსო.

ახდა! გინდა დაიჯერეთ და გინდა არა, მაგრამ მართლაც გათენდა ასეთი დღე და უფროსმა თვითონ მოიპატიჟა კუკუმა თავის კაბინეტში.

— კუკუმა!.. თუმცა მოიცა, წამიკარნახე ერთი შენი ნათლობის სახელი და მამის სახელიც მოაყოლე...

— ნიკოლოზი მქვია, სოლომონიჩ, მამას კი ალექსანდრე ერქვა ცხონებულს...

— პრესტიჟული სახელი გქონია, კაცო და ეს კუკუმა რატომ დაირქვი?

— სხვათა მორის, მამამ შემარქვა, ისე, სასიყვარულოდ... ნიკოლოზი რომ მქვია, სხვამ კი არა, მეც აღარ მახსოვს...

— მდაა... კი, ბატონო, მაგრამ ამას იქით... ერთი სიტყვით, ყოჩაღ, ფრიად კმაყოფილი ვარ შენი ერთგულებითა, საქმისთვის თავდადებით, პოდა, გადავწყვიტე ჩემს თანაშემწედ და მრჩევლად გაგაფორმო... ტი ეტო ზასლუჟილ, ბრავო!

— სოლომონიჩ... — მოულოდნელი სიხარულით აღელვებული კუკუმა ბურთივით წამოვარდა სკამიდან და აჭარხლებულ სახეზე ცხვირსახოცი მოისვა. — კი, მაგრამ... რას იტყვის ზოგიერთი, მაგალითად მოადგილეები, კანდიდატობით რომ მოაქვთ თავი?

— ყოველ შემთხვევაში, არც შენ აგიღია დიპლომი სადარბაზოებში გახსნილი უნივერსიტეტიდან. განათლების ნაღდი დოკუმენტი გაქვს, ხომ ასეა?

— კი, მაგას წყალი არ გაუვა, ასეა! — თავი დაუქნია კუკუმამ.

— ხოლო, რაც შეეხება საქმეს, კოჭებამდე ვერ მოგწვდებიან, ამასთან ერთგულებაშიც, ესეც საყოველთაოდ ცნობილია.

— სამარემდე თქვენი ერთგული დავრჩები, სოლომონიჩ, — აფორიაქებულმა კუკუმამ ლამის თითები დაიმტვრია აქეთ-იქით გრეხვით.

— ახლა მთავარი... ნიკოლოზ ჩემო, თუმცა არა, დარჩი კუკუმა, თანახმა ხარ?

— ბატონი ბრძანებით, სოლომონიჩ, — სარგადაკლაპულივით გაიჭიმა უფროსის წინ კუკუმა და სმენად გადაიქცა.

— უპირველესი და მთავარი: იმ შენს თავმდაბლობას და ყველაფერზე ასკილივით თავის ქნევას, დღესვე უნდა დაეთხოვო! მეორე კაცი ხარ სამმართველოში, გეყურება კუკუმა? და ეს უნდა იგრძნოს ყველამ!

— სანამ ბრძანება არ დაიწერება, ჩემო საფიცარო სოლომონიჩ, ჯერ რანაირად?

— ახლავე დაიწერება, დღესვე. აქ მე ვარ უფროსი, ვთქვი და მორჩა, ბეჭედია! მაგრამ... რომ უფრო განიმტკიცო რეპუტაცია, ხვალ, პირველსავე სხდომაზე, ახალი, ცინცხალი, ქმედითი წინადადება უნდა შემომთავაზო. გასაგებია?

— კი, თეთრად გავათენებ ამაღამდელ ღამეს და ნახავთ, რაღაცას განსაცვიფრებელს მოვიფიქრებ, სოლომონიჩ, გპირდებით!

— მინდა, მეტი ყურადღება მოგვაქციოს სამინისტრომ. ამიტომ მოქმედებაა საჭირო და ერთიც ვნახოთ, ტუში დაგვეცა, მოწინავეთა რიგებში ჩავდგეთ. ხომ დაგიფასე ერთგულება? არც მე დაგივიწყებ.

— გადირევიან ზოგიერთები, სოლომონიჩ, — ტაში შემოჰკრა კუკუმამ.

— რას იზამ, ტაკოვა ჟიზნ! ცხოვრება საქანელაა... და მაინც, „ნა ტომ სვეტე ვმესტე ბუდემ, ნაჩალნიკ ი პოდჩინიონი", — გაიცინა დომენტიმ.

— დედა, დედა, რა კაცი ხართ, სოლომონიჩ, ნამდვილი სოლომონ ბრძენი!

— საქმეს მაღალფარდოვანი სიტყვები კი არა, სწორად წარმართვა სჭირდება, რომ გამოჩნდე, გამოსაჩენი შედეგია საჭირო. ადამიანებს უნდა გავუუმჯობესოთ ცხოვრება.

— აი, ნახავთ, ასეც იქნება, თქვენ ისე ხართ მონდომებული, ასეც იქნება, სოლომონიჩ, კი, კი...

უფროსის წაქეზებამ და წახალისებამ აამოქმედა კუკუმა ისეთნაირად, რომ მისი წინადადებები მართლა გატარდა და სამმართველომ, ძლივს სულს რომ ღაფავდა და მიჩანჩალებდა, აამოქმედა დაქვემდებარებული წარმოებები, მოგება მოგებას ემატებოდა, ხალხი წელში გაიმართა, უხაროდათ სამსახურში მოსვლა.

კუკუმა სადაც გამოჩნდებოდა, გზას უთმობდნენ, სახელითა და მამის სახელით მიმართავდნენ, შესვენებისას ყავის და ხაჭაპურების მირთმევაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქალები. კაბინეტში ორნაირი ვენტილატორი დაუდგეს, სითბოს სიგრილე ენაცვლებოდა. მაგიდა აუჭრელეს ნაირფერადი ტელეფონებით და, რასაკვირველია, ის კი უფრო ფიჭოვანი აპარატით სარგებლობდა.

ღიმილი გაუქრა კუკუმას სახეზე, ხუმრობის თავი სადა მაქვსო, ბრძენკაცის პოზით დადიოდა. ერთიორჯერ სხდომაზეც დაიგვიანა, სამინისტროში ვიყავიო, დაღლილი კაცის სახით განაცხადა.

დომენტიმ უსაყვედურა, სიტყვითაც გამოსულხარ კოლეგიის სხდომაზეო, ჩემთან შეუთანხმებლად რანაირადო.

აიწურა კუკუმა.

— განა არ ვუთხარი მინისტრს, უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ-მეთქი. ეს არაფერიაო, მე და დომენტი სოლომონიჩი მოვერიგდებითო... თქვენი საყვარელი ფრაზით დამემშვიდობა: ტაკოვა ჟიზნო...

— ვეღარ შევეშვით ამ ფრაზების ფანტვას, — მწყრალად თქვა დომენტიმ.

— რუსულის გიკვირთ?! ახლა ყოველ მეორე ქართულად ნათქვამს თუ არ მოაყოლე რაღაცა ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად ან იაპონურად მაინც, რა კაცი ხარ.

— მაინც ხომ?

— რას იზამ, სოლომონიჩ, ესაა დემოკრატია, ამისათვის არ მოვიკალით თავი და დავანგრიეთ ყველაფერი? — ჩაიკუსკუსა კუკუმამ.

— შენც ასე ფიქრობ კუკუმა, რომ... კატას ხომ არ გაურბენია, ჰა?

— ჩემი სიკვდილი, სოლომონიჩ, შემშალა რაღაცა? ვაი, რატომ არ მოვკვდები... სოლომონიჩ, თქვენ ხომ ჩემი მამა ხართ, ძმა და მეგობარი, ჩემი საფიცარი ხატი... — ათად მოიკეცა დომენტის წინაშე კუკუმა.

მაგრამ არ გასულა ერთი კვირაც და კუკუმამ ყველაფერს წყალი გადაასხა. არც დამშვიდობებია თავის საფიცარ კაცს, ისე გაქრა.

მოადგილეებმა უსაყვედურეს დომენტის:

— ნამეტანი გაათამამეთ, სოლომონიჩ, მაგის მეტს ვერავის ამჩნევდით.

— თქვენ ზურგს უკან გაიჩარხა ადგილი, მინისტრს რომ არ დაერეკა, ვერც გაიგებდით, საით გადაბარგდა.

დომენტი თავზარდაცემული იყო იმ დღეს. ბევრი იფიქრა და დღის ბოლოს მაინც დაურეკა კუკუმას კაბინეტში.

— მომილოცავს დაწინაურება. მინისტრის მარჯვენა ხელი გამხდარხარ...

— ღმერთმანი, დღეს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ვაპირებდი მოსვლას. ვიფიქრე, სადმე რესტორანში აღვენიშნა განმარტოებით ყოველივე... რა საჭიროა ხმაური... არ გეწყინოს, სოლომონიჩ, რაც იზამ, ცხოვრება მართლა საქანელა ყოფილა... „ტაკოვა ჟიზნ", — საკმაოდ ოფიციალურად თქვა ჩაქუჩაშვილმა.

— ისე, მაინც ნუ დაივიწყებ, რომ „ნა ტომ სვეტე ვმესტე ბუდემ", საქანელა კი უფრო დიდი ამპლიტუდით ქანაობს სამოთხესა და ჯოჯოხეთს მორის...

— ამაზე მერე ვისაუბროთ, ალბათ, ამ დღეებში. ახლა მინისტრი მეძახის, ჩაო! — მოკლედ მოუჭრა და გაწყვიტა საუბარი.

ორი თვის თავზე, გვიან ღამით, კუკუმამ შინ დაურეკა ყოფილ შეფს:

— სოლომონიჩ... ხმა გავარდა, მინისტრად მოდისო... ყველა მილოცავს. როგორ გამეხარდა. ბრავო, სოლომონიჩ! აჰა, როგორ! როგორც ჩემი კაკალა ამბობს, ისევ ერთად ვიმუშავებთ. ხომ გესმით, რა გახარებული ვარ...

— რომელი ხარ, კაცო, ამ შუაღამისას რომ... არ მესმის, თავიდან დარეკე, — ღიმილით თქვა დომენტიმ და ყურმილი ჩამოჰკიდა.

1997 წელი.



არაფერი შეცვლილა!

მხატვარი ვახტანგ კუცია.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო აქვეყნებს სიას

იმ ორგანიზაციებისა, რომლებმაც საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 16 მარტის № 221 ბრძანებულების შესაბამისად 1997 წლის ივლისში მიიღეს ლიცენზია საპროექტო-საძიებო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესასრულებლად, ასევე სამშენებლო ინდუსტრიის ნაკეთობათა და სამშენებლო მასალების საწარმოებლად:

სააქციო საზოგადოება „სპეცპელიოთბომონტაჟი";
სააქციო საზოგადოება „თბილმობმექსპეცი";
სააქციო საზოგადოება „ივერიამშენი";
სააქციო საზოგადოება „მშენმექანიზაცია" (რუსთავი);
სააქციო საზოგადოება „რუსთავცემენტი" (რუსთავი);
სააქციო საზოგადოება „პერლიტი" (რუსთავი);
სააქციო საზოგადოება „კონსტრუქცია" (რუსთავი);
სააქციო საზოგადოება „მოწამეთა" (ქუთაისი);
სახაზინო საწარმო „საქსახგზაპროექტი";
სახაზინო საწარმო ინტერდიზაინმშენის ფილიალი „ფასადი";
სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქვაჭრობპროექტი";
„საქავტოგზის" სახაზინო საწარმო ოცდამეექვსე საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველო" (ქუთაისი);
კულტურის სამინისტროს სახაზინო საწარმო „კომესი";
შპს „საძირკველი";
შპს „დიზანკომპლექსი";
შპს „მანდატი" (ქუთაისი);
შპს „მაგთივენი";
შპს „მმე";
შპს „მ.თ.ა.";
შპს „გოლიათი – 92";
შპს „დუღაბი";
შპს „ორიონი";
შპს „ცლოლა" (ქუთაისი);
შპს „თბოსერვისი";
შპს „იმერეთი";
შპს „უნივერსალი";
შპს „გორგასალი";
შპს „იბოლია" (გორი);
შპს „მხარა";
შპს „ნავთობსამეცნიერო";
შპს „ტამანი" (ფოთი);
შპს რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა „ბალავარი" (ქუთაისი);
ინდივიდუალური საწარმო „კვადრი" (გორი);
ახალქალაქის გამგებლობის ურბანიზაციისა და მშენებლობის საქმეთა განყოფილება (ახალქალაქი);
კასპის გამგებლობის ურბანიზაციისა და მშენებლობის საქმეთა განყოფილება (კასპი);
კოოპერაციული საწარმო „თბილმშენმონტაჟკომპლექსი".

ლიცენზიების გაცემა გრძელდება.

ორგანიზაციებმა და იურიდიულმა პირებმა, რომლებსაც სურთ განახორციელონ საპროექტო-საძიებო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ასევე აწარმოონ სამშენებლო კონსტრუქციები, ნაკეთობები და საშენი მასალები, ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია მიმართონ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო ლიცენზირების ცენტრს.

380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. 16,
მეოთხე სართული, ოთახები: 412, 402, 403, 414.
ტელეფონები: 37-34-10, 36-10-22, 37-96-08.
ცნობები და კონსულტაციები
ყოველდღე – 12-დან 14 საათამდე (გარდა დასვენების დღეებისა).

საქართველოს ურბანიზაციისა და
მშენებლობის სამინისტროს პრესცენტრი.

ვაჟაობა

დღესასწაულს გაზეთიც დაამშვენებს

მრავალი წელია, საქართველოში ეწყობა დღესასწაული „ვაჟაობა", პატივს მიაგებენ საამაყო წინაპარს, გენიოსს, რომელიც თავისი დიდებული შემოქმედებით მუდამ თანამედროვეა. მიუხედავად ქვეყნის გაჭირვებული ყოფისა, ხელისუფლება მაინც აპირებს გამართოს სახალხო დღესასწაული ვაჟაობა.

ამ დღეებში ვაჟა ფშაველას საზოგადოებამ (თავმჯდომარე ჯიბო ლომაშვილი) გამოსცა ერთჯერადი გაზეთი „ვაჟაობა"!

გაზეთში უხვად არის გაბნეული ვაჟა-ფშაველას საუკეთესო ლექსები. ასევე დასტამბულია ილია ჭავჭავაძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის „მგოსანზე უთქვამთ", გიორგი ლეონიძის მიძღვნა ვაჟასადმი.

დიდ წინაპართა ლექსებს საუცხოოდ ეხმიანება თანამედროვეთა — ანზორ აბულაშვილის, ჯ. ივრისპირელის, ალექსანდრე დიდებაშვილის, მოთა ხოდაშნელის, ნათელა მაჭარაშვილისა და ამირან ასანიძის ლექსები, წერილები: ფარნა ლომაშვილისა — გიორგი ლომაშვილის მოგონება — „ვაჟკაცსა გული რკინისა", როგორ მოიტაცა ვაჟამ საცოლე თამარი. ვაჟას შენიშვნა თავის დაბადების თარიღის შესახებ. ეთერ თათარაიძის ჩანაწერი — ვაჟას ასული გულქანისა — „მამამა ღმერთს ჩამახყარა სახელი". აქვეა პროფესორ ნოდარ ხუციშვილის წერილი „ვაჟა და თავისუფლება", მწერალ ვალერიან ჩეკურიშვილის მოთხრობა „გვირგვინები". საინტერესოა ჟურნალისტ ხვთისო არჩემაშვილის მიერ ჩაწერილი „ვაჟას სამართალი".

მკითხველის ყურადღებას მიიქცევს ჯიბო ლომაშვილის წერილი „იოსებ სტალინი და ვაჟა-ფშაველა" და პროფესორ ვალერიან ითონიშვილის „ვაჟა ფშაველა — ეთნოგრაფი"... გივი ხორნაულის „უიღბლო დებიუტი" გვიამბობს ვაჟა-ფშაველას მიერ პიესაში „ხევსურულ ქორწილში" ნათამაშევ ნეფის როლზე.

გაზეთში დასტამბული სურათებიდან — ბევრი უკვე რელიკვიაა.

გაზეთის ბოლო გვერდზე წარმოდგენილია პლაკატი „ხმელი წიფელი", რომლის ავტორია ცნობილი მხატვარი და დიზაინერი გიორგი ავსაჯანიშვილი — ხმელ წიფელში ჩახატულია ვაჟა-ფშაველა.

ისიც უნდა ითქვას, რომ გაზეთის გამოცემა პრობლემა გახდა. არავინ გამოჩნდა, რომ იგი დაეფინანსებინა, კომპიუტერზე აწყობილიყო და უკეთესად გაფორმებულიყო. რაც გაკეთდა, იმაზეც მადლობას მოვახსენებთ გამომცემლობა „სამშობლოს" ხელმძღვანელობას, რომელმაც ყველაფერი იღონა, რომ გაზეთი „ვაჟაობა" მკითხველამდე დროზე მისულიყო.

შიო ხათუნაიძე.

იყიდება ხორბალი

საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაცია „ქეა"-მ ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან მიიღო ამერიკული ხორბალი. ხორბალი გაიყიდება საქართველოს ტერიტორიაზე და ამოღებული თანხები მოხმარდება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების დაფინანსებას.

„ქეა" აცხადებს კონკურსს ამ ხორბლის მთლიანი პარტიის გაყიდვაზე და გაყიდვაში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს და კომერციულ ორგანიზაციას.

ხორბლის სპეციფიკაცია და მიწოდების პირობები:

მწარმოებელი ქვეყანა — ამერიკის შეერთებული შტატები;

ხორბლის ტიპი და კლასი — შუშისებური წითელი ზამთრის (მაგარი) ხორბალი, მეორე კლასის ან უკეთესი;

რაოდენობა — 6500 ტონა;

პროტეინის შემცველობა — ამ ტიპისა და კლასისათვის ჩვეულებრივი;

მაქსიმალური ტენიანობა — 13,5 პროცენტი;
მინარევები — 1 პროცენტი ან ნაკლები;

მიწოდება მოხდება გემით, ფოთის ან ბათუმის პორტში, მყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, ჩამოტვირთვა მყიდველის ხარჯზე. სავარაუდო ჩამოსვლის ვადა — 1997 წლის სექტემბრის მეორე ნახევარი — ოქტომბერი.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ 9:30-დან 18:00 საათამდე გიორგი ბაჟენოვს ან დავით გაზაშვილს შემდეგ მისამართზე:

თბილისი, პეტრიაშვილის ქ. 42, ტელ: 29-13-87, 29-12-69, 29-15-31, ფაქსი: 29-43-07.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტის კოლეჯი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ცხრა კლასის ბაზაზე. საბუთები მიიღება ა. წ. 25 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: ქეთევან წამებულის ქ. №16 (მეტრო ავლაბართან) ტელ: 94-33-20, 95-69-11.

ხსოვნა

მერაბ ნავროზაშვილი

მუხთალია სიკვდილი... არავინ იცის, თუ ვის როდის ჩაუსაფრდება იგი, როდის მიაყენებს მოუშუშებელ იარას ამორჩეული ადამიანის ოჯახს, ნათესავ-მეგობრებს, ახლობლებს.

ჩვენ, ქართველ ადვოკატებს, საბურთალოს ადვოკატურას, მოუნელებელი ტკივილი მოგვაყენა მართლაც რომ ჩასაფრებულმა სიკვდილმა.

სხვა რა უნდა დაერქვას ასეთ უეცარ და თავზარდამცემ სიკვდილს, ბუნების ასეთ უკულმართობას. ამ დღეებში, დილაუთენია, თავის სათაყვანებელ ქუთაისში გასამგზავრებლად გამზადებულს ავტომანქანის კარებთან გულმა უმტყუნა და სიცოცხლე მოესწრაფა ჩვენს საყვარელ კოლეგას, მეგობარს – **მერაბ ნავროზაშვილს.**

ბატონმა მერაბმა განსაკუთრებული ტკივილი ჩვენ მოგვაყენა მის კოლეგებს. იგი ჩვენთან სულ 6-7 წლის მოსული იყო, მაგრამ თითქოს ათეული წლები გვემეგობროს!

როგორ შეგვაყვარა თავი და რა უდროოდ გაგვეცალა ეს 52 წლის ჯანღონით სავსე კაცი! ანდა, როგორ უყვარდა თავისი საქმე, როგორი პროფესიონალი იყო... მისთვის არ არსებობდა შენი და ჩემი, პატარა და დიდი საქმე, ყველა სამუშაოს შესაშური კეთილსინდისიერებით ეკიდებოდა.

რამდენი დაუმთავრებელი საქმე დარჩა, როგორ დასწყვიტა ყველას გული... მან ხომ ასევე უამრავი მეგობარი დატოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, სადაც ერთგულად ემსახურებოდა სიმართლეს, სამართლიანობას.

ეტყობა მუხლმოუხრელმა, თავდადებულმა შრომამ, საქმისადმი გულისხმიერმა დამოკიდებულებამ გადაღალა მისი საოცრად კეთილი და მოსიყვარულე გული, ველარ გაუძლო ბოლომდე, უმუხთლა ბედმა...

მაგრამ არა, ასეთი ადამიანები არ კვდებიან.

გვწამს, მისი სული მარადისობაში ზეცად განეფინება და მისი ნათელი სახე მარად იცოცხლებს ოჯახის, შვილების, ნათესავ-მეგობრების და ახლობლების გულში.

მსუბუქი იყოს ქართული მიწა შენთვის, ჩვენო კეთილო და საყვარელო მერაბ!

საქართველოს ადვოკატთა კოლეგია,
საბურთალოს რაიონის ადვოკატურა.

ბედუნი ჭალიძე ოჯახით თანაუგრძნობს ჯამბულ, ვახტანგ და დოდო წულაიებს
დედის
გარდაცვალების გამო.

ბორის გოგოლაძე, ჯუმბერ ჩხაიძე, თენგიზ ყურაშვილი, კამო ქართველიშვილი, თემურ აბულაძე, თამაზ ლუღუნიშვილი ოჯახებით იზიარებენ ჯამბულ წულაიას დიდ მწუხარებას
დედის
გარდაცვალების გამო.

საქინფორმის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სათნო ქალბატონი
ნაირა (ბულიკო) გოგიბედაშვილი- ბუხნიკაშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს დეპარტამენტის გეოლოგიური სამმართველოს უფროსს, საქართველოს დამსახურებულ გეოლოგს – ვლადიმერ კაჭარავას მეუღლის
ელენე ორჯონიკიძე-კაჭარავას
გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

გივი ოდიკაძე

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურე-
ბული არტისტი, აჭარის ხელოვნების დამსა-
ხურებული მოღვაწე, ცნობილი ქორეოგრაფი,
[illegible] აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუ-
სიკალური თეატრის მთავარი ბალეტმეისტე-
რი გივი ალექსანდრეს ძე ოდიკაძე.
დაიბადა 1921 წლის 7 ივლისს ქ. ბათუმში.
ქართული ცეკვის ხელოვნებას ეზიარა ბათუმის ქორეოგრ
სტუდიაში.
1937 წელს ახალგაზრდა გივი ოდიკაძე საქართველოს სახ
მწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლთან ერთად მონაწილე
მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველ
კადაზე.
1940 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც იგი
ერთი სატანკო არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქო
ოგრაფად დაინიშნა. იყო ომისა და შრომის ვეტერანი.
1946 წლიდან გ. ოდიკაძე მუშაობას იწყებს თბილისის ოპერ
და ბალეტის თეატრში მოცეკვავე მსახიობად.
1948 წელს ნიჭიერი მოცეკვავე მოსკოვის ლუნაჩარსკის სა
ლობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო-
ბალეტმეისტერო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სწავლის პერიოდში
ცეკვები დადგა მოსკოვის დრდ თეატრში. საბჭოთა არმიის თ
ტრში და დონეცკში.
1953 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ისევ მშობლ
ბათუმს დაუბრუნდა. 1957 წელს თბილისში აჭარის ლიტერატურ
და ხელოვნების დეკადაზე მის ნამოღვაწარს მაღალი შეფას
მიეცა.
გ. ოდიკაძეს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის კინო და
თეატრო ხელოვნებაში. მან საინტერესო ცეკვები შექმნა ფილ
ბში: „მაია წყნეთელი", „ყვავილი თოვლზე", „განაჩენი", „ჭა
კონა" და სხვა.
განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა თბილის
აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში, რომ
მთავარი ბალეტმეისტერიც მრავალი წლის მანძილზე იყო.
გ. ოდიკაძე იყო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-6 მსოფ
ფესტივალის ლაურეატი.
გივი ოდიკაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩებათ მის
ლობლებს, მეგობრებს, კოლეგებსა და აღზრდილებს.

საქართველოს კულტურის სამინისტ
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავ
საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავ
ვ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეა

თემურ ხაზალია

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულ
დროს, 42 წლის ასაკში მოულოდნელად გ
დაიცვალა შსს სამეგრელოსა და ზემო სვ
თის სამხარეო შს მთავარი სამმართველ
როსის თანაშემწე კადრებისა და პირად შ
დგენლობასთან მუშაობის დარგში, პოლ
პოლკოვნიკი **თემურ პიოს ძე ხაზალ**
თემურ ხაზალიამ, რომელიც 1955 წლის 7 აპრილს დაიბადა
გდიდის რაიონის სოფ. ორსანტიაში, შრომითი საქმიანობა
წყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შსს ორგანოებში
წლიდან, ჯერ აფხაზეთის შს სამინისტროს აპარატში, ხოლო
მდეგ გულრიფშის შს რაიგანყოფილებაში, სადაც მუშაობდა
წლის აგვისტომდე.
აფხაზეთის კონფლიქტის პირველი დღეებიდანვე იგი აქტიურ
ჩაება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლ
და სათავეში ჩაუდგა სოხუმის სამხედრო პოლიციას, რომლის პირ
შემადგენლობა მუდამ ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებოდა, ას
ლებდა განსაკუთრებული მნიშვნელობის საბრძოლო დავალებ
ამისათვის თემურ ხაზალიას არა ერთი ჯილდო აქვს მიღებუ
ქართული სამხედრო ფორმირების მიერ აფხაზეთის ტერიტ
რიის დატოვების შემდეგ თემურ ხაზალია დაინიშნა ზუგდიდის
სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ, ხოლო 1995 წე
აწინაურებენ ამავე სამმართველოს უფროსად.
ამ პერიოდში ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში, რომელიც ე
ზღვრება გალის რაიონს, ოპერატიული ვითარება უაღრესად დ
ძაბული იყო. თემურ ხაზალიას საბრძოლო მოქმედებებში მი
ბულმა გამოცდილებამ, უდიდესმა პასუხისმგებლობის გრძნობ
უდრეკმა ხასიათმა და მხედრულმა სულისკვეთებამ გარკვეულწილ
ხელი შეუწყო სამმართველოს პირადი შემადგენლობის ბრძოლ
სუნარიანობის ამაღლებას, რამაც მართვადი გახადა კრიმინოგენ
მდგომარეობა.
1995 წელს გამოცდილი პოლკოვნიკი თემურ ხაზალია შს მი
სტრის ბრძანებით დაინიშნა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის
მხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსის თანაშემწედ
რებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში.
ამ უაღრესად პასუხსაგებ თანამდებობაზე თავისი ხანმოკლ
შაობის პერიოდში რეგიონის პირადი შემადგენლობის უდიდ
პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა მისთვის დამახასი
ბელი ისეთი თვისებების გამო, როგორიცაა შესაშური გულ
მიერება, სიდარბაისლე და უდიდესი ტაქტიანობა.
მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა მუდამ იზიარე
მის წინადადებებს კადრების შერჩევისა და განაწილების სა
ში, რამეთუ თემურ ხაზალიას ცხოვრებისეულ კრედოდ მი
ულირსთაგან პოლიციის რიგების გაწმენდა და წინა პლანზე
ტიოსანი, პროფესიონალი თანამშრომლების წამოწევა.
თემურ ხაზალია თავის პროფესიულ საქმიანობას შესან
ვად უთავსებდა რეგიონში სპორტის განვითარებას. მისი უ
ლო დამსახურებაა ის, რომ მთავარი სამმართველოს ნაკრ
გუნდმა მე-2 ადგილი დაიკავა შს სამინისტროს მიერ გამარ
რესპუბლიკურ ტურნირზე ფეხბურთში. ამ სფეროში მისი ღვაწ
უკვდავსაყოფად შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მთა
სამმართველოს ხელმძღვანელობამ დააწესა თემურ ხაზალია
ხელობის გარდამავალი თასი, რომელიც ყოველწლიურად
ეცემა რეგიონში გამართულ საფეხბურთო ტურნირში გამარ
ბულ საუკეთესო გუნდს.
თემურ ხაზალიას სახით შს ორგანოებმა დაკარგა პროფეს
ნალი, შესანიშნავი ხელმძღვანელი და ღირსეული მოქალაქე, ოჯა
და შვილებს — მზრუნველი მამა, მეგობრებს კი [illegible]
[illegible]

შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარ
შს მთავარი სამმართველოს პირადი შემადგენლ

შვილები ეთერ, ანტონ ჭანტურიები, რძლები მედეა
ვილი, თათა ახობაძე, ნინო გაბუნია, სიძეები სოსო
ზურიკო ავაზაშვილი, შვილიშვილები თამრიკო, დათო
ნტურიები, ეკა, გია ენგურელები, შვილთაშვილები
ტურია, ანი ენგურელი, ქეთი ავაზაშვილი ღრმა მწ
წყებიან, რომ გარდაიცვალა
მარგალიტა (მარგო) გიორგის ასული [illegible]
პანაშვიდი 9 VIII, 5 ს. გამოსვენება 10 VIII 3 ს. მოს
მზიური 35 კორ. 4 ბინა 17.

მეუღლე ციალა მეტრეველი, შვილები დათო, გელა მაი
ძეები, რძალი ნესტან ბეჟიძე, შვილიშვილები ვახტანგ,
მე, ძმა ლუხუმი, დები პაპა, თამარ, თინა, ენდი, ანნა
ძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვახტანგ სერგოს ძე მაისურაძე.
პანაშვიდი 9 VIII, 5 ს. გამოსვენება 10 VIII, 3 ს. გლდან
სივი, მე-6 მ/რნი, 21 კორპ.

ნონა და თემურ ისაკაძეები თანაგრძნობას უცხადებენ
ნანა და ვანო კანდელაკებს მეუღლისა და მამის
გაიოზ კანდელაკის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
აბესალომ იმედაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილის
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-1

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს"
სტამბაში, ხოშარაულის 29.